

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, # 12

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო
პ რ ო ც ე ს ი
(ზოგადი დებულებანი)

1. განსჯადობა
2. სახელმწიფო ბაჟი
3. სასამართლო შეტყობინება და დაბარება; უწყების ჩაბარება
4. სარჩელის შეცვლა მოსამზადებელი სტადიის დამთავრების შემდეგ
5. სასამართლო მტკიცებულებები
 - დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპი
 - ექსპერტიზის დანიშვნა
 - ექსპერტის დასკვნა
 - მტკიცებულებათა შეგროვება
 - მტკიცებულებათა შეფასება
 - მტკიცების ტვირთი
 - ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას
6. ექსპერტიზა

1. განსჯადობა

განჩინება

#ას-1246-1505-09

27 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. გ-ურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ქ-ძის მიმართ მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის -6000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ... მარკის სატვირთო ავტომანქანა წარმოადგენდა მოსარჩელეს საკუთრებას. აღნიშნული ავტომანქანით იგი ემსახურებოდა კლიენტებს, რაც მის ერთადერთ შემოსავალს შეადგენდა. 2004 წლის 22 აპრილს თანამშრომლებთან ერთად მასთან სახლში მივიდა ახმეტის საპატროლო პოლიციის ჯგუფის უფროსი ინსპექტორი -დ. ქ-ძე, რომელმაც მოსთხოვა კუთვნილი სატვირთო ავტომანქანის საბუთები. ავტომანქანის ძრავის ნომრები და საბუთებში მითითებულ ნომრები არ დაემთხვა ერთმანეთს, რის გამოც დ.ქ-ძემ სათანადო ოქმის შედგენის გარეშე მისი კუთვნილი ავტომანქანა გადაიყვანა შს ახმეტის რაიგანყოფილების ეზოში საკითხის გარკვევამდე. შემდგომ მოსარჩელემ შეიტყო, რომ 2004 წლის 12 მაისს დ.ქ-ძემ აღნიშნული ავტომანქანა უკანონოდ გადასცა შინაგანი ჯარის სამხედრო ნაწილის წარმომადგენლებს და ა. გ-ურმა ნივთი ვეღარ დაიბრუნა. სადავო სატვირთო ავტომანქანა იყო ტექნიკურად გამართული. მოსარჩელემ იგი შეისყიდა 4000 აშშ დოლარად. ავტომანქანის უკანონოდ ჩამორთმევის შემდგომ პერიოდში იგი გამოიმუშავებდა მინიმუმ 2000 აშშ დოლარს.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით საქმეში დ. ქ-ძესთან ერთად სათანადო მოპასუხედ ჩაება შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიონული სამმართველოც. ამავე სასამართლოს 2008 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. გ-ურის მოთხოვნა დაკმაყოფილდა -მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ ა. გ-ურის სასარგებლოდ 1777,50 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ა. გ-ურმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ა. გ-ურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: საქმეში წარმოდგენილი ახმეტის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 იანვრის განჩინებით მოპასუხე დ.ქ-ძე ცნობილ იქნა დამნაშვანედ სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც იმაში გამოიხატა, რომ დ.ქ-ძემ სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებით, ქონების ამოღების ოქმის გაფორმების გარეშე, ჩამოართვა ა. გ-ურს კუთვნილი "ზილ 131-ის" მარკის ავტომანქანა და უკანონოდ გადასცა შინაგანი ჯარის #2066 სამხედრო ნაწილის წარმომადგენლებს. სააპელაციო პალატის მითითებით, აპელანტი სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ დადგენილი ზიანის ოდენობას, რადგან იგი უნდა განსაზღვრულიყო განაჩენის მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ იმ ფაქტებს, განახორციელა თუ არა მხარემ გარკვეული მოქმედება თუ უმოქმედობა, ჩაიდინა თუ არა მოქმედება კონკრეტულმა პირმა, ხოლო კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ყველა სხვა ფაქტი, მათ შორის, თუ რა ოდენობის ზიანი გამოიწვია მოქმედებამ, პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე არ არის და მისი შემოწმება სასამართლოს ვალდებულებაა. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი პრეიუდიციულია და სადავო აღარ არის, ხოლო ზიანის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრის გარემოება წინასწარ არ დგინდება და მისი შემოწმებისაგან სასამართლო არ თავისუფლდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო დავის განხილვისას სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებითა და მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში 6000 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად მხარემ მიუთითა მარტოოდენ ახსნა-განმარტებაზე, ხოლო მოპასუხემ აღნიშნუ-

ლი ოდენობა სადავოდ მიიჩნია. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცების სტანდარტი ნაკლოვანია და კონკრეტული ფაქტის დადგენის საფუძველი ვერ გახდება. სხვა სახის მტკიცებულება კი მის მიერ მოთხოვნილი თანხის დასადასტურებლად მოსარჩელეს არ წარმოდგენია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ა. გ-ურმა ვერ დაადასტურა სარჩელის საფუძველად მითითებული გარემოება, რომ დანაშაულის შედეგად ჩამორთმეული ავტომანქანა შეიძინა 4000 აშშ დოლარად და ამის გარდა მიაღწა 2000 აშშ დოლარის ზიანი. მოსარჩელის მიერ მტკიცების ტვირთის არასრულყოფილად რეალიზების მოტივით პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა განაჩენის საფუძველზე მხარისათვის 1777,50 ლარის ოდენობის ზიანის მიყენების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. გ-ურმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო ავტომანქანა 1777,50 ლარად; ა. გ-ური სარჩელში ითხოვდა სადავო ნივთის დაბრუნებას, რომელიც სარჩელის საგნის ღირებულების დადგენის მიზნით შეფასდა 6000 ლარად. შინაგან საქმეთა ახმეტის პოლიციის სამმართველო ვალდებულია, დააბრუნოს ავტომობილი ნატურით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. გ-ურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

განსახილველი დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ კატეგორიათა რიგს არ განეკუთვნება, კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით რეგულირდება სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, მითითებული ნორმის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლების შესაბამისად კი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ეკისრება.

წარმოდგენილი სარჩელით ა. გ-ური სადავო ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სოლიდარულად როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიონული სამმართველოს, ისე -დ. ქ-მისაგან, როგორც საჯარო მოსამსახურისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით

კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზეა დასაშვები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2 მუხლის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. გ-ურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სახელმწიფო ბაჟი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-1285-1540-09

26 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, სამკვიდრო ქონების მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 2 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. მ-ძემ. 2008 წლის 8 სექტემბერს ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილ განცხადებაში მოსარჩელედ ნ. მ-ძესთან ერთად მიეთითა დ. მ-ძეზე. მოპასუხეებად დასახელდნენ ნი. მ-ძე, შ. კ-შვილი და მ. ბ-შვილი. მოსარჩელემ მოითხოვა: აწ გარდაცვლილი დ. მ-ძის დანაშთ ქონებაზე სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელება, აღნიშნულ ქონებაზე ნოტარიუს თ. ო-ანის მიერ 2004 წლის 12 ივლისს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანა და სამკვიდრო ქონების გაყოფა.

მოსარჩელეთა საბოლოო მოთხოვნები ამგვარად ჩამოყალიბდა:

ა) სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელება;

ბ) ნოტარიუს თ. ო-ანის მიერ 2004 წლის 15 იანვარს ნი. მ-ძის სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რომლითაც ეს უკანასკნელი ცნობილ იქნა მეუღლის -მამკვიდრებელ დ. მ-ძის პირველი რიგის მემკვიდრედ;

გ) 2008 წლის 22 სექტემბერს ნი. მ-ძესა და შ. კ-შვილს შორის თბილისში, ... ქ. #51-ში მდებარე #15 ბინაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

დ) 2008 წლის 20 ოქტომბერს ამავე ბინაზე შ. კ-შვილსა და მ. ბ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

ე) სამკვიდრო ქონების, თბილისში, ... ქ. #51-ში მდებარე #15 ბინის მოსარჩელებისათვის თანაბარწილად მიკუთვნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2009 წლის 26 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. მ-ძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალა გადახდილად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ძემ (წარმომადგენელი ნ. ფ-ური), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ძემ (წარმომადგენელი ნ. ფ-ური), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის ავტორმა ასევე მოითხოვა ნ. მ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება. კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. მ-ძე არის ინვალიდი, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც საქმის მასალებში წარმოდგენილია, ხოლო "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, ინვალიდები საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 მარტის განჩინებით ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ამავე განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით უცვლელად დატოვების ნაწილში, დაშვებულად ცნობილ ნაწილში დადგინდა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ინვალიდები. კანონის დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ინვალიდი მხარის გათავისუფლებას ყველა ინსტანციის სასამართლოში.

საქმის მასალების თანახმად, ნ. მ-ძის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა სულ შეადგენს 1050 ლარს, კერძოდ, თავდაპირველად ნ. მ-ძის სარჩელზე მოსარჩელის წარმომადგენელმა ნ. ლ-იამ სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 200 ლარი, მოგვიანებით ხარვეზის შევსების შესახებ 12.09.2008წ. მოსარჩელის განცხადებას თან ერთვის ასევე წარმომადგენელ ნ. ლ-იას მიერ გადახდილი 498 ლარის გადახდის ქვითარი. აქედან გამომდინარე, ნ. მ-ძისათვის დაბრუნებას ექვემდებარება მის სარჩელზე წარმომადგენელ ნ. ლ-იას მიერ გადახდილი 698 ლარი. გარდა ამისა, მას უნდა დაუბრუნდეს დამატებით მოთხოვნაზე წარმომადგენელ ნ. ლ-იას მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 352 ლარი. მთლიანობაში ნ. მ-ძისათვის დასაბრუნებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 1050 ლარს (69 + 352 ლარი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის საკითხი განეკუთვნება ისეთ საპროცესო მოქმედებას, რაც არასწორად განსაზღვრის შემთხვევაში გამოსწორებადია საქმის განხილვის შემდგომ ეტაპზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ ნ. მ-ძის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გადახდილად მიჩნევის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასახელებულ ნაწილში გაუქმებას, ხოლო ნ. მ-ძის სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა დაბრუნებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. მ-ძის საკასაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინება ნ. მ-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში;
3. ნ. მ-ძეს დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმომადგენელ ნ. ლ-იას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -1050 ლარი (მათ შორის: 2.09.2008წ. გადახდილი 200 ლარი, 12.09.2008წ. გადახდილი 498 ლარი, 22.10.2008წ. გადახდილი 352 ლარი) ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - #300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სასამართლო შეტყობინება და დაბარება; უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-298-281-10

17 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს მ. და ლ. ქ-შვილებმა მოპასუხეების -მ. ს-შვილის, ნ. დ-ძისა და ნოტარიუს გ. გ-შვილის მიმართ და მოითხოვეს სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობა, მემკვიდრეობის უფლებადაკარგულად, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-შვილის სარჩელი და ლ. ქ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მ. ქ-შვილი ცნობილ იქნა რ. ქ-შვილის მემკვიდრედ მისი დანაშთი ქონების 1/4 ნაწილზე. ლ. ქ-შვილი ცნობილ იქნა რ. ქ-შვილის მემკვიდრედ. სასარჩელო მოთხოვნები მ. ს-შვილისა და დ-ძის მემკვიდრეობის უფლებადაკარგულად ცნობისა და ნ. დ-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ქ-შვილმა და ლ. ქ-შვილმა გაასაჩივრეს სააპელაციო საჩივრით, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განჩინებით ლ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

2009 წლის 22 სექტემბრის სასამართლო სხდომის დღის თაობაზე მხარეებს და მათ წარმომადგენლებს ეცნობათ საქართველოს სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, აპელანტი და მისი წარმომადგენელი სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდნენ, რაც შეეხება მ. ქ-შვილის 2009 წლის 18 სექტემბრის განცხადებას საქმის გადადების თაობაზე, აღნიშნული განცხადება სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აპელანტისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

2009 წლის 22 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო და უცვლელად დატოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება.

2009 წლის 7 ოქტომბერს მალხუ ჟ-შვილის წარმომადგენელმა, შ. ჟ-ძემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა საჩივარი, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. აპელანტმა თავის საჩივრის საფუძველად მიუთითა, რომ ის სასამართლოში საქმეს აწარმოებდა წარმომადგენლის -შ. ჟ-ძის მეშვეობით. აპელანტის განმარტებით, სასამართლო სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე სასამართლოსთვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ 2009 წლის 22 სექტემბერს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელი ვერ გამოცხადდებოდა იმ მიზეზით, რომ იგი ამავე დღეს მიწვეული იყო სხვა სასამართლო სხდომაზე, აგრეთვე, აპელანტი მიუთითებს, რომ როგორც მხარე არ იყო მოწვეული საქართველოს სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

2009 წლის 25 ნოემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მ. ჟ-შვილის საჩივარი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი მ. ჟ-შვილი.

მოწინააღმდეგე მხარის -მ. ს-შვილისა და ნ. დ-ძის წარმომადგენელმა მ-შვილმა მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

აპელანტი მ. ჟ-შვილი 2009 წლის 22 სექტემბერს, 14-00 საათზე, დანიშნულ სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო ტელეფონის მეშვეობით, რაც დასტურდება საქმეში ჩაკერებული აქტით -"ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ", რომელიც შედგენილია სასამართლოს შესაბამისი მოხელის -სხდომის მდივნის მიერ.

სააპელაციო სასამართლოში სხდომის გამართვის დროს შ. ჟ-ძე აღარ წარმოადგენდა აპელანტ მ. ჟ-შვილის წარმომადგენელს, ვინაიდან აპელანტმა 2009 წლის 14 ივლისის განცხადებით თავის წარმომადგენელს შეუწყვიტა უფლებამოსილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ, არ არსებობს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან მხარე გაფრთხილებული იყო საქართველოს სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, ხოლო მ. ჟ-შვილის წარმომადგენელს შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნული განჩინება მ. ჟ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა 2009 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინების გაუქმება, 2009 წლის 22 სექტემბრის საოქმო განჩინება საქმის გადადების გამო მ. ჟ-შვილის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე, საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის და საქმის არსებითი განხილვის განახლება.

კასატორი მიიჩნევს, რომ აპელანტი მ. ჟ-შვილი არ იყო მოწვეული 2009 წლის 22 სექტემბერს დანიშნულ სხდომაზე დადგენილი წესით. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უშვებს ტექნიკური საშუალებით შეტყობინების შესაძლებლობას, მაგრამ ამ საპროცესო მოქმედებას კანონი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, რა მოთხოვნებიც მოცემულ შემთხვევაში არ არის დაცული, კერძოდ, მასში არ არის მითითებული გამოცხადების ადგილი, საქმის დასახელება, დავის საგანი და სხდომის დარბაზის ნომერი. კასატორის მტკიცებით, ტელეფონით შეტყობინების აქტში მითითებულია, რომ ესაუბრნენ მ. ჟ-შვილს, სინამდვილეში კი ესაუბრნენ მის მეუღლეს.

კასატორი ასევე განმარტავს, რომ 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება გამოტანილია ისე, რომ საქმეში არ დევს სხდომის ოქმი რომლის შინაარსიც შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

მ. ჟ-შვილის მტკიცებით, მას სასამართლომ არ გადასცა მის მიერ მოთხოვილი სატელეფონო საუბრის კომპიუტერული ჩანაწერი, რაც, მისი აზრით, ჩანაწერის არარსებობას ადასტურებს.

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად არ მიიღო მხედველობაში მისი 2009 წლის 18 სექტემბრის განცხადება სხდომის გადადების თაობაზე.

კასატორის მტკიცებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ დროულად არ აცნობა მას საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

მ. ჟ-შვილი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ მოუსპო მას პროცესში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა. მისი განმარტებით, არ არსებობდა მინდობილობის გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ 2009 წლის 22 სექტემბერს შ. ჟ-ძის უფლებამოსილება ჩათვალა შეწყვეტილად. ამის შემდეგ მას უფლება მისცა, გასცნობოდა საქმის მასალებს, ხოლო 2009 წლის 25 ნოემბერს, როგორც უფლებაშეწყვეტილი წარმომადგენელი აღარ დაუშვა სხდომაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, მ. ქ-შვილის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკითხები, რა დროსაც დგება აქტი, რომელიც ჩაიკვრება საქმეში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ შეტყობინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლების დარღვევით განხორციელდა, რადგან საქმეში არსებული მასალებით (სატელეფონო შეტყობინების შესახებ აქტი და სატელეფონო საუბრის დისკი) დასტურდება, რომ აღნიშნული მუხლები თბილისის სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დაცულია - კასატორს შეატყობინეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების შესახებ. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ მას არ აცნობეს სხდომის დარბაზის ნომერი, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში ნებისმიერი პირისათვის ხელმისაწვდომია იმ სასამართლო სხდომის დარბაზის ნომრის გაგება, სადაც სასამართლო პროცესი წარიმართება.

საკასაციო საჩივრის ავტორის მიერ სასამართლო სხდომის გადადების საფუძველად მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას საკასაციო პალატა მთლიანად იზიარებს და მიაჩნია, რომ იგი არ იყო ვალდებული, სასამართლო სხდომა გადაედო, რადგან საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ შ. ქ-ძე (2009 წლის 22 სექტემბერისათვის) აღარ იყო კასატორ მ. ქ-შვილის წარმომადგენელი.

მ. ქ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ 2009 წლის 22 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმი არ ასახავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის იმპერატიულ მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თუ მოხდა აღნიშნული დარღვევა, მხარეს შეეძლო გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სარჩელის შეცვლა მოსამზადებელი სტადიის დამთავრების შემდეგ**განჩინება**

#ას-1063-1330-09 22 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ც-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ს-კოს მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების -8266 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ე. ც-ვამ 2002 წლიდან 2003 წლის აგვისტომდე სხვადასხვა პერიოდში მოპასუხე ნ. ს-კოს უპროცენტოდ ასესხა 8266 აშშ დოლარი, კერძოდ, 2002 წლის 2 აგვისტოს ნ. ს-კოს მიერ შედგენილი ხელწერილით მოპასუხემ მიიღო 1000 აშშ დოლარი, 2003 წლის 6 იანვრისა და იმავე წლის სექტემბრის ხელწერილებით -1096, 1700 და 400 აშშ დოლარი. ნ. ს-კოს სესხი, 2003 წლის დეკემბრამდე ეტაპობრივად უნდა დაებრუნებინა, თუმცა, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, დათქმულ ვადაში ვალდებულება არ შეუსრულებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივით: ნ.ს-კოს მოსარჩელის მიმართ არანაირი ვალდებულება არ გააჩნია, რადგან მოსარჩელისაგან ნასესხები თანხა -1000 აშშ დოლარი პროცენტის ჩათვლით, მან სრულად გადაიხადა. ამასთან, საქმის მასალებით მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა არ დგინდება. საქმეში არსებული ხელწერილები ნ. ს-კოს არ შეუდგენია. აღნიშნულ ხელწერილებში არ არის მითითებული, თუ რა დროს ასესხა მოსარჩელემ თანხა ნ.ს-კოს და როდის უნდა დაებრუნებინა იგი. ამდენად, მტკიცებულებები, რომლებზეც ე.ც-ოვა თავის მოთხოვნას ამყარებს, ბუნდოვანი და არასარწმუნოა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 3 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ე.ც-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ.ს-კოს მის სასარგებლოდ დაეკისრა 8266 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო ამავე სასამართლოს 2004 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ნ. ს-კოს საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება ნ. ს-კომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

2007 წლის 5 ივნისსა და 2009 წლის 6 თებერვალს ე. ც-ოვამ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა პროცენტისა და ხარჯის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით ე. ც-ოვას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ნ. ს-კოს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 15829,3 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ასევე, სესხის ძირითადი თანხის -8266 აშშ დოლარის 1,5%-ის -123,99 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ყოველთვიურად გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე. მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ც-ოვამ პროცენტის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ნ.ს-კომ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით ე. ც-ოვასა და ნ. ს-კოს სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ე. ც-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ს-კოს ე.ც-ოვას სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის -8266 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო ე.ც-ოვას გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ე. ც-ოვასა და ნ. ს-კოს ჰქონდათ ახლო ურთიერთობა. მოსარჩელეს მიერ წარმოდგენილი ხელწერილებისა და მისივე განმარტების თანახმად, ე.ც-ოვამ 2002 წლიდან 2003 წლის აგვისტომდე პერიოდში მოპასუხე ნ. ს-კოს ნაწილ-ნაწილ, უპროცენტოდ ასესხა 8266 აშშ დოლარი, რაზეც ნ.ს-კომ შეადგინა ხელწერილები, კერძოდ: 2002 წლის 2 აგვისტოს -1000 აშშ დოლარზე, 2003 წლის 6 იანვარს -1825 აშშ დოლარზე და 2245 აშშ დოლარზე, 2003 წლის 2 აგვისტოს 1096 აშშ დოლარზე, ამავე წლის სექტემბერში -1700 და 400 აშშ დოლარზე. შეთანხმების შესაბამისად, ნაწილი სესხის დაბრუნება უნდა მომხდარიყო 2003 წლის დეკემბერში, დარჩენილი თანხისა კი მოთხოვნისთანავე. ნ. ს-კოს ე. ც-ოვასათვის ნასესხები თანხა არ დაუბრუნებია. გადაწყვეტილება საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი და 316-ე მუხლის პირველი წინადადება. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილით, მე-4 და 103-

ე მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლით, 429-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ მოსარჩელე ე.ც-ოვას მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი ნ. ს-კოს მიერ ხელმოწერილი სესხის ხელწერილების საწინააღმდეგოდ მოპასუხეს აღნიშნულ ხელწერილებზე მისი ხელმოწერის გაყალბების ფაქტი სათანადო მტკიცებულებით არ დაუდასტურებია. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელწერილები ნამდვილია, მათში დაფიქსირებული თანხა, რაც მთლიანობაში 8266 აშშ დოლარს შეადგენს, ნ. ს-კოს ე. ც-ოვასაგან აქვს ნასესხები, საიდანაც 2245 და 1096 აშშ დოლარის გასტუმრების ვადა იყო -2003 წლის დეკემბერი, 1825 აშშ დოლარის -2003 წლის ივნისი, 1000 აშშ დოლარის -2003 წლის აგვისტო, ხოლო 400 და 1700 აშშ დოლარი უნდა გასტუმრებულიყო მოთხოვნისთანავე. პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 361-ე და 365 მუხლების შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ხელწერილებში დაფიქსირებული ვალის -8266 აშშ დოლარის გადახდევინების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან სესხის ხელწერილები შედგენილია 2004 წლის 11 ივნისამდე, სარჩელის აღძვრამდე, მოპასუხე ნ. ს-კოს კი ვალის გასტუმრების თაობაზე შედგენილი დოკუმენტი სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ხელწერილებში დაფიქსირებული სესხი -8266 აშშ დოლარი ნ. ს-კოს ე. ც-ოვასათვის არ დაუბრუნებია. სააპელაციო პალატამ გაიზიარა ნ. ს-კოს სააპელაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრება, რომ ე. ც-ოვას გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტის დაკისრების შესახებ დაუშვებელია და პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა იგი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 224-ე მუხლის პირველი ნაწილის, 83-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის მომზადება დასრულდა ჯერ კიდევ 2004 წლის 3 სექტემბერს და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, რის შემდეგაც სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე საჭირო იყო მოპასუხის თანხმობა. პალატის მითითებით, ე.ც-ოვამ თავისი სასარჩელო მოთხოვნა გაზარდა საქმის მომზადების დასრულების შემდეგ, თავდაპირველად -2007 წლის 5 ივნისს, ხოლო შემდეგ -2009 წლის 6 თებერვალს. ამასთან, მოპასუხე მოთხოვნის გაზრდას არ დაეთანხმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტის დაკისრების თაობაზე უნდა გაუქმდეს და, ამავე კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად ე. ც-ოვას გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა უნდა დარჩეს განუხილველად. პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გამოყოფილი არ არის, თუ რა ოდენობით დაეკისრა მოპასუხეს სესხის ძირითადი თანხისა და ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტის გადახდა; არ ირკვევა, რა თანხას წარმოადგენს ე. ც-ოვას სასარგებლოდ ნ. ს-კოსათვის გადასახდელად დაკისრებული 15829,3 აშშ დოლარი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტ ნ.ს-კოს მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა სასამართლო სხდომაზე მორიგების მიზნით გამოთქმული მისი მოსაზრება 8000 აშშ დოლარის გადახდასთან დაკავშირებით და მიიჩნია მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტის დამადასტურებლად, ვინაიდან მორიგების ეტაპზე მოპასუხის მიერ გამოთქმული მოსაზრება თანხის გადახდის მზადყოფნაზე არ წარმოადგენს სარჩელის აღიარებას ან სათანადო მტკიცებულებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე და 102-ე მუხლებით გათვალისწინებული მხარის აღიარების საფუძველზე სესხის ხელშეკრულებისა და ვალის არსებობის დასამტკიცებლად, თუმცა, პალატის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ ზემოხსენებული ფაქტის არასწორ შეფასებას არ გამოუწვევია სესხის ხელშეკრულებისა და ვალის არსებობის ფაქტის არასწორი დადგენა და სასამართლოს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებაზე გავლენა არ მოუხდენია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნის განუხილველად დატოვების ნაწილში ე. ც-ოვამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ მოცემული საქმის მომზადება დასრულდა ჯერ კიდევ 2004 წლის 3 სექტემბერს, რის შემდეგ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე საჭირო იყო მოპასუხის თანხმობა და ასეთის არარსებობისას პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, დაეკმაყოფილებინა გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა პროცენტის დაკისრების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის, 431-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნებისას მისი განხილვა იწყება თავიდან. საქმეთა განხილვის წესები რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეოთხე კარში ასახული 177-ე-291-ე მუხლებით, რაც მე-200-209 მუხლების შესაბამისად, მოიცავს საქმის მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების სტადიასაც. მოცემულ დავასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების შემდეგ საქმე ხელახლა განსახილველად დაექვემდებარა პირველი ინსტანციის სასამართლოს

და ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, კანონით დადგენილი წესების დაცვით ხელახლა მოემზადებინა საქმე, რის შემდეგ გამოეტანა განჩინება მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ. ამ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა გაზრდილ იქნა სწორედ საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე და მოპასუხის მიერ გაზრდილ მოთხოვნაზე შესაგებლის წარმოდგენის, ანუ საქმის მომზადების დასრულების შემდეგ მიღებული განჩინებით დაინიშნა მთავარი სხდომა, რაც სავსებით შეესაბამება საპროცესო კანონის მოთხოვნებს. ამდენად, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა სწორედ საქმის მომზადების სტადიაზე გაზარდა და აღნიშნულისათვის მოპასუხის თანხმობა სავალდებულო არ იყო. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის ცვლილება -შემცირება ან გადიდება არ ითვლება სარჩელის შეცვლად. ამდენად, მოსარჩელეს შეუძლია, მითითებული საპროცესო მოქმედება შეასრულოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და მოპასუხის თანხმობა ამისათვის არ ესაჭიროება. ასეთ შემთხვევაში უმთავრესია, მოპასუხეს დროულად ეცნობოს სარჩელის მოთხოვნის გაზრდის შესახებ, რაც მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დროულად განახორციელა და საპასუხოდ ნ.ს-კომ სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რის შემდეგაც ჩაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა. ამდენად, ზემოხსენებული არგუმენტები ადასტურებს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი და დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა აღნიშნული მუხლის მეოთხე ნაწილი, რის შედეგად უსაფუძვლოდ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ც-ოვას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევა არ მომხდარა, ხოლო ამავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის საკასაციო სასამართლოს დასკვნას სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის კანონიერებასთან დაკავშირებით და თვლის, რომ ზემდგომი ინსტანციის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის ქვედგომ ინსტანციაში დაბრუნების შედეგად საქმის განხილვა იწყება საქმის წინასწარი მომზადების სტადიიდან. შესაბამისად, ამ ეტაპზე დასაშვებია სარჩელის გაზრდა.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარზე უარის თქმის უპირველეს საფუძვლად მიიჩნევს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIV თავით დადგენილი საქმის სასამართლოს მთავარი სხდომისათვის მომზადება წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების პირველ ეტაპს. ამ დროს სასამართლო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოპასუხის ინფორმირებისა და სარჩელთან მიმართებით მისი პოზიციის წერილობითი ფორმით დაფიქსირებასთან ერთად, ამავე კოდექსის 203-ე მუხლის მიხედვით, წყვეტს ისეთ საკითხებს, რომელიც ხელს უწყობს მთავარ სხდომაზე საქმის ეფექტურ განხილვას.

საქმის წარმოების აღნიშნული ეტაპის დასრულების შემდეგ, სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, გამოიტანს განჩინებას სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე. ამდენად, საქმეზე მთავარი სხდომის დანიშვნა დასტურია იმისა, რომ მოცემულ საქმეზე წინასწარი მომზადების სტადია დამთავრებულია. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დაუსწრებელი გადაწყვეტილებისათვის დადგენილი წესების თანახმად, აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილების მისაღებად მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობასთან ერთად კანონმდებელი აუცილებელ წინაპირობად მიუთითებს საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 24 აგვისტოს განჩინებით, საქმეზე ე.ც-ოვას სარჩელის გამო, ნ.ს-კოს მიმართ თანხის დაბრუნების თაობაზე დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, რაც უდავოდ ამტკიცებს, რომ მოცემულ საქმეზე მოსამზადებელი ეტაპი სწორედ ამ დროს დასრულდა. ამავე სასამართლოს 2004 წლის 3 სექტემბრის, მთავარ სხდომაზე მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება ე. ც-ოვას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, ნ. ს-კოს სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობა-

ზე დაკმაყოფილდა და საქმე არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის განჩინებით ჩაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა ისე, რომ, საქმის მომზადების მიზნით, რაიმე საპროცესო მოქმედებები არ განხორციელებულა. მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის ეტაპზე მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან ერთად მოითხოვა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პროცენტის, ასევე, სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება. ამდენად, ცხადია, რომ ე.ც-ოვამ დაზუსტებული სარჩელით თვისობრივად ახალი სასარჩელო მოთხოვნა წარადგინა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ივლისის განჩინებით ე.ც-ოვას დაზუსტებული სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად მოპასუხის თანხმობის გარეშე.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე საჭირო იყო მოპასუხის თანხმობა და ასეთის არარსებობისას, პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გაზრდილ სასარჩელო მოთხოვნაზე გამოეტანა გადაწყვეტილება. მითითებული დასკვნა ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის, 431-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნებისას მისი განხილვა იწყება თავიდან - საქმის წინასწარი მომზადების სტადიიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლით დადგენილი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ხელახლა განხილვისათვის საქმის დაბრუნებისას, სააპელაციო სასამართლო თავის განჩინებაში უთითებს რა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველებს, საქმის ხელახლა განხილველ სასამართლოს ავალებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებების შესრულებას, რაც არ გულისხმობს აუცილებლად საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე დაბრუნებას. აღნიშნულს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას იმ მოტივით, რომ აუცილებელია საქმის მოსამზადებლად განკუთვნილი საპროცესო მოქმედებათა შესრულება. აღნიშნული მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას, გადაწყვეტილების გაუქმებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლის საფუძველზე საქმის მოსამზადებელი სხდომიდან გაგრძელების შესახებ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დასახელებული ნორმა ადგენს არა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევას, არამედ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლებისას მისი ხელახლა განხილვის პროცესუალურ წესს. ამდენად, კანონის აღნიშნული დანაწესი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაუქმებული გადაწყვეტილების შედეგად საქმის ხელახლა განხილვისათვის დადგენილ საპროცესო ნორმად ვერ იქნება მიჩნეული.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის არგუმენტი, რომ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის ცვლილება, კერძოდ კი მისი ოდენობის გაზრდა, არ წარმოადგენს სარჩელის შეცვლას და აღნიშნული მხარეს შეუძლია განახორციელოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება. დასახელებული ნორმის დანაწესი ადგენს იმ კონკრეტულ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ იწვევს სარჩელის შეცვლას. აღნიშნული ჩამონათვალი არ მოიცავს მითითებას სარჩელის გაზრდაზე, არამედ მიუთითებს მხარის მიერ წაყენებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში შესაძლო ცვლილებაზე, კერძოდ, ერთი ნივთის მეორეთი შეცვლაზე, მისი ღირებულების ანაზღაურებაზე, მოთხოვნის დაზუსტება-დაკონკრეტებაზე და სხვა. მოცემულ შემთხვევაში, დაზუსტებული სარჩელით მარტო თანხის ოდენობა კი არ გაზრდილა, არამედ წარდგენილ იქნა ახალი სასარჩელო მოთხოვნა - ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პროცენტის გადახდა, რომელიც თავისი იურიდიული ბუნებით ზიანის ანაზღაურებაა და დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. ც-ოვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სასამართლო მტკიცებულებები

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-670-975-09

6 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ბინის ქირის დაკისრება, სამკვიდრო მიწების ვადის გაგრძელება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 3 იანვარს ი. მ-იანმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ი. შ-ინას მიმართ და მოითხოვა 2004 წლის 8 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა თავისი სამართლებრივი შედეგებით და მოსარჩელისათვის კ. მ-იანის სამკვიდრო უძრავ ქონებაზე სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. მ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაონული სასამართლოს 2005 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი ი. მ-იანსა და კ. მ-იანს შორის ნათესაური კავშირის შესახებ, კერძოდ, დადგენილ იქნა, რომ ი. მ-იანი არის აწ გარდაცვლილი კ. მ-იანის მეხუთე რიგის მემკვიდრე - ბიძაშვილის შვილი;

2004 წლის 8 ნოემბერს კ. მ-იანსა და ი. შ-ინას შორის ქართულ ენაზე დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კ. მ-იანის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #18-ში, შეიძინა ი. შ-ინამ. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 20 000 ლარით.

კ. მ-იანი გარდაიცვალა 2004 წლის 20 ნოემბერს 84 წლის ასაკში დიაგნოზით - მარცხენა ქვემო კიდურის განგრენა, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა;

2004 წლის 8 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 2004 წლის 16 ნოემბერს, თბილისში, ... ქ. #18-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ი. შ-ინას სახელზე;

2004 წლის 8 ნოემბერს სანოტარო ბიუროში წარსადგენად გაცემული იქნა ამონაწერი შპს "თბილისის #3 მოზრდილთა პოლიკლინიკის" ექიმის შ-ძის მიერ, რომლის თანახმად, გაკეთდა დასკვნა, რომ კ. მ-იანი ქმედუნარიანი იყო;

2008 წლის 25 ივნისს საქმეზე სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის თანახმად, რუსულ ენაზე ხელმოწერა კ. მ-იანის სახელით გრაფაში "სანოტარო აქტის მიმღების ხელმოწერა" შესრულებული იყო კ. მ-იანის მიერ, ხოლო იმის გამო, რომ ქართულ ენაზე ხელმოწერის შედარებითი კვლევა არ ჩატარებულა კ. მ-იანის

ხელმოწერის ნიმუშებთან, რადგან ისინი არ შეიცავს ერთნაირ წერით ნიშნებს საიდენტიფიკაციოდ (ვინაიდან გამოსაკვლევი ხელმოწერები შესრულებული იყო ქართულ ენაზე, ხოლო შედარებითი კვლევისათვის წარმოდგენილი იყო მხოლოდ რუსულ ენაზე შესრულებული ხელმოწერის ნიმუშები) ექსპერტებმა უარი თქვეს დასკვნის გაცემაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მტკიცების საგანში შედიოდა, დაემტკიცებინა, ერთ შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე კ. მ-იანის ხელმოწერის არარსებობა და მეორე შემთხვევაში -გარიგების დადების დროისთვის კ. მ-იანის მიერ რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარის დაკარგვა, ვინაიდან ი. მ-იანი თავის მოთხოვნას ამყარებდა ამ ორ გარემოებაზე.

მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული მასალების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო დაედგინებინა, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ ეკუთვნოდა კ. მ-იანს. ხოლო ის გარემოება, რომ კ. მ-იანი ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდებოდა ნოტარიუსთან, არ იძლეოდა ისეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ გარიგება არ იყო დადებული კ. მ-იანის მიერ. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ კ. მ-იანი ყოველთვის წერდა რუსულად და, საუბრობდა რუსულ ენაზე, არ იძლეოდა უტყუარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მან არ იცოდა ქართული წერა-კითხვა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე კ. მ-იანის ხელმოწერა. ვინაიდან ექსპერტიზამაც უარი განაცხადა კვლევაზე და, შესაბამისად, დასკვნის გაცემაზე -ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ქართულად შესრულებული ხელმოწერა ეკუთვნოდა თუ არა კ. მ-იანს.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის კ. მ-იანს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო რეალური ვითარების სწორად აღქმა, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები საქმეში არ მოიპოვებოდა.

სასამართლომ საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების გაანალიზების შედეგად, დადასტურებულად ვერ ჩათვალა, რომ სადავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ ეკუთვნოდა კ. მ-იანს და ასევე ის, რომ 2004 წლის 8 ნოემბერს ხელშეკრულების დადების მომენტისათვის კ. მ-იანი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ იქნებოდა მიჩნეული ქმედუნარიანად.

სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე და 58-ე მუხლებზე.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ი. მ-იანს დარღვეული ჰქონდა სამკვიდროს მიღების ვადა და ის გარემოება, რომ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლებული იყო ი. მ-ინა, ვერ გახდებოდა სამკვიდროს მიღების დადგენილი ვადის გადაცილების საპატიო მიზეზად, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდროს მიღებად ითვლება არა მარტო ქონების ფაქტობრივად დაუფლება, არამედ სამკვიდროს მიღების თაობაზე ნების გამოვლენა ნოტარიუსთან განცხადების წარდგენის ფორმით, რაც განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს არ გაუკეთებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით ი. მ-იანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების მიმართ მის მიერ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების გარეშე. ამასთან, პალატამ ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე და 58-ე მუხლები და სწორად დაასკვნა, რომ არ არსებობდა სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სასამართლომ განჩინების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. კერძოდ, ხელშემკვერელი მხარის ქმედუნარიანობის დადგენისას უხეშად იქნა დარღვეული შესაბამისი სამედიცინო ხასიათის წესები და ასევე ის, რომ ხელშეკრულების მხარეთა ქართული ენის ან მისი დამწერლობის არცოდნის პირობებში არ იქნა მოწვეული თარჯიმანი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს საპროცესო ნორმათა დარღვევა, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოების არასწორად შეფასება და ამის შედაგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი საკასაციო პრეტენზიას აფუძნებს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები. კასატორი არ უთითებს, თუ რომელი საპროცესო ნორმები დაარღვია სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასების თუ ფაქტობრივი გარემოებების დარღვევის გამო. კასატორი ასევე არ მიუთითებს სხვა რაიმე მტკიცებულებაზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა შესწავლილი და გამოკვლეული და რომელიც გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ექიმ-ნერვოპათოლოგის მიერ გაცემულ ცნობაში გაკეთებული დასკვნა სადავო გარიგების დადების მომენტისათვის კ. მ-იანის ქმედუნარიანობის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან კასატორის მიერ ამ გარემოების უარყოფელი მტკიცებულება საქმის მასალებში არ მოიპოვება. ცნობაში მითითებული ფაქტები ექიმმა მ. შ-მ დაადასტურა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით მიცემულ ჩვენებაშიც.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მითითებას იმის შესახებ, რომ კ. მ-იანმა არ იცოდა ქართული წერა-კითხვა. თვით მოსარჩელე მხარის ინიციატივით დაკითხული მოწმე მ. ი-მის ჩვენებით დასტურდება, რომ კ. მ-იანმა იცოდა ქართულ ენაზე წერა-კითხვა. მხოლოდ ის გარემოება, რომ კ. მ-იანი არ იყო ეროვნებით ქართველი, ჰქონდა მიღებული რუსული განათლება და წერდა რუსულად, არ იძლევა უტყუარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მან არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად განიხილა და შეაფასა მტკიცებულებები.

რაც შეეხება სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას, კასატორი არ უთითებს, თუ რაში გამოიხატება ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა. ამასთან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კასატორს სანოტარო ბიუროსათვის მიუმართავს კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში, შესაბამისად, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ მოთხოვნა უსაფუძვლოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. მ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-734-1032-09

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-შვილის სარჩელი ი. გ-ძის და ლ. კ-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ქ-შვილმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 9 დეკემბერს დაახლოებით ღამის 3 საათსა და 30 წუთზე მოპასუხეების ლ. კ-ძის და ი. გ-ძის მფლობელობაში არსებულ ბინაში, მდებარე ქ.თბილისი, ... ქ.#5-ში გაჩნდა ხანძარი. აღნიშნული გარემოება დასტურდება 2006 წლის 9 დეკემბრის ხანძრის შესახებ აქტითა და მხარეთა განმარტებებით.

თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილების ინსპექტორის მიერ შედგენილ აქტზე თანდართული ჩამონათვალის თანახმად, მ. ქ-შვილს წყლისაგან დაუზიანდა 35 კვ.მ 1 ოთახი, 25 კვ.მ შემინული დერეფანი, ტუალეტი, აბაჯანა, საერთო ფართობით 60 კვ.მ-ით და საოჯახო ნივთები. ხანძრის გაჩენის ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებელმა დანიშნა სახანძრო ექსპერტიზა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 20 თებერვლის დასკვნით, დადგენილია, რომ ხანძრის კერა იმყოფებოდა სახლის მესამე სართულზე. დერეფნის პერპენდიკულარულ, ქუჩის მხარეს განთავსებულ ოთახში, შესასვლელიდან მარცხენა მხარეს, ოთახის შუა ნაწილში იატაკზე და რომ ხანძრის გაჩენა დაკავშირებულია ელ.ტექნიკურ მიზეზებთან.

პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ხანძრის გამომწვევ მიზეზს და განისაზღვრებოდა ზიანის ოდენობა.

პალატამ ასევე დადგინებულად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით დაინიშნა სასაქონლო ექსპერტიზა, მიყენებული ზიანის ოდენობის დასადგენად. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 16 აპრილის მოწერილობით ირკვევა, რომ ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება დაკისრებული ჰქონდათ მხარეებს თანაბარწილად, რაზეც მათ ეცნობათ წერილობით. იმ მიზეზით, რომ მხარეებმა არ გადაიხადეს ექსპერტიზის ხარჯები ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დელიქტური პასუხისმგებლობისათვის სავალდებულოა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეების ქმედება, რაც მოსარჩელის განმარტებით გამოიხატა შტეფსელში ელექტროჩანგლის ჩატოვებაში, არ იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, შესაბამისად, ამ მოქმედების შედეგად ზიანის მიყენების შესაძლებლობა დაუსაბუთებელია.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ქ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის განჩინების გაუქმება.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლო ძირითად მტკიცების ტვირთს აკისრებს მას, როგორც მოსარჩელეს და მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ წარდგენილი იყო შსამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასკვნა თბილისის მერიის საგანგებო სიტუა-

ციების საქალაქო სამსახურის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილების ინსპექტორის მიერ შედგენილი აქტი, სასამართლომ მაინც არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, მაშინ, როდესაც აღნიშნული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ წყლისგან დაზიანდა როგორც ოთახები, ისე ნივთები და რომ დენის ცვალებადობა არ დაფიქსირებულა.

კასატორის აზრით, სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ დამწვარი ოთახის ელ.ქსელის შტეფსელში ელ.ჩანგლის ჩატოვება არ იქნა მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიჩნეული იყო არასწორი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ქ-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა იზიარებს კასატორის აზრს, იმის თაობაზე, რომ სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავის შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები შეფასებული არ არის აღნიშნული ნორმის მოთხოვნათა დაცვით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა კუთვნილი ნივთების დაზიანების ფაქტი, გაკეთებულია ზემოთ მითითებული ნორმის მოთხოვნათა უგულვებელყოფით.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ქ-შვილის ბინაში ხანძრის ჩაქრობის გამო ჩავიდა წყალი. მხარეს მისთვის მატერიალური ზარალის მიყენების დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს მტკიცებულება -მერიის სგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილების ინსპექტორის მიერ შედგენილი ე.წ. ხანძრისაგან მიყენებული მატერიალური ზარალის ჩამონათვალი. სასამართლოს მოსაზრება აღნიშნულ მტკიცებულებასთან მიმართებით ასახული არ არის გადაწყვეტილებაში, რაც ზემოთ მითითებული ნორმის დარღვევაა. ის გარემოება, რომ არ ჩატარდა სასაქონლო ექსპერტიზა, არ ნიშნავს იმას, რომ ზიანის მიყენების ფაქტი არ არსებობს, არ დაზიანებულა მოსარჩელის ქონება. ხშირ შემთხვევაში ხანძრის შედეგად მთლიანად ნადგურდება ადამიანის ქონება და შეუძლებელი ხდება სწორედ დაზიანებული ნივთებისათვის ექსპერტიზის ჩატარება, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს ზიანის ოდენობის განსაზღვრის შესაძლებლობას, თუნდაც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთების საშუალო ღირებულების გამოთვლით. პალატა მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ დგინდება ზიანის მიყენების ფაქტი, შეუძლებელია მხარეს უარი ეთქვას ზიანის ანაზღაურებაზე დაზიანებული ნივთების ღირებულების დაუდგენლობის გამო.

რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, პალატა თვლის, რომ აღნიშნულთან დაკავშირებითაც მტკიცებულებები არასწორადაა შეფასებული და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. საქმეში წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო -კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასკვნის თანახმად, ხანძრის გაჩენა დაკავშირებული ელ. ტექნიკურ მიზეზებთან. ფაქტია, რომ ხანძრის გაჩენა არ უკავშირდება სტიქიურ მოვლენებს ან სხვა რაიმე გარეშე მოვლენებს. ასეთ შემთხვევაში ხანძარი გამოწვეული უნდა იყოს კონკრეტული მიზეზით და კონკრეტული პირის ქმედებით, კერძოდ, ელექტროენერჯის მიმწოდებლის ან მომხმარებლის ბრალით. ბრალეული პირის დადგენა-არდადგენა კი უკავშირდება სათანადო მოპასუხის არსებობა არარსებობის ფაქტს. აღნიშნული საკითხი განმხილველ სასამართლოთა მიერ შეფასებულია არასრულად. ამ შემთხვევაშიც უგულვებელყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნული კი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეგროვება, შეფასება

განჩინება

#ას-949-1228-09

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მავთულბადის და ბეტონის ღობეთა (ნაგებობათა) დემონტაჟით, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, საზიარო უფლების გაუქმება და წილთა რეალური გამოყოფა, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. დ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეებს -ნ. გ-ავას, გ. თ-შვილს და რ. რ-შვილს დაევაღათ მათ მიერ თბილისში, ... ქ.#17-ში მდებარე 528 კვ.მ-ის მქონე, მხარეთა საერთო საკუთრების 17\17 მიწის ნაკვეთზე გავლებული მავთულბადის და აგებული ბეტონის ღობეთა დემონტაჟი (აღება-დანგრევა);

ამავე გადაწყვეტილებით დ. დ-შვილის სარჩელი საზიარო უფლების გაუქმების, წილთა რეალურად გამოყოფის, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რ. რ-შვილმა, გ. თ-შვილმა და ნ. გ-ავამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინებით რ. რ-შვილის, გ. თ-შვილის და ნ. გ-ავას სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

გაუქმდა თბილისის საქალაქო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება დ. დ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში დ. დ-შვილის სარჩელი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-დ. დ-შვილი წარმოადგენს თბილისში, ... #17, კორპუსში მდებარე #6 ბინის მესაკუთრეს წილობრივი მონაცემებით: 28\233

-გ. თ-შვილი წარმოადგენს ... #17 კორპუსში მდებარე ბინის მესაკუთრეს; წილობრივი მონაცემებით: 28\233

-ნ. გ-ავა წარმოადგენს ... ქუჩა #17 კორპუსში მდებარე #7 ბინის მესაკუთრეს

-რ. რ-შვილი წარმოადგენს ... ქუჩა 317 კორპუსში მდებარე #8 ბინის მესაკუთრეს

-სააპელაციო სასამართლომ მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის და საკადასტრო გეგმის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია გარემოება იმის თაობაზე, რომ თბილისში, ... მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (... ზონა, ნაკვეთი #017\065 დაზუსტებული ფართობით: 1738.00 კვ.მ) #17 მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სადავო ნაგებობები, წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ბინის მესაკუთრეთა შორის არსებული ურთიერთობის განმსაზღვრელი ნორმებით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2008 წლის 28 ნოემბერს ე.ო. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემ-

დგომ, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სწორედ ზემოაღნიშნული კანონით, ვინაიდან, ახალი კანონი მოიცავს იმ ურთიერთობებს, რომლებიც აღარ არის მოწესრიგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. დ-შვილის წარმომადგენელმა თ. კ-ემ.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის განხილვისას დაარღვია სამართლის ნორმები. კერძოდ კი: 1) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის ნორმები მრავალბინიან სახლებში ბინის საკუთრების შესახებ (210-ე-232-ე) მუხლები; 2) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. არ უნდა გამოეყენებინა 2007 წლის 11 ივლისის კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონი და 3) არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მესამე ნაწილი და არასწორად გამოიყენა კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებით, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების (განჩინების) მიღება.

კასატორი თვლის, რომ არაარგუმენტირებული და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სადავო განჩინების მოტივაცია იმის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გასაჩივრებულ 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გამოტანისას თითქოს და არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის ნორმები მრავალბინიან სახლებში ბინის საკუთრების შესახებ (210-ე-232-ე მუხლები), რომლებიც აწესრიგებდა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კასატორს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას სწორად იხელმძღვანელა მრავალბინიან სახლებში ბინის საკუთრების მოწესრიგებელი ნორმით, რადგან მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ზემოაღნიშნული კანონის მიღებამდე, რამოდენიმე წლით ადრე.

კასატორის აზრით ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს თბილისის საქალაქო სასამართლომ სააპელაციო წესით გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორად დაადგინა და შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ ... ქ. #17-ში მდებარე სადავო ნაგებობები (უკანონო მავთულ-ბადის და ბეტონის ლობეები) მოდავე მხარეთა საკუთრებაში არსებული დაუზუსტებელი მიწის ნაკვეთზეა განთავსებული, რადგან საჯარო რეესტრის ამონაწერით და საკადასტრო გეგმით, მისი მესაკუთრე არის სახელმწიფო. საჯარო რეესტრის ამონაწერით თბილისის ... (ნაკვეთი #17\065) არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი #17 უკვე დაზუსტებული ფართობით -1738 კვ.მ-ით სადავო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ 2009 წლის 12 იანვარს აღირიცხა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელზე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძველის მითითების გარეშე, მაგრამ 2008 წელს საქმის განხილვისას ამ გარემოებას საქალაქო სასამართლო ვერ გაითვალისწინებდა. საჯარო რეესტრის 2009 წლის 9 ივლისის და 2009 წლის 31 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერებით კი, რომელიც დღემდე არ შეცვლილა დასტურდება, რომ დ. დ-შვილზე პირად საკუთრებაში ირიცხება თბილისში, ... ზონაში მრავალბინიან კორპუს #17-ში მდებარე სახლში ბინა #6 და ბინა #3, ხოლო თანასაკუთრების უფლება გააჩნია ... ქ.#17-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის მიმდებარე ტერიტორია-ეზოზე, დაუზუსტებელი 528,00 კვ.მ-ზე, ანუ არსებობს საჯარო რეესტრის ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერები და სააპელაციო სასამართლოს არ გამოურკვევია, რამ განაპირობა აღნიშნული.

კასატორის განმარტებით არა არგუმენტირებულია და უკანონო სააპელაციო სასამართლოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საერთო ეზოში აპელანტთა მხრიდან ბინის მესაკუთრე დ. დ-შვილთან შეთანხმების გარეშე, მათ მიერ განხორციელებული 2,5 მეტრი სიმაღლის მქონე ბეტონის კედლები, მავთულ-ბადეები და გამყოფი კედლები არ უნდა დაინგრეს, რადგან ეზო ამჟამად წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება გააუქმა იმ საფუძველით, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მიწა, რომელზეც განთავსებულია სადავო ნაგებობები, წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, სახელმწიფო კი მხარედ არ მონაწილეობდა დავაში. აღნიშნული მოსაზრება არასწო-

რია. მოსარჩელეს სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნები არ გააჩნია. ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ შელახა მისი უფლებები, მის საკუთრებაში მიწის არსებობით სარჩელში არსად მითითებული არ არის. მხოლოდ ის გარემოება, რომ მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის, არ ნიშნავს იმას რომ იგი ცალსახად უნდა მონაწილეობდეს განსახილველ საქმეში მხარედ. მხარის განმარტებით, ქონებით სარგებლობაში მას ხელი ეშლება არა მიწის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობით, არამედ ამ მიწაზე მოპასუხის მიერ აშენებული ნაგებობების არსებობით. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მხარეს დავა აქვს სარჩელში მითითებულ პირებთან და არა სახელმწიფოსთან. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ დავაში შეუძლებელია მხარედ ჩაერთოს სახელმწიფო.

ასევე სასამართლო მიერ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მითითებული მეორე არგუმენტი იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა შეისწავლოს საკითხი, ესაჭიროებოდათ თუ არა მოპასუხეებს აღნიშნული ნაგებობა წყლის ნიაღვრის შესაჩერებლად, პალატის აზრით, არასწორია. როგორც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშია მითითებული, სადავო ღობის სიმაღლე 2,5 მეტრია. ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, რა მტკიცებულების საფუძველზეა შესაძლებელი ასეთი სიმაღლის ღობის წყლის ნიაღვრისაგან დამცავ საშუალებად მიჩნევა. ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული არგუმენტი წარმოადგენს მოპასუხის შესაგებელს სარჩელზე და, შესაბამისად, მასვე ეკისრება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მტკიცებულებების წარმოდგენა. კერძოდ კი იმის დადასტურება, რომ სწორედ მითითებული ნაგებობა არის წყლის ნიაღვრისაგან დაცვის საშუალება. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ განიხილოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, შეაფასოს ისინი და დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, თუ არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადაგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ არ არის მითითებული ისეთი არგუმენტები, რაც ცალსახად საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების აუცილებლობაზე მითითებს, ასეთ შემთხვევაში კი პალატა სასამართლოს განჩინებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე1" ქვეპუნქტის თანახმად, არასრულად დასაბუთებულად მიიჩნევს. რის გამოც პალატის აზრით, იგი უნდა გაუქმდეს და ხელახლა უნდა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია თვითონ განიხილოს დავა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებების შეფასება, ექსპერტის დასკვნა

განჩინება

#ას-589-896-09

22 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ანდერძის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ტ-მ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სანოტარო ბიუროს ნოტარიუს ლ. გ-იანის მიმართ, მესამე პირი -ა. ა-ოვი, 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: მ. ტ-მ-იანი ცხოვრობს ქ.თბილისში, ... მე-2 შესახვევში მდებარე

83.98 კვ.მ #4 საცხოვრებელ სახლში (საცხოვრებელი 69.72 კვ.მ), საიდანაც 1\15 წილი ეკუთვნის ა. ა-ოვს, 1\15 -ო. კ-იანს, 1\15 -ს. შ-იანს, 6\15 -აწ გარდაცვლილ ა. ტ-მ-ოვს, ხოლო 6\15 -მოსარჩელეს. 2003 წლის 17 ივლისს მოსარჩელის შიდა ა. ტ-მ-ოვი გარდაიცვალა. სამკვიდროს გახსნის დროისთვის მოსარჩელე მ. ტ-მ-იანის მამა ცოცხალი აღარ იყო და, შესაბამისად, კანონით განსაზღვრული წილი მოსარჩელეზე უნდა გადასულიყო. მ. ტ-მ-იანმა სამკვიდროს მისაღებად მიმართა სანოტარო ბიუროს, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ სამკვიდრებელმა თავისი ქონება უანდერძა ა. ა-ოვს. მითითებული ანდერძი ყალბია -ა. ტ-მ-ოვი გარდაცვალების დროისთვის იყო 81 წლის, ავადმყოფი და ჭკუასუსტი. მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეგნება და წარმართვა. მან დაამთავრა სომხურენოვანი სკოლის 3 კლასი და საერთოდ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა, ანდერძიდან კი ირკვევა, რომ მის შედგენას თარჯიმანი არ დასწრებია. ანდერძზე ხელმოწერი მოწმეები -რ. დ-იანი და ნ. ჩ-იანი ა. ა-ოვის ახლობლები არიან.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის მითითება ა. ტ-მ-ოვის ჭკუასუსტობისა და ქართულად წერა-კითხვის უცოდინრობის თაობაზე. სამკვიდრებელი გარდაცვალებამდე საღ გონებაზე იმყოფებოდა და შეეძლო ნამდვილი ნების გამოვლენა. მან დაამთავრა ქ.თბილისის #79 საშუალო სკოლის 8 კლასი, რაც ქართულ ენაზე წერისა და კითხვის შესწავლისათვის საკმარისი იყო. ამასთან, ანდერძის კონკრეტული მოწმეების მიერ დადასტურებით ანდერძის ნამდვილობის კანონით დადგენილი პირობები არ დარღვეულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ტ-მ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნოტარიუს ლ. გ-იანის მიერ 2000 წლის 7 სექტემბერს დადასტურებული ა. ტ-მ-ოვის მიერ შედგენილი ანდერძი ცნობილ იქნა ბათილად, რაც ა. ა-ოვმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ.ტ-მ-იანმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იშუამდგომლა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით მ.ტ-მ-იანის შუამდგომლობა განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა -ამავე სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით კი ა. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. ტ-მ-იანის სარჩელს უარი ეთქვა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ... მე-2 შესახვევის #4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 6/15 საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ა. ტ-მ-ოვს, რომელიც გარდაიცვალა 2003 წლის 17 ივლისს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული გარდაცვალების მოწმობა. მ. ტ-მ-იანი წარმოადგენს გარდაცვლილი ა. ტ-მ-ოვის ძმისშვილს, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ა. ტ-მ-იანი წარმოადგენს მ. ტ-მ-იანის ბიძას, ანუ მამის - ა. ტ-მ-იანის ძმას. პალატამ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელია და საქმის მასალებით არ დასტურდება სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე არსებული მოანდერძის ხელმოწერა არ არის განხორციელებული მოანდერძის, ა. ტ-მ-ოვის მიერ, . საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 29 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ანდერძსა და შესადარებელ ნიმუშებზე განხორციელებული ხელმოწერები ეკუთვნის ერთსა და იმავე პიროვნებას -ა. ტ-მ-ოვს. სააპელაციო სასამართლომ 2005 წლის 6 მაისის ექსპერტიზის დასკვნა არ ჩათვალა იმ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ ანდერძზე განხორციელებული ხელმოწერა არ ეკუთვნის ა. ტ-მ-ოვს, რადგან სადავოა და დადგენილი არ არის შესადარებელ ნიმუშზე არსებული ხელმოწერის ა. ტ-მ-ოვისადმი კუთვნილების ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილით მხარეები არ არიან შეზღუდული გამოსაკვლევი ნიმუშების წარდგენაში, ანუ სამოქალაქო პროცესი სრულ შესაძლებლობას ანიჭებს მათ თავისუფლად, საკუთარი შეხედულებით წარმოადგინონ გამოსაკვლევი ობიექტები. მიუხედავად ამისა, სასამართლო ვალდებულია, თვითონ განსაზღვროს აუცილებელი მასალების წრე. ამგვარი დათქმა თავისთავად არ გულისხმობს მხოლოდ იმ მასალებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, არამედ იგი უფრო გავრცობილად უნდა განიშროს, კერძოდ, იმის დასადგენად, ეკუთვნოდა თუ არა ანდერძზე ხელმოწერა კონკრეტულ პიროვნებას, ჯერ უტყუარად უნდა დადგინდეს, ნამდვილად ამავე პირმა მოაწერა თუ არა ხელი ექსპერტიზაზე დადგენილ შესადარებელ ნიმუშს. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული გარემოება საქმეში არსებული ა. ტ-მ-ოვის კუთვნილი ვეტერანის ანკეტის მიმართ დადგენილი არ არის, ამიტომ სასამართლო ვერ დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც დასტურდება, რომ ანდერძზე განხორციელებული ხელმოწერა არ არის ვეტერანთა ანკეტაზე შესრულებული ხელმოწერის იდენტური. რაც შეეხება, სასამართლო ექსპერტიზის 2008 წლის 29 ოქტომბრის დასკვნას, პალატამ აღნიშნა, რომ მო-

ცემულ შემთხვევაში შესადარებელ ნიმუშად წარმოდგენილ იქნა სადაზღვევო მოწმობა, რომელზე არსებული ა. ტ-მ-ოვის ხელმოწერის ამავე პირისადმი კუთვნილება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნით სადაზღვევო მოწმობაზე არსებული ხელმოწერისა და ანდერძზე არსებული ხელმოწერის იდენტურობის დადგენის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ანდერძზე არსებული ხელმოწერა ეკუთვნის მოანდერძე ა. ტ-მ-ოვს და ანდერძის შედგენისას მან ნამდვილი ნება გამოავლინა. აღნიშნული შეფასების გაკეთებისას სასამართლო ასევე დაეყრდნო ანდერძის მოწმე რ. დ-იანისა და ნოტარიუსის ახსნა-განმარტებას. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ ა. ტ-მ-ოვმა არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, რის გამოც ის ვერ შეძლებდა ქართულ ენაზე ანდერძზე ხელის მოწერას, ვინაიდან საქმის მასალებით დგინდება, რომ ა. ტ-მ-ოვს მიღებული ჰქონდა რვაწლიანი განათლება, მუშაობდა გაზეთ „კომუნისტში!“, ასევე, მოანდერძის მიერ ქართული ენის ცოდნის ფაქტი დადასტურებულ იქნა მოწმეთა და ნოტარიუსის ახსნა-განმარტებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლოს შინაგანი რწმენის ფორმირება ხდება ყველა გარემოების შემეცნების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი გარემოებები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე არსებული ხელმოწერა ა. ტ-მ-ოვს არ მიაკუთვნოს. სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო სამართალი ანდერძის რამოდენიმე ფორმას ადგენს. მათ შორის, მიუთითებს რეკვიზიტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სანოტარო ანდერძის ნამდვილობას, კერძოდ, მამკვიდრებლის ხელმოწერას და ნოტარიუსის მიერ ანდერძის დადასტურებას. განსახილველ შემთხვევაში ორივე პირობა დაცულია, ანუ 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე ხელი მოაწერა ა. ტ-მ-ოვმა და დადასტურა ნოტარიუსმა ლ. გ-იანმა. ამდენად, ანდერძის ბათილად ცნობის წინაპირობა ამ საფუძველით არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსის ანდერძი თავისი სამართლებრივი ბუნებით გარიგებას წარმოადგენს და, უშუალოდ ანდერძისათვის დამახასიათებელი წინაპირობების გარდა, სამოქალაქო კოდექსით დადგენილ გარიგების ნამდვილობის პირობებსაც უნდა აკმაყოფილებდეს. პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, ანდერძი ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც არ არის მიღება სავალდებულო, თუმცა მიუხედავად ამისა, გამოვლენილი ნება აღქმადი უნდა იყოს სხვა პირებისათვის და გამოკვეთილად ჩანდეს მამკვიდრებლის ნამდვილი აზრი. სწორედ ამ პირობების არსებობას უკავშირებს სამოქალაქო სამართალი ანდერძის, როგორც გარიგების ნამდვილობას. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ანდერძი შედგენილია კანონით დადგენილი ფორმის დაცვით. ამასთან, დადგენილია მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობა და არ არსებობს ანდერძის, როგორც გარიგების ბათილობის საფუძველები. საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მ. ტ-მ-იანმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება, საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად და ზემოხსენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არ გაიზიარა ექსპერტიზის 2005 წლის 5 მაისის დასკვნა იმ საფუძველით, რომ სადავოა და არ არის დადგენილი შესადარებელ ნიმუშზე ხელმოწერის ა. ტ-მ-ოვისადმი კუთვნილება. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხისათვის კარგად იყო ცნობილი ა. ტ-მ-ოვის ანდერძზე მოანდერძის ხელმოწერის ნამდვილობის სადავობისა და იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის ნიმუშად წარდგენილი იყო ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ვეტერანთა ანკეტაზე დაფიქსირებული ხელმოწერა. მიუხედავად ამისა, ამ ანკეტაზე ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის ნამდვილობა მოპასუხეს და მის წარმომადგენელს სადავოდ არ გაუხდიათ და ამ ხელმოწერასთან მიმართებით მხარი დაუჭირეს ექსპერტიზის ჩატარებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ანკეტა გაცემული იყო საჯარო დაწესებულების მიერ და მასზე ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის გაყალბება მოსარჩელეს არ შეეძლო. საქმეზე წარმოდგენილი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2008 წლის 4 ივნისის წერილით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული ანკეტის მონაცემებს საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანი საამისოდ სპეციალურად განკუთვნილ გრაფაში. ამავე წერილის თანახმად, ამ ანკეტას არ ახლავს არავითარი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ა. ტ-მ-იანის ნაცვლად ანკეტაზე სხვა პირის ხელმოწერას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ექსპერტიზის ამ დასკვნით სასამართლოს სრული საფუძველი ჰქონდა დადგენილად მიეჩნია, რომ ანდერძზე შესრულებული ხელმოწერა მოანდერძეს არ ეკუთვნის და ამ მოტივით ბათილად ეცნო ანდერძი. სასამართლომ არასწორად გაიზიარა ექსპერტიზის 2008 წლის 29 ოქტომბრის დასკვნა და ამ დასკვნის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ წარმოდგენილ ნიმუშზე ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის ნამდვილობა. აღნიშნული არგუმენტი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მოსარჩელე მხარეს არასდროს არ დაუდასტურებია სადაზღვევო მოწმობაზე ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის ნამდვილობა. ასეთ ვითარებაში გაურკვეველია, თუ რა მოსაზრებით მიანიჭა სასამართლომ უპირატესობა ექსპერტიზის დაუსაბუთე-

ბელ მეორე 2008 წლის 29 ოქტომბრის დასკვნას. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის დაუსაბუთებლობა იმაში გამოიხატება, რომ ექსპერტის მოსაზრებით, გამოსაკვლევ დოკუმენტებში და ხელმოწერის ნიმუშებში შესრულებული ხელმოწერების გამოკვლევის და ურთიერთშედარებით დადგინდა თანადამთხვევები საერთო ნიშნებში –გაქანებაში, დახრაში, გადაბმის დონეში, მიმართულებასა და სხვა კერძო ნიშნებში, კერძოდ: სადავო ანდერძსა და რეესტრის წიგნში შესრულებულ ხელმოწერაში ასო "ო" (ე.წ. ორფეხიანი) განსაკუთრებულ ნიშნებს არ შეიცავს და არაფერი აქვს საერთო სადაზღვევო მოწმობაზე არსებულ ხელმოწერაში შესრულებულ ამავე ასოსთან. ასევე უსაფუძვლოა თანადამთხვევის მითითება ე.წ. კუთხოვან "ო-სთან" მიმართებით, ვინაიდან ნიმუშზე იგი შესრულებულია მომრგვალებულად და არ ემთხვევა შესადარებელ კუთხოვან ასოს. დაუსაბუთებელია ექსპერტიზის მსჯელობა ასო "ი-სთან" მიმართებითაც, რადგან შესადარებელ ხელმოწერებში არსებული ასო "ი" რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გაურკვეველია, რა მეთოდოლოგიის გამოყენებით დადგინდა თანხვედრა სასვენი ნიშნის –ტირეს შედარებით, ვინაიდან პატარა ხაზის გავლებით ექსპერტიზის დასკვნის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებული კერძო ნიშნის დადგენა შეუძლებელია. სადავო დასკვნაში გამოკვლეულია ასოები "უ" და "რ", რომლებიც შესადარებელ ნიმუშში მითითებული საერთოდ არ არის. ექსპერტიზა კი უთითებს, რომ დამთხვევა არსებობს მოძრაობის მიმართულებაში ასო "უ-ს" სტრიქონული ელემენტების შესრულებისას ზევიდან ქვემოთ. გამოკვლეულ დოკუმენტებში არსებული ასო "ვ-ს" ქვედა ნაწილი სხვადასხვა მოხაზულობისაა და ერთმანეთს აშკარად არ ემთხვევა. დასკვნის თანახმად, მოძრაობის რაოდენობა ასო „ს-ს“ შესრულებისას გაზრდილია საწყის ნაწილთან დამატებით შტრიხის ხარჯზე, რაც აღნიშნული ასოს შესრულებისას ნამდვილად შეინიშნება, თუმცა ნიმუშზე შესრულებულ ხელმოწერაში არის არსებითი განსხვავებაც –ასო „ს-ს“ მარცხენა მხარე სწორი ხაზით არის გამოკვეთილი, ნიმუშში კი ამავე ასოს მარცხენა ნაწილი გაღუნულია. თანადამთხვევით კერძო ნიშნად ექსპერტიზა თვლის პირველ ორ ხელმოწერაში ასო „ნ-ს“ საწყისი წერტილის განლაგებას, მაგრამ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის, ისე, როგორც ამ დასკვნისათვის, არსებით მნიშვნელობა ამ ფაქტს არა აქვს, ვინაიდან ნიმუშში ასეთ ასოს არ შეიცავს. ამდენად, შესადარებელ ნიმუშთან მიმართებით ექსპერტიზის დასკვნა მითითებული 9 კერძო ნიშნიდან ეხება მხოლოდ 4 ასოსთან ჩატარებულ კვლევას, სადაც აღინიშნა ზემოხსენებული უზუსტობები. დასახელებული ექსპერტიზის დასკვნა ეწინააღმდეგება მოცემულ საქმეზე ამავე საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემულ 2005 წლის 5 მაისის კატეგორიულ დასკვნას, რომლის თანახმადაც ანდერძსა და ნიმუშზე, რომელიც ოფიციალური ორგანოსაგან არის მიღებული, ხელმოწერა შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ. ამ გარემოებების გათვალისწინებით 2009 წლის 19 მარტს კასატორმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე და მოითხოვა კომისიური ექსპერტიზის ჩატარება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა და თავისი გადაწყვეტილება სწორედ ამ დაუსაბუთებელ დასკვნას დააყრდნო. ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ა.ტ-მ-იანმა იცოდა ქართული ენა. ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად სასამართლოს არ შეეძლო გამოეყენებინა ნოტარიუსისა და მოწმეთა ახსნა-განმარტებები, ვინაიდან ისინი დაინტერესებული პირები არიან. გარდა ამისა, ნოტარიუსმა თავად დაადასტურა სასამართლო სხდომაზე, რომ თარჯიმანი არ დანიშნა და იგი თვითონ უთარგმნა და ანდერძის შინაარსს. თუ ა.ტ-მ-იანმა ქართული იცოდა, ცხადია, მას არ დასჭირდებოდა თარგმანი. ფაქტობრივად, ვეტერანის ანკეტის გარდა, ვერ იქნა მოპოვებული მოანდერძის ქართულ ენაზე შესრულებული ხელმოწერა, სხვა ყველა ოფიციალურ დოკუმენტზე, საპენსიო დოკუმენტაციაზე კი იგი ხელს მხოლოდ რუსულად აწერდა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოანდერძემ ქართული ენა არ იცოდა და არ შეეძლო ანდერძზე ქართულად ხელი მოეწერა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.თბილისში, ... მე-2 შესახვევის #4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 6/15 საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ა. ტ-მ-ოვს, რომელიც გარდაიცვალა 2003 წლის 17 ივლისს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული გარდაცვალების მოწმობა. იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მ. ტ-მ-იანი წარმოადგენს გარდაცვლილი ა. ტ-მ-ოვის ძმისშვილს. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ა. ტ-მ-იანი წარმოადგენს მ. ტ-მ-იანის ბიძას, ანუ მამის –აშ. ტ-მ-იანის ძმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ტ-მ-იანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ანდერძზე მამკვიდრებლის ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ვეტერანთა ანკეტაზე შესრულებული ა.ტ-მ-ოვის ხელმოწერის გამოყენება ა. ა-ოვის სადავოდ არ გაუხდია. ამასთან, საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წერილით დასტურდება, რომ ანკეტის მონაცემებს ვეტერანი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს. მითითებული მტკიცებულების საფუძველზე სააპელაციო პალატას უნდა გაეზიარებინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 5 მაისის დასკვნა, რომლის მიხედვით სადავო ანდერძზე არსებული ხელმოწერა ა.ტ-მ-ოვის არ ეკუთვნის.

საკასაციო სასამართლო კასატორის ზემოხსენებულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ამავ კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. დასახლებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი იმ ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, რომელიც მხოლოდ სპეციალური ცოდნის გამოყენებით შეიძლება დადგინდეს, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებს აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების მართლზომიერებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზის როგორც 2005 წლის 5 მაისის, ისე 2008 წლის 29 ოქტომბრის სასამართლო ექსპერტიზების ჩატარების მიზანს წარმოადგენდა 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე ა. ტ-მ-ოვის ხელმოწერის ნამდვილობის საკითხის გარკვევა, რაც უნდა განხორციელებულიყო სადავო ხელმოწერის ისეთ ნიმუშთან შედარების გზით, რომელზეც მამკვიდრებლის მიერ ხელმოწერის ფაქტი უტყუარადაა დადგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელ მასალებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტიზის ჩასატარებლად აუცილებელი მასალების წრეს განსაზღვრავს სასამართლო, რომელსაც შეუძლია გაითვალისწინოს როგორც მხარეების, ისე ექსპერტად დანიშნული პირის მოსაზრებები. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მხარეებს უფლება აქვთ, საკუთარი შეხედულებით წარუდგინონ სასამართლოს ექსპერტიზის მიერ გამოსაკვლევ დოკუმენტთა ნიმუშები, თუმცა საკითხს, თუ რომელი მასალების გამოკვლევის შედეგადაა შესაძლებელი სადავო გარემოების სარწმუნოდ დადგენა და, შესაბამისად, რომელი მასალები უნდა გადაეცეს ექსპერტიზას გამოსაკვლევად, წყვეტს სასამართლო.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა და მხარეთა მიერ მითითებულ გარემოებათა ურთიერთშეჯერების შედეგად იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სადავო ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს მისი შედარება ა.ტ-მ-ოვის არა ვეტერანთა ანკეტაზე, არამედ სადაზღვევო მოწმობაზე არსებულ ხელმოწერასთან და გაზიარებულ იქნეს 2008 წლის 29 ოქტომბრის ექსპერტის დასკვნა, რომელიც აღნიშნული მოწმობის გამოკვლევას ეფუძნებოდა. სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება

მითითებული დასკვნის სხვა მტკიცებულებებთან ურთიერშეჯერებას და გამოსაკვლევი მასალის – სადაზღვევო მოწმობის სარწმუნოებას.

კასატორი მ.ტ-მ-იანი არ ეთანხმება რა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო ბიუროს დასკვნას, მას დაუსაბუთებლად თვლის იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ დასკვნით გამოკვლეულ იქნა სასვენი ნიშნები, რომელთა საფუძველზეც ხელმოწერათა თანხვედრის დადგენა შეუძლებელია, ექსპერტიზამ გამოიკვლია ისეთი ასოები, რომლებიც შესაძარებელ ნიმუშებში საერთოდ არ იყო, კვლევა ჩატარდა დასკვნაში მითითებული 9 ნიშნიდან მხოლოდ 4-ზე და გარკვეული უზუსტობებით. კასატორის აღნიშნული არგუმენტი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მხარის მიერ ექსპერტიზის დასკვნის უარსაყოფად მითითებული გარემოებანი ფაქტობრივად წარმოადგენს სადავო საკითხების კვლევის სპეციფიკურ მეთოდურობას. სადავო ექსპერტის დასკვნა ეფუძნება შესაბამისი სპეციალური ცოდნის გამოყენებას, რომელიც საექსპერტო კვლევის შედეგების მისაღებად უდავოდ საჭიროებს სასვენი ნიშნისა და რიგი ასოების შესრულების მიმართულების, დახრილობისა თუ სხვა მახასიათებლების გამოკვლევის აუცილებლობას. კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რაში მდგომარეობის ექსპერტიზის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიისა და მისი სადავო დასკვნის კანონშესაბამობა. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ მითითებულ ექსპერტის დასკვნას არ ემყარება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მ. ტ-მ-იანის მოსაზრებას, რომ სააკვლაციო პალატამ არასწორად არ დააკმაყოფილა 2009 წლის 19 მარტს მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა კომისიური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები. ამავ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

დასახელებული ნორმების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სადავო საკითხის გამოსაკვლევად ჩატარებული ექსპერტიზის ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები ან სასამართლო არსებულ ექსპერტიზის დასკვნას დაუსაბუთებლად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით კანონმდებელი ითვალისწინებს გარკვეულ დათქმას, კერძოდ, განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილია მაშინ, თუ მის გარეშე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა შეუძლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე არსებული ა.ტ-მ-ოვის სადავო ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად ჩატარებული 2005 წლის 5 მაისისა და 2008 წლის 29 ოქტომბრის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნული გარემოება საკმარისი არ არის განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნისათვის, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასების შედეგად სასამართლო იზიარებს 2008 წლის 29 ოქტომბრის დასკვნას სადავო ანდერძზე შესრულებული ხელმოწერის მამკვიდრებლისათვის კუთვნილების შესახებ და დასაბუთებულად მიიჩნევს მას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის არც ზემოაღნიშნული პრეტენზია შეიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით ვერ დაადასტურა სადავო ანდერძის ბათილად ცნობის საფუძველად მის მიერ მითითებული გარემოება მამკვიდრებელ ა.ტ-მ-ოვის მიერ ქართული ენის არცოდნის თაობაზე, რისი მტკიცების ტვირთიც მას ეკისრებოდა, კერძოდ:

მოცემული საქმის მასალებში წარმოდგენილია პოლიგრაფიულ კომპინატ "კომუნისტის" დირექტორის მოადგილე კ.ნ-იანისა და კადრების განყოფილების გამგე შ. ბ-შვილის მიერ ხელმოწერილი 1941 წლის 19 მარტის #01 ცნობა, რომლის თანახმად, აწ გარდაცვლილი ა. ტ-მ-ოვი მუშაობდა დასახელებული კომპინატის საამწყობო ცეხში მოწაფის თანამდებობაზე, ასევე -#79 სკოლის მიერ გაცემული ცნობა, რომ ა. ტ-მ-ოვმა მიიღო 8 კლასის განათლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის სხდომის ოქმში დაფიქსირებულია ნოტარიუს ლ. გ-იანისა და მოწმის -რ. დ-იანის ახსნა-განმარტებები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ა. ტ-მ-ოვი ქართულ ენას ფლობდა.

ამდენად, დასახელებულ მტკიცებულებათა საფუძველზე სააპელაციო პალატამ მართებულად დაასკვნა, რომ მამკვიდრებელმა ა. ტ-მ-ოვმა ქართული ენა იცოდა და შესძლებდა სადავო ანდერძზე ქართულად ხელის მოწერას. აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგო გარემოების დადასტურებად ვერ მიიჩნევა კასატორის მითითება, რომ არსებობს რიგი დოკუმენტები, რომელზეც ა.ტ-მ-ოვის ხელმოწერა შესრულებულია რუსულ ენაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ტ-მ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებების შეფასება, ექსპერტის დასკვნა

განჩინება

ას-779-994-08

23 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ყადაღადადებული ქონების აღწერის სიიდან მოძრავი ნივთების ამორიცხვა, ყადაღის მოხსნა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. და ზ. ც-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ.თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ ყადაღადადებული ქონების აღწერის სიიდან მოძრავი ნივთების ამორიცხვისა და ყადაღის მოხსნის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2006 წლის 3 ივლისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მ. ც-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 1400136 ლარის ანაზღაურება. 2006 წლის 6 ნოემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ამავე წლის 26 დეკემბერს მოსარჩელეთა საცხოვრებელ მისამართზე გამოცხადდა აღმასრულებელი, რომელმაც არასწორად აღწერა და ყადაღა დაადო არა მ. ც-ძის, არამედ მათ საკუთრებაში არსებულ მოძრავ ნივთებს, რითაც დაირღვა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის მე-17 მუხლის მეოთხე პუნქტისა და 44-ე მუხლის მოთხოვნები. სადავო ნივთები მოთავსებულია ქ.თბილისში, . . . 1^ა კორპუსის #99 და #98 ბინებში, რომლებიც მ. ც-ძეს არ ეკუთვნოდა, არამედ იყო მისი ძმის -ზ. ც-ძისა და მამის -ვ. ც-ძის საკუთრება. ამჟამად აღნიშნული უძრავი ნივთები საჯარო რეესტრში აღრიცხულია "ბანკი "ქართუს" სახელზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განჩინებით საქმეში მოპასუხეებად ჩართულ იქნენ მ. ც-ძე და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მოპასუხე მ. ც-ძემ სარჩელი ცნო და განმარტა, რომ სადავო დაყადაღებული ნივთები მას არ ეკუთვნის, ხოლო სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელი სარჩელს არ დაეთანხმა და მიუთითა, რომ მოქმედებდა კანონის ფარგლებში სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ს. და ზ. ც-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა -საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ გ. გ-შვილის მიერ 2006 წლის 26 დეკემბერს შედგენილი, მოვალე მ. ც-ძის ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ამორიცხა და ყადაღისაგან გათავისუფლდა შემდეგი ნივთები: ხაკისფერი სამეული, ხის გასაშლელი მაგიდა

ხაკისფერი ექვსი სკამით, ზალის "დესაო" ოთხი უჯრით და ორი კარით, "ბეჟი" ფერის დივანი, თეთრი ფერის მაცივარი, "პროფილი" სამი კარით, თეთრი ფერის, 80-ლიტრიანი თერმექსი "კრისტალი", ყავისფერი კომპიუტერის საბავშვო მაგიდა, ყავისფერი ოთხსეკციანი ზალის კედელი, კომოდი ხუთი უჯრით, საწერი მაგიდა ხუთი უჯრით, ყავისფერი გარდერობი სამი კარით, "ბეჟი" ფერის სავარძელი, ფაიფურის გატეხილი ექვსსანთლიანი ჭადი, ვერცხლისფერი ტელევიზორი "გოლდი", ჭურჭლის ვიტრინა, დიდი შავი ტელევიზორი, საწოლნახევრიანი საწოლი და ბავშვის საწოლი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის მოსაზრება, რომ სადავო ნივთების მოსარჩელეთა და არა მ. ც-მის კუთვნილების ფაქტი პირველი ინსტანციის სასამართლომ მართოდ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე არასწორად დაადგინა, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოწმის ჩვენება მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომლითაც შეიძლება მხარეთა მოთხოვნის საფუძველად მითითებულ გარემოებათა დამტკიცება. სასამართლოს მითითებით, მოწმეებმა -მ. ბ-მემ, დ. ქ-მემ და თ. ნ-მემ დაადასტურეს, რომ ყადაღადადებული ნივთები წარმოადგენდა მოსარჩელეთა საკუთრებას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ამავე კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელებმა დააფუძნეს რა თავიანთი სასარჩელო მოთხოვნა მოწმეთა განმარტებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სადავო გარემოების არარსებობის მტკიცების ტვირთი აპელანტზე გადავიდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კი თავისი პოზიცია სათანადოდ არ დაუდასტურებია და მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების უარყოფით შემოიფარგლა. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ მოუხდენია თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, რის გამოც სასამართლომ უტყუარად მიიჩნია მოწმეთა ჩვენება და მათ საფუძველზე დაადგინა სარჩელის დასაკმაყოფილებლად საკმარისი გარემოება, რომ ყადაღადადებული ნივთები მართლაც მოსარჩელეთა საკუთრებაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 44-ე მუხლით და მიიჩნია, რომ დაუშვებელია იმ ნივთების დაყადაღება, რომელიც მოვალის საკუთრებას არ წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები, ვინაიდან სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია, დაყადაღებული ნივთები წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელეთა საკუთრებას, არამედ დაეყრდნო მხოლოდ მოწმეთა ახსნა-განმარტებას მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სადავო დაყადაღებული ნივთები მოსარჩელეთა საკუთრებაა. შესაბამისად, უსაფუძველოა სასამართლოს მითითება, რომ სადავო გარემოებათა მტკიცების ტვირთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე გადავიდა. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის მე-18¹ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოცემულ დავაში არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატას გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დაურღვევია კანონი, კერძოდ:

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული საკასაციო საჩივრის არგუმენტი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას ზუსტად არ გამოუკვლევიან, სადავო ქონება წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელეთა საკუთრებას და ამ ქონების მესაკუთრის დასადგენად სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა მოწმეთა ჩვენებები. მითითებული ნორმით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ამა თუ იმ სამოქალაქო საქმის სწორად გადაწყვეტისათვის და სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად აუცილებელია ფაქტების დადგენა, რაც მხოლოდ მტკიცებულებათა მეშვეობით არის შესაძლებელი, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს დასაშვებ მტკიცებულებათა ზუსტ ჩამონათვალს, რომელიც ითვალისწინებს მოწმის ჩვენებასაც. აღნიშნულ მტკიცებულებათაგან ნებისმიერი დასაშვებია და მხარეს თავისი შეხედულებით შეუძლია განსაზღვროს, თუ რომელი მტკიცებულება უნდა გამოიყენოს და წარადგინოს სასამართლოში თავისი უფლების დასაცავად. ამასთან, კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მტკიცებულებად წარმოდგენილ დოკუმენტს რაიმე მნიშვნელობა არ მიენიჭება, ვინაიდან იგი დაუშვებელია, მაგალითად: კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი), კანონი დაუშვებელ მტკიცებულებათა რიგს ასევე მიაკუთვნებს ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ კანონით დასაშვებ მტკიცებულებათა რიგს განეკუთვნება, არ არის ვარგისი ამა თუ იმ გარემოების სამტკიცებლად, ვინაიდან ამ გარემოების დამამტკიცებელი დოკუმენტის სახე თვითონ კანონმა განსაზღვრა. ეს აზრია განმტკიცებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლითაც ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი მტკიცებულება, რომელიც სპეციალურად კანონითაა განსაზღვრული (ასე მაგალითად, პირის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, კანონის თანახმად, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სათანადო მტკიცებულებით -საჯარო რეესტრის ამონაწერით).

მომრავ ნივთებთან მიმართებით პირის უფლების დადგენა მხოლოდ რაიმე გარკვეული სახის მტკიცებულებით, კანონით დადგენილი არ არის და ასეთ დანაწესზე ვერც კასატორი უთითებს. აღნიშნული გამორიცხავს საკასაციო საჩივრის საფუძვლის გაზიარებას მოწმეთა ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ მოცემულ დავაზე მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები დაადასტურა რა მოწმეთა ჩვენებებით, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოპასუხის -კასატორის მხარეზე იყო, რომელსაც არ გამოუყენებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლებები თავისი შესაგებლის დასამტკიცებლად და მხოლოდ სარჩელის უარყოფით შემოიფარგლა.

ასევე დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ ფინანსთა სამინისტრო "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-18¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოცემულ დავაში წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს. მითითებული ნორმის თანახმად, თუ გადაწყვეტილებაში კრედიტორად მითითებულია სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი აღსრულებისას სახელმწიფოს წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელსაც ასეთი გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან ეძლევა მიზნობრივი დაფინანსება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ დასახელებული ნორმით აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, იმოქმედოს სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისას, მაგრამ მისი უფლებამოსილება ვერ გაცდება აღსრულების ფარგლებს.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონი აწესრიგებს რა დაყადაღებულ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამავე კანონის 32-ე მუხლით, სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ მესამე პირის სარჩელის სასამართლოში აღძვრისას, სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელეთა ქონება დაყადაღდა მ. ც-მის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების აღსრულების მიზნით, რომლითაც მ. ც-მეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ზარალის ფულადი სახით ანაზღაურება. ამდენად, კრედიტორს წარმოადგენს რა სახელმწიფო, სარჩელზე მოპასუხედ უნდა განისაზღვროს ის ორგანო, რომელსაც დელეგირებული აქვს უფლება საფინანსო-საბიუჯეტო სახსრებთან მიმართებით. საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის დადგენილებით დამტკიცებული, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების 1-ლი მუხლით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციისა და "საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინა-

რე, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვალდებულებაზე კრედიტორის უფლებით აღჭურვილია ფინანსთა სამინისტრო, რომელიც უფლებამოსილია, გამოიყენოს ყველა საშუალება, შესაბამისად, კასატორის მითითებული არგუმენტი დაუსაბუთებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი; მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-789-1076-09 23 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 6 მარტს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. ლ-ჩმა მოპასუხეების -მ. კ-შვილისა და გ. კ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 1 500 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ ვ. ლ-ჩის საცხოვრებელი ბინა მდებარეობს ... ქ. #1-ში, მე-3 სართულზე. ამავე სახლში, მე-4 სართულზე მდებარეობს მოპასუხეების -გ. და მ. კ-შვილების საცხოვრებელი ბინა. სახლი ისეთი პროექტით არის აშენებული, რომ კანალიზაციის მილი გადის საძინებელ ოთახში. მოსარჩელეს და მის ქვემოთ მცხოვრებ მეზობლებს ბინაში შესახლების დღიდან გაუქმებული აქვთ კანალიზაციის მილი, მათ იქ არსებული აბაზანა გადაიტანეს და შეუერთეს საპირფარეოს. ამასთან, კანალიზაციის მილი ხის ჩარჩოში ჩასვეს და მასთან არანაირი შეხება არ აქვთ. აღნიშნულით სარგებლობენ მხოლოდ მე-4 და მე-5 სართულზე მცხოვრები ოჯახები. 2007 წლის ნოემბრის თვის ბოლო რიცხვებიდან 2007 წლის 15 დეკემბრამდე, რა პერიოდშიც ვ. ლ-ჩი რაიონში არ იმყოფებოდა, მის სახლში ჭერიდან ჩავიდა წყალი, რამაც ბინის დაზიანება გამოიწვია.

სარჩელზე თანდართული შპს "ეგრის-აუდიტის" გურჯაანის ფილიალის 24.12.2007წ. #153 დასკვნის თანახმად, ვიზუალურად შემოწმდა ვ. ლ-ჩის ბინაში ზედა სართულიდან ჩამოსული წყლის შედეგად დაზიანებული ჭერი, კედლები, იატაკი. აღნიშნულის შედეგად დადგინდა, რომ საძინებელ ოთახში აყრილი იყო პარკეტი, რაც საჭიროებდა შეცვლას 18კვ.მ-ზე, ამასთან საჭირო იყო 34კვ.მ შპალერის ხელახლა გაკვრა, დაზიანებული კედლების აფხევა და გაჯით შელესვა. მისაღებ ოთახში დაზიანებული იყო 14კვ.მ კედელი და 18კვ.მ ჭერი, ასევე დაზიანებული იყო 2 ლეიბი და ამდენივე საბანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ არსებობდა მისთვის მიყენებული ზიანის მოპასუხისათვის დაკისრების საფუძველი.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სარჩელში დასახელებული იყო სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის განჩინებით მოცემულ დავაზე დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის 2008 წლის 25 ივლისის დასკვნის შესაბამისად, ა. ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში წყალი ჩასულია გ. კ-შვილის ბინიდან. წყლის ჩასვლა შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო გ. კ-შვილის სააბაზანოში არსებული საკანალიზაციო ან მოწყობილი წყალგაყვანილობის მილების გაუმართაობით, წყლის გამაცხელებელი ავზის გადავსებით, გა-

უმართავი ან უმეთვალყურეოდ დატოვებული მოშვებული ონკანით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა აბაზანის გადავსება, ხოლო გაბიძნული საკანალიზაციო მილები და ტრაპი ვერ უზრუნველყოფდა დაგროვილი წყლის გატარებას. ქვედა სართულზე წყალი შეიძლება ჩასულიყო ადრე არსებული წყალგაყვანილობის დგარების უვარგისობის გამო. ან მათი გადაჭრის მომენტში, აგრეთვე, თუ გ. კ-შვილის საცხოვრებელი ბინის ქვემოთ, ქვედა სართულებზე, კანალიზაციის დგარი გაბიძნული იყო. საკანალიზაციო დგარის გადავსების შემთხვევაში, იმის გამო, რომ ქვედა სართულებზე კანალიზაციის დგარზე მიერთებები არ არის და იგი დახურულია, ფეკალური მასა ამოვიდოდა სააბაზანოში არსებული ტრაპიდან, საიდანაც წყალი გაიჟონებოდა ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში; ბ. ვ. ლ-ჩისა და გ. კ-შვილის ბინებში გამავალ საკანალიზაციო დგარზე დაზიანებები არ შეიმჩნეოდა, რაც შეეხებოდა წყალგაყვანილობის დგარებს, მოსარჩელის ბინაში დაზიანებები არც მათზე შეიმჩნეოდა, მოპასუხის ბინაში კი ისინი გადაჭრილი და გაუქმებული იყო; გ. ვ. ლ-ჩისა და გ. კ-შვილის ბინებში გამავალი საკანალიზაციო დგარი დაზიანებული არ იყო, ხოლო რაც შეეხებოდა საკანალიზაციო დგარზე ტრაპის მიერთებას, იმის მიუხედავად, პროექტით გათვალისწინებული იყო თუ არა მოპასუხის სააბაზანოში მისი არსებობა, იგი ხელს შეუწყობდა სააბაზანოში დაგროვილი წყლის გატარებას და არა წყლის ქვემო სართულზე გაჟონვას.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ლ-ჩის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ვ. ლ-ჩის საცხოვრებელი ბინა მდებარეობს ... ქ. #1-ში, მესამე სართულზე. მის ზემოთ, მეოთხე სართულზე მდებარეობს გ. და მ. კ-შვილების საცხოვრებელი ბინა;

მ. და გ. კ-შვილებს, აქვთ სხვა საცხოვრებელი ბინა და ... ქ. #1-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაში მუდმივად არ ცხოვრობენ;

2007 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებიდან 2007 წლის 15 დეკემბრამდე ვ. ლ-ჩის ბინაში ჭერიდან ჩავიდა წყალი და დაზიანდა საცხოვრებელი ბინა;

ქონების შეფასების შესახებ შპს "ეგრის-აუდიტის" 2007 წლის 24 დეკემბრის #153 აუდიტორული დასკვნის თანახმად, ... ქ. #1-ში მცხოვრები ვ. ლ-ჩის განცხადების საფუძველზე, რომელიც ითხოვდა მის საცხოვრებელ ბინაში ჭერიდან ჩამოსული კანალიზაციის წყლის ნადენის შედეგად მიყენებული ზარალის საბაზრო ფასის დადგენას, ვიზუალურად შემოწმდა ვ. ლ-ჩის ბინაში ზედა სართულიდან ჩასული წყლის შედეგად დაზიანებული ჭერი, კედლები, იატაკი და დადგინდა, რომ საძინებელ ოთახში აყრილია და საჭიროა პარკეტის შეცვლა 18 კვ.მ-ზე, 18 კვ.მ ჭერზე-ქაღალდით შერემონტება, კედელზე -34კვ.მ შპალერის ხელახლა გაკვრა, დაზიანებული კედლების აფხეკა და გაჯით შელესვა. მისაღებ ოთახში შესაკეთებელია დაზიანებული 14კვ.მ კედელზე და 18კვ.მ ჭერზე. ასევე დაზიანებულია ორი ცალი ლეიბი და საბანი;

... ქ. #1-ში მდებარე ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში, ასევე, ამავე მხარეს 1-ელ და მე-2 სართულზე გაუქმებულია სააბაზანოები და აღნიშნული ფართი გაერთიანებულია საძინებელ ოთახთან, ამავე მხარეს მე-5 სართულზე მდებარე თ-შვილის საცხოვრებელ ბინაში სააბაზანო ოთახში გადატანილია ტუალეტი, რომელიც შეერთებულია სააბაზანოების კანალიზაციის მილს, ხოლო გ. კ-შვილის ბინაში სააბაზანო ოთახი გაუქმებული არ არის;

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა მოწმეების: ი. უ-შვილის, ი. უ-ძის, ი. თ-შვილის ჩვენებებზე. მათში საუბარია იმაზე, რომ ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში წყალი ჩავიდა, თუმცა იმ დროისათვის მის ზემოთ მცხოვრები გ. კ-შვილის ბინაში სისველე არ იყო.

გარდა ამისა, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 2008 წლის 25 ივლისის #1527/15 დასკვნაზე, რომლის თანახმად, ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში წყალი ჩასულია გ. კ-შვილის ბინიდან. წყლის ჩასვლა შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო გ. კ-შვილის სააბაზანოში არსებული საკანალიზაციო ან მოწყობილი წყალგაყვანილობის მილების გაუმართაობით, წყლის გამაცხელებელი ავზის გადავსებით, გაუმართავი ან უმეთვალყურეოდ დატოვებული მოშვებული ონკანით იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა აბაზანის გადავსება, ხოლო გაბიძნული საკანალიზაციო მილები და ტრაპი ვერ უზრუნველყოფდნენ დაგროვილი წყლის გატარებას. ქვედა სართულზე წყალი შესაძლოა ჩასულიყო ადრე არსებული წყალგაყვანილობის დგარების გამო, ან მათი გადაჭრის მომენტში. აგრეთვე, თუ გ. კ-შვილის საცხოვრებელი ბინის ქვემოთ, ქვედა სართულზე კანალიზაციის დგარი გაბიძნული იყო, საკანალიზაციო დგარის გადავსების შემთხვევაში, იმის გამო, რომ ქვედა სართულზე, კანალიზაციის დგარზე მიერთებები არ არის და იგი დახურულია, ფეკალური მასა ამოვიდოდა ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში. ვ. ლ-ჩისა და გ. კ-შვილის ბინებში გამავალ საკანალიზაციო დგარზე დაზიანებები არ შეიმჩნეოდა. მოსარჩელის ბინაში დაზიანებები არც წყალგაყვანილობის დგარებზე შეიმჩნეოდა, მოპასუხის ბინაში კი ისინი გადაჭრილი და გაუქმებული იყო. ვ. ლ-ჩისა და გ. კ-შვილის ბინებში გამავალი საკანალიზაციო დგარი

დაზიანებული არ იყო, ხოლო რაც შეეხებოდა საკანალიზაციო დგარზე ტრაპის მიერთებას, იმის მიუხედავად პროექტით გათვალისწინებული იყო თუ არა მისი მოპასუხის სააბაზანოში არსებობა, იგი ხელს შეუწყობდა სააბაზანოში დაგროვილი წყლის გატარებას და არა წყლის ქვედა სართულზე გაჟონვას.

საქმეში არსებული 2008 წლის 15 ოქტომბრის დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერდა მოსარჩელე ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში დაზიანებული ადგილები და მოპასუხე გ. კ-შვილის საცხოვრებელი ბინა. ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ბინის სააბაზანოში მოწყობილი იყო "ტრაპი", რომელიც მოქცეული იყო ბეტონის ქვეშ, ასევე, მიღზე მიერთებული იყო კანალიზაცია. სპეციალისტ ბ. ლ-შვილის განმარტებით, საჭირო იყო ბეტონის გათხრა, რათა შემოწმებულიყო კანალიზაციის მილის შეერთება.

2009 წლის 12 თებერვლის დათვალიერების ოქმის თანახმად, მხარეებისა და ექსპერტ მ. ი-შვილის მონაწილეობით დათვალიერდა ... ქ. #1-ში მცხოვრები მოსარჩელე ვ. ლ-ჩისა და მოპასუხე გ. კ-შვილის საცხოვრებელი ბინები. დათვალიერებისას გაირკვა, რომ გ. კ-შვილის სააბაზანო ოთახში არსებულ საკანალიზაციო დგარზე მიერთებული იყო 50 მმ დიამეტრის მილი, რომელზეც თავდაპირველი პროექტით შეერთებული იყო ხელსაბანის და აბაზანის კანალიზაციები. არსებული მდგომარეობით ხელსაბანი და, შესაბამისად, მისი კანალიზაცია გაუქმებული იყო. 50 მმ დიამეტრის მილზე ხელსაბანის მიერთების ადგილას გაკეთებული იყო ნახვრეტი, რომელიც დაფარული იყო პოლიეთილენის ნახვევით. სააბაზანოს იატაკი, იმის გამო, რომ მასში მოწყობილი იყო ტრაპი, ბინის იატაკის საერთო დონიდან იყო აწეული. ექსპერტ მ. ი-შვილის განმარტებით, პოლიეთილენი არ წარმოადგენდა იმ კატეგორიის მასალას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მილზე მაყუჩის მოწყობა. იმ შემთხვევაში, თუ საკანალიზაციო დგარში წყალი იქნებოდა ზემოაღნიშნულ მილზე უფრო მაღლა, მილში არსებული ღია ადგილიდან წყალი გამოჟონავდა. ამავ მიზეზით მიერთებული იყო აბაზანის კანალიზაცია. აბაზანის დიდი ოდენობით წყლის ერთბაშად გადინების შემთხვევაში მილის ღია ადგილიდან წყალი გაიჟონებოდა. სააბაზანო ოთახში არსებულ საკანალიზაციო დგარს გადაბმის ადგილზე ტექნიკური ნორმების შესაბამისად დახვეული საკანალიზაციო თოკი - "პაკლი", დგარის გადავსების შემთხვევაში წყალი შესაძლოა აღნიშნული ადგილიდან გამოუსულიყო.

რაიონული სასამართლოს მითითებით, ექსპერტი არ აქვს მ. ი-შვილი თავისი განმარტებით ადასტურებდა მის მიერ გაცემულ ექსპერტიზის დასკვნას. ექსპერტიზის ჩატარების დროს გ. კ-შვილის ბინაში დაზიანებები ვერ შეამჩნიეს, ამიტომ დასკვნაში დასახელდა ხუთი სავარაუდო პასუხი. კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერტი ზუსტ და კატეგორიულ პასუხს ვერ გასცემდა, რადგან ექსპერტიზა ჩატარდა გვიან, როდესაც წყლის კვალი აღარ იყო და ვერავინ დაამტკიცებდა, კონკრეტულად რის გამო და საიდან ჩავიდა წყალი.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გათვალისწინებით რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში წყალი ჩასული იყო გ. კ-შვილის ბინიდან, რითაც განიცადა ზიანი, მაგრამ ვ. ლ-ჩმა ვერ დაამტკიცა, რომ ზიანი მიყენებული იყო უშუალოდ გ. კ-შვილის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით. შესაბამისად, ეს უკანასკნელი არ იყო ვალდებული, ვ. ლ-ჩისათვის აენაზღაურებინა ბინაში წყლის ჩასვლით მიყენებული ზიანი.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა ვ. ლ-ჩის მითითება იმის შესახებ, რომ მასთან წყალი ჩავიდა გ. კ-შვილის ბინაში გადაჭრილი ორი ცენტრალური მილიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: როგორც ადგილზე დათვალიერებისას იქნა ნანახი, მოცემული მილები იყო დაცობილი. ამასთან, გ. კ-შვილის და მოწმეების ჩვენებებით დგინდებოდა, რომ ზედა სართულზე თითოეულ ბინას წყალი მიეწოდებოდა წყლის ელექტროსაქაჩებით, რის გამოც წყალი ზედა სართულზე თავისით არ ავიდოდა.

გადაწყვეტილების გამოტანისას რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე მუხლებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-ჩმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მოპასუხეებს მის სასარგებლოდ დაეკისრებოდათ ზიანის ანაზღაურება 2 492 ლარის ოდენობით, აგრეთვე, მათვე დაევალებოდათ მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯის: 177 ლარის ოდენობით ექსპერტიზის საფასურის, 200 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და 200 ლარის ოდენობით საადვოკატო მომსახურების ხარჯების გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის განჩინებით ვ. ლ-ჩის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სარჩელში მოპასუხედ მითითებული გ. კ-შვილი პირადობის მოწმობის თანახმად არის გ. კ-შვილი, რასაც დაეთანხმა მოსარჩელე ვ. ლ-ჩი.

სააპელაციო საჩივარში აპელანტის გაზრდილ მოთხოვნასთან მიმართებით, რასაც საფუძვლად დაედო 2009 წლის 4 მაისის #88 აუდიტის დასკვნა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე, 215-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ დასახელებული აუდიტის დასკვნა წარმოადგენდა დაუშვებელ მტკიცებულებას. შესაბამისად, აპელანტის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა დაქვემდებარებოდა 1 500 ლარის ფარგლებში განხილვას.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ვ. ლ-ჩის საცხოვრებელ ბინაში 2007 წლის ნოემბერ-დეკემბერში ზედა სართულიდან ჩავიდა წყალი, რის შედეგადაც დაზიანდა სახვრებელი ბინის ჭერი, კედლები, იატაკი, ლეიბები და საბნები. აღნიშნულს ადასტურებდა ასევე საქმეში არსებული აუდიტის 2007 წლის 24 დეკემბრის დასკვნა.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენდა ზემომითითებული ზიანის ანაზღაურების მოწინააღმდეგე მხარეებისათვის დაკისრება, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტმა ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ზიანი მიყენებული იყო გ. კ-შვილის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით.

აპელანტს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სააპელაციო სასამართლოში არ წარუდგენია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ახალი მტკიცებულება, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო იმ მტკიცებულებებს და საქმის გარემოებებს, რაც საქალაქო სასამართლოში იქნა წარდგენილი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა ემყარებოდა მხოლოდ ვარაუდს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვარაუდზე დაფუძნებული გარემოებები სათანადო მტკიცებულებად ვერ მიიჩნეოდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების თაობაზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს წარმოადგენდა ვ. ლ-ჩი, რომელიც ითხოვდა დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ზიანის დადგომის, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის, აგრეთვე ზიანის ოდენობის თაობაზე, ეკისრებოდა მოსარჩელეს და არა მოპასუხეს. მოპასუხის მტკიცების ტვირთის რეალიზაცია მდგომარეობდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გაბათილებაში და არა პირიქით - ზიანის არსებობის დადგენაში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განაწილა მტკიცების ტვირთი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად მიიჩნია, რომ, რადგან არ არსებობდა გ. კ-შვილის მოქმედება, დამდგარი ზიანის წარმოშობაში მას ბრალი არ მიუძღვოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ლ-ჩმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ მას არასწორად უთხრა უარი საქმეზე მტკიცებულების სახით აუდიტის 2009 წლის 4 მაისის #88 დასკვნის დართვაზე. დასახელებული დასკვნის თანახმად, ვ. ლ-ჩისათვის მიყენებულმა ზიანმა სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროისათვის 2 492 ლარი შეადგინა. მხარის შუამდგომლობა მითითებული დასკვნის საქმეზე დართვის თაობაზე ეფუძნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40, 380-ე მუხლებს, რაც არასწორად არ დაკმაყოფილდა. მე-40 მუხლის თანახმად, სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას - საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ვ. ლ-ჩს რაიონულ სასამართლოში აუდიტის დასკვნა არ წარუდგენია, რადგან ვარაუდობდა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პროცესუალური ხარჯების გათვალისწინებით, შესაძლოა ადარ ედავა სამშენებლო მასალასა და ხელობაზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და სარჩელი არ დააკმაყოფილა, მხარემ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 40.3 მუხლით მინიჭებული შესაძლებლობა.

კასატორი ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას აპელანტის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების წარუდგენლობასთან მიმართებით. ვ. ლ-ჩმა სასამართლოში წარადგინა ცნობა "წყალკანალიდან", რომელიც ადასტურებდა, რომ წყალი მე-5 სართულ-

ზე თვითდინებით ადიოდა შეფერხებით. სააპელაციო სასამართლომ არც ეს მტკიცებულება მიიღო.

კასატორის მითითებით, დამდგარ ზიანში გ. კ-შვილის ბრალეულობას ცხადყოფს საქმეში არსებული რიგი მტკიცებულებები: ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი აუდიტის დასკვნა; ბ) მოწმეთა ჩვენებები, სადაც განმარტებულია, რომ ვ. ლ-ჩის ბინაში წყალი ჩასული იყო მოპასუხის ბინიდან. დასახელებული მტკიცებულებების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები გ. კ-შვილს სასამართლოსათვის არ წარუდგენია, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოპასუხის მტკიცების ტვირთთან მიმართებით, არასწორია.

კასატორი ყურადღებას მიაქცევს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 აპრილის განჩინებას, რომლითაც მოცემულ საქმეზე დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, თუმცა მხარეებს შორის ექსპერტიზის ხარჯების განაწილების წესი არ დადგენილა. აღნიშნულის გამო საქმის განხილვა გაჭიანურდა, მოპასუხემ თანხის გადახდაზე უარი განაცხადა და მოსარჩელე მისი ანაზღაურების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებში მითითებულია, რომ თუ რომელიმე მხარე ხარჯების მხარეებს შორის განაწილების შემთხვევაში არ გადაიხდის თანხას, ექსპერტიზა არ ჩატარდება. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მასზე გადადის. კასატორის აზრით, ანალოგიური განმარტება მიეცემა შუამდგომლობის ავტორს, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნა ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით ხდება.

კასატორი აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის დასკვნამ ზუსტად უპასუხა მოსამართლის კითხვას კანალიზაციის მილის დაზიანებასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, დაზიანება არ არის კანალიზაციის მილზე, თუმცა 2009 წლის 12 თებერვლის ადგილზე დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ გ. კ-შვილის ბინაში საკანალიზაციო მილზე მიერთება განხორციელებულია არასწორად, ყოველგვარი საინჟინრო-ტექნიკური ნორმების დაუცველად. მოპასუხის მიერ გადაჭრილია წყლის მილებიც. ექსპერტის დასკვნით, შესაძლოა წყალი მათი გადაჭრის მომენტში ჩასულიყო. ამდენად, ზუსტად დგინდება, რომ მოსარჩელის ბინაში წყალი ჩავიდა მოპასუხის ბინიდან, დგინდება დარღვევებიც, რაც მოპასუხის ბრალით არის გამოწვეული. გარდა ამისა, არსებობს მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი. ყოველივე აღნიშნული, მოპასუხის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე საჭიროებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელახლა არსებით განხილვას საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და მხარეთა მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილებისა და შეფასების საფუძველზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ვ. ლ-ჩი და მოპასუხეები -მ. და გ. კ-შვილები ცხოვრობენ ... ქ. #1-ში მდებარე ერთსა და იმავე კორპუსში, მე-3 და მე-4 სართულებზე. დადგენილია, რომ მოსარჩელის ბინაში ჩავიდა წყალი ზემოდან. ამის შედეგად დაზიანდა ჭერი, კედლები, პარკეტის იატაკი, ნივთები. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელის ბინის დაზიანებული ოთახების ზემოთ, საიდანაც წყალი ჩამოვიდა, მდებარეობს მოპასუხეების ბინა.

მოსარჩელე ვ. ლ-ჩი აღნიშნავს, რომ მისი ბინა დაზიანდა კ-შვილების მიერ კანალიზაციის ცენტრალური 2 მილის გადაჭრის შედეგად, სწორედ აღნიშნული გადაჭრილი მილებიდან გაჟონა წყალმა და დააზიანა ბინა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე სრულყოფილად არ არის გამოკვლეული საკითხი, კ-შვილების მიერ კანალიზაციის ცენტრალური მილების გადაჭრის ადგილი მოწყობილი იყო თუ არა ტექნიკური ნორმების დაცვით, რაც გამორიცხავდა აღნიშნული ადგილიდან წყლის გაჟონვას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის გამოკვლეული საქმეში არსებული ექსპერტის განმარტება, სადაც აღნიშნულია: „საერთოდ მიერთება უნდა იყოს „სამკაპით“, მაშინ წყალი არ გავიდოდა. მილი დახვეული უნდა ყოფილიყო, უნდა დაცული იყოს საინჟინრო ნორმები“. ასევე, არ არის გამოკვლეული და საქმის დანარჩენ მასალებთან ერთობლიობაში შეფასებული ადგილზე დათვალიერების ოქმი, სადაც კ-შვილების ბინაში საბაზანო ოთახის დათვალიერებისას აღნიშნულია: „რაც შეეხება 50მმ საკანალიზაციო მილს, ის მოწყობილია არასწორად, კერძოდ: ხელსაბანის მიერთების ადგილას, ნაცვლად საკანალიზაციო „სამკაპის“ მოწყობისა, აღნიშნულ მილში არის გაკეთებული ნახვრეტი, რომელიც დღეისათვის დაფარული იყო „ცელოფანის“ ნახვევით -პოლიეთილენის პარკით... უნდა აღინიშნოს, რომ პოლიეთილენი არ წარმოადგენს იმ კატეგორიის მასა-

ლას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მიღზე მაყუჩის - „ზაგლუშკას“ მოწყობა. იმ შემთხვევაში, თუ საკანალიზაციო დგარში წყალი და საკანალიზაციო სითხე იქნებოდა ზემოაღნიშნულ მილზე უფრო მაღლა, მოხდებოდა მილში არსებული ნახვრეტიდან წყლის გამოჟონვა. გარდა ამისა, იგივე მილზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიერთებულია აბაზანის კანალიზაციაც. აბაზანიდან დიდი რაოდენობით წყლის ერთბაშად გადინების შემთხვევაში ასევე მოხდებოდა ზემოაღნიშნულ მილზე არსებული ნახვრეტიდან წყლის გამოჟონვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბინაში მოწყობილ საკანალიზაციო დგარს არა აქვს ტექნიკური ნორმების შესაბამისად დახვეული საკანალიზაციო თოკი - „პაკლი“. დგარის გადავსების შემთხვევაში წყლის გამოშვება შესაძლოა აქედანაც მომხდარიყო“.

ასევე საყურადღებოა საქმეზე დადგენილი შემდეგი გარემოება: როგორც ლ-ჩის, ისე კ-შვილების ბინა დათვალიერდა წყლის ჩამოსვლიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ, რაც გამორიცხავს იმის უდავოდ დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას, რომ წყლის ჩასვლის მომენტში მოპასუხეების ბინა იყო სუფთა და იქ სისველის კვალი არ შეიმჩნეოდა.

საყურადღებოა საქმეში არსებული ექსპერტის განმარტებაც, რომ მოსარჩელის ბინაში წყალი ჩასულია მოპასუხის ბინიდან, რადგან მოპასუხის ბინის ჭერზე, კედლებსა და იატაკზე დაზიანებების კვალი, რაც იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის ბინაში წყალი ჩავიდოდა მე-5 სართულიდან, მოპასუხის ბინის გავლით, არ შეიმჩნევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეები არ უარყოფენ მოსარჩელის ბინაში წყლის ჩასვლას ზემოდან, სადაც მათი ბინა მდებარეობს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ ვითარებაში მოპასუხეებმა, მათი წილი მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით, სარწმუნოდ უნდა დაამტკიცონ, რომ წყალი მათ ბინაში არსებული საკანალიზაციო მილების გადაჭრის ადგილების ტექნიკური გაუმართაობის შედეგად არ ჩასულა.

მხოლოდ ორივე მხარის მიერ მათ წილი მტკიცების ტვირთის სწორად გაწვევისა და აღნიშნულის შედეგად შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენის შემთხვევაშია შესაძლებელი გაირკვეს, არსებობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შემადგენლობა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა სარჩელის თავდაპირველი მოთხოვნის ფარგლებში არასწორია და რომ სააპელაციო სასამართლოს საქმე უნდა განეხილა სააპელაციო საჩივარში წარდგენილი მოთხოვნის ფარგლებში აუდიტის ახალი დასკვნის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით კასატორი უთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის გამომანგარიშებისას დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესს, რაც სრულიად სხვა ურთიერთობაა, ვიდრე ეს მოცემულ შემთხვევაშია სადავო. ამასთან, მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში გაზარდა დავის საგანი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მტკიცებულებების შეფასება,
ექსპერტიზის დანიშვნა**

განჩინება

#ას-884-1170-09 23 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ნივთის მფლობელობაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. წ-ლის მიმართ უძრავი ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯის -73631 ლარის ანაზღაურებისა და აღნიშნული თანხის სრულ გადახდამდე სადავო უძრავი ნივთის მოსარჩელის მფლობელობაში დატოვების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2004 წელს გ. გ-მე შეუთანხმდა რ. წ-ელსა და მის საქმიან პარტნიორებს -მ. ბ-ძესა და დ. გ-შვილს ... ქ.#1^ა-ში მდებარე „ჭიგინის სახლის“ შესყიდვაზე, რის სანაცვლოდ გადაიხადა 8000 აშშ დოლარი, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება იმჟამად ვერ მოხერხდა. ზემოხსენებული ნაგებობა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო, გადაეცა მოსარჩელეს მფლობელობაში. გ. გ-მემ იგი საკუთარი ხარჯით გაარემონტა. აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო როგორც რ. წ-ლის, ისე მისი ოჯახის წევრებისათვის. მოგვიანებით რ. წ-ელი გარდაიცვალა. მოპასუხე რ. წ-ლის მემკვიდრე და მამაა. 2004-2007 წლებში მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მას სადავო ნივთის თავის სახელზე გადაფორმების მოთხოვნით და მოპასუხეს აღნიშნულისათვის 200 ლარიც გადაუხადა, თუმცა ნასყიდობა არ გაფორმებულა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 იანვრის განჩინებით ი. წ-ელთან ერთად მოპასუხეებმაც ჩაბმულ იქნენ გარდაცვლილი რ. წ-ლის შვილები -მ., ე. და ვ. წ-ლები.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: სასამართლოს 2007 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მ.ბ-ძესა და დ.გ-შვილს სადავო უძრავი ნივთის გასხვისების უფლებამოსილება არ გააჩნდათ, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება, რომ მან შენობა ზემოხსენებულ პირთაგან შეიძინა. დაუსაბუთებელია მოსარჩელის პრეტენზია შენობის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან გ.გ-ძეს სადავო უძრავი ნივთის ფლობისა და მისთვის რაიმე სამუშაოების შესრულების ნება არც მესაკუთრისა და არც მისი მემკვიდრეებისაგან არ აუღია.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. გ-ძის სარჩელი აწ გარდაცვლილი რ. წ-ლის მემკვიდრეების -ი., ე., მ. და ვ. წ-ლების მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს გ.გ-ძის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 68120 ლარის გადახდა, ასევე სახელმწიფო ბაჟისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გ. გ-მემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, მ., ე., ი. წ-ლებმა და ხ. კ-მემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მ., ე. და ი. წ-ლების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა გ.გ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება -ი., მ., ე. და ვ. წ-ლებს გ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის -1000 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში კი გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2000 წლის 31 მაისს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და რ. წ-ელს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ... ქ.#1^ა-ში მდებარე „ჭიგინის სახლის“ გასხვისების თაობაზე. ობიექტი გაიყიდა 6305 აშშ დოლარად. მოგვიანებით, აღნიშნული შენობა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა რ. წ-ლის სახელზე. 2004 წლის 30 ივლისს რ. წ-ელი გარდაიცვალა და მისი სამკვიდრო მიიღეს ი., მ., ე. და ვ. წ-ლებმა. 2004 წელს რ. წ-ლის კუთვნილ შენობას -ყოფილ „ჭიგინის სახლს“ ზეპირი გარიგების საფუძველზე დაეუფლა გ. გ-მე. გ. გ-მემ შენობა გაარემონტა და მის მიერ ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 68120 ლარი. სარემონტო სამუშაოების ჩატარების შედეგად უძრავი

ნივთის ღირებულება გაიზარდა და 2008 წლის ოქტომბრისათვის შეადგინა 600000 ლარი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ ექსპერტის დასკვნის საფუძველზე სწორად დაადგინა გ. გ-მის მიერ სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხის ოდენობა, მართებულად მიიჩნია, რომ ექსპერტის დასკვნა დასაბუთებულია, იგი ეყრდნობა სამშენებლო ნორმებსა და წესებს, სამშენებლო რესურსების ფასებსა და საგადასახადო კოდექსს, მასში ცხრილის სახით მოცემულია შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი და ღირებულების დამაჯერებელი გაანგარიშება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული დასკვნით სარწმუნოდ დგინდება გ. გ-მის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულება. სასამართლოს მითითებით, მოწინააღმდეგე მხარეს გ. გ-მის მიერ შენობის გარემონტების ფაქტი სადავოდ არ გაუხდია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექსპერტიზის დასკვნაში ასახული გარემოებების საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოწინააღმდეგე მხარეს ეკისრებოდა, რაც მას არ განუხორციელებია. ამდენად, პალატამ დაადგინა, რომ „ჰიგიენის სახლზე“ გ. გ-მის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 68129 ლარი, შესრულებული სარემონტო სამუშაოების შედეგად „ჰიგიენის სახლის“ ღირებულება არსებითად გაიზარდა და რ. წ-ლის მემკვიდრეებმა მიიღეს გაზრდილი ღირებულების მქონე ქონება ისე, რომ ამის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდათ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს პოზიცია გ. გ-მის მიერ „ჰიგიენის სახლის“ მართლობიერად ფლობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გ. გ-მემხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა კეთილსინდისიერი მფლობელი, თუ მას არ ეცოდინებოდა, რომ იგი სხვის ნივთს ეუფლებოდა ბათილი გარიგების საფუძველზე, მოცემულ შემთხვევაში კი დგინდება, რომ გ. გ-მეს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უთუოდ უნდა სცოდნოდა უძრავ ნივთზე ზეპირი ფორმით დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგი. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულის მიუხედავად, სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერ მფლობელსაც გააჩნია ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ხარჯებს ნივთის დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვება შედეგად. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ მომენტისათვის „ჰიგიენის სახლი“ დაუბრუნდა უფლებამოსილ პირებს – რ. წ-ლის მემკვიდრეებს; რ. წ-ლის მიერ შენობის შექმნისას მისი ღირებულება 6305 აშშ დოლარს შეადგენდა, მაშინ, როცა მისი მემკვიდრეებისათვის ქონების დაბრუნების დროისათვის შენობის ღირებულება იყო 600000 ლარი. ამდენად, გ. გ-მის მიერ ჩატარებული სამუშაოებით შენობის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა და რ. წ-ლის მემკვიდრეებმა იგი მიიღეს გაზრდილი ღირებულებით. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა გ. გ-მის მოთხოვნა ე. წ. ნივთის დაკავების უფლების გამოყენების თაობაზე, რადგან სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი არაკეთილსინდისიერ მფლობელს ნივთის დაკავების უფლებას არ ანიჭებს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ი. წ-ელმა, მ., ე. და ვ. წ-ლების კანონიერმა წარმომადგენელმა ხ. კ-მემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ გ. გ-მემ აქამდე უკვე მიმართა სასამართლოს, რა დროსაც მოითხოვა რ. წ-ლის მემკვიდრეთათვის სადავო უძრავ ნივთზე დადებული გარიგების პირობების შესრულება და ნივთზე მის მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურება. მოგვიანებით კი მოსარჩელემ ხარჯების დაკისრების ნაწილში მოთხოვნა მოხსნა. აღსანიშნავია, რომ მოცემული საქმის განხილვისას საჩხერის რაიონულმა სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაადგინა გ. გ-მის მიერ ნაგებობის შესასყიდად თანხის მ. ბ-მისა და დ. გ-შვილისათვის გადაცემის ფაქტი და ასევე ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელთ სადავო ნივთთან სამართლებრივი თვალსაზრისით, შეხება არ ჰქონიათ. ამდენად, პალატას უნდა ემსჯელა იმაზე, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გ. გ-მისათვის ცნობილი იყო „ჰიგიენის სახლზე“ მისი უფლებების არარსებობის შესახებ, თუმცა მან მაინც გაარემონტა შენობა. სადავო უძრავი ნივთის გაუმჯობესების საფუძველად მოწინააღმდეგე მხარემ არასწორად მიუთითა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიმართვაზე, ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით შენობის გარე ფასადის გარემონტების შესახებ, ვინაიდან აღნიშნული მიმართვა მუნიციპალიტეტის მოხელეთა ტენდენციურობაზე მეტყველებს. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა უკანონოა, ვინაიდან ექსპერტს სადავო შენობა არ დაუთვალა და შეაფასა მხოლოდ მისთვის წარდგენილი პროექტი. არც სასამართლოს და არც ექსპერტს ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ აღნიშნული პროექტი სათანადო კომპეტენტური ორგანოს მიერ არ დამოწმებულა. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა, რომ საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა სრულიად განსხვავებული განმარტება მისცეს სასამართლოს, ვიდრე იმავე მხარეებს შორის იმავე შენობაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული დავის განხილვისას დაფიქსირდა. სასამართლომ მითითებული იმით დაასაბუთა, რომ გ. გ-მის ახალი სარჩელი თვისობრივად სხვა დავას ეხება. ამდენად, პალა-

ტას არ შეუფასებია, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია 2007 წლისა და 2009 წლის გადაწყვეტილებათა სამოტივაციო ნაწილების შედარება. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ გ.გ-ძის მიერ სადავო შენობის მითვისებით კასატორებმა ზიანი განიცადეს მიუღებელი შემოსავლის სახით და დამატებით დააკისრა მათ იმ თანხის გადახდა, რაც მოწინააღმდეგე მხარემ მესაკუთრის ნებართვის გარეშე კანონით განსაზღვრული პროექტის არარსებობის პირობებში შენობის ირგვლივ გასწია. ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ ნაგებობა წარმოადგენდა ე.წ. "ჰიგიენის სახლს", მასში ფუნქციონირებდა აბანო, სამღებრო, სადალაქე, ელექტროხელსაწყოთა შემკეთებელი საამქრო და საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიმართვით მოსარჩელეს აკრძალა შენობისათვის პროფილის შეცვლა, შესაბამისად, შენობის გაუმჯობესებად ვერ ჩაითვლება გ.გ-ძის მიერ მასში არსებულ დაწესებულებათა დანგრევა და სავაჭრო ობიექტის გახსნა. ამდენად, შენობის გამოთავისუფლების შემდეგ კასატორებს მოუხდებათჴმისი პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად დამატებითი ხარჯის გაწევა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2000 წლის 31 მაისს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და რ. წ-ელს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ. ჭიათურაში, ... ქ.#1'-ში მდებარე „ჰიგიენის სახლის“ გასხვისების თაობაზე. ობიექტი გაიყიდა 6305 აშშ დოლარად. აღნიშნული შენობა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა რ. წ-ლის სახელზე. 2004 წლის 30 ივლისს რ. წ-ელი გარდაიცვალა და მისი სამკვიდრო მიიღეს ი., მ., ე. და ვ. წ-ლებმა. 2004 წელს რ. წ-ლის კუთვნილ შენობას -ყოფილ „ჰიგიენის სახლს“ დაეუფლა გ. გ-ძე. გ. გ-ძემ შენობა გაარემონტა და მის მიერ ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 68120 ლარი. უძრავი ნივთის ღირებულებამ 2008 წლის ოქტომბრისათვის შეადგინა 600000 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. წ-ლისა და ი., ე. და ვ. წ-ლების კანონიერ წარმომადგენელ ხ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გ. გ-ძე სადავო ფართს არაკეთილსინდისიერად ფლობდა. შესაბამისად, მისი სასარჩელო მოთხოვნა გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე სწორედ არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებამოსილების ფარგლებში უნდა შეფასდეს.

სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე -მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე გაწეული ხარჯები მას შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სავესებით სწორად დაასკვნა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი მფლობელს უფლება აქვს, მოითხოვოს ნივთზე გაწეული ის ხარჯი, რომელსაც უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად, თუმცა მითითებული ნორმით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ამ ნორმით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, უფლებამოსილი პირის გამდიდრების ფაქტის არსებობა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უტყუარად უნდა დადგინდეს. ამავდროულად, უფლებამოსილი პირის გამდიდრება უშუალოდ უნდა მოყვეს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთზე გაწეულ ხარჯებსა და გაუმჯობესებას. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესება მიმართული უნდა იყოს არსებულიდან უკეთესისაკენ და იგი უნდა ზრდიდეს ნივთის ღირებულებას. მხოლოდ ამ გარემოებათა დადასტურებისას შეიძლება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ რ. წ-ლის მიერ შენობის შეძენის დროისათვის მისი ღირებულება შეადგენდა 6305 აშშ დოლარს, მაშინ, როდესაც მისი მემკვიდრეებისათვის ქონების დაბრუნების დროისათვის შენობის ღირებულება იყო 600 000 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ გ.გ-ძის მიერ ჩატარებული 68120 ლარის სამუშაოებით "ჰიგიენის სახლის" ღირებულება არსებითად გაიზარდა, რ. წ-ლის მემკვიდრეები გამდიდრდნენ და არაკეთილსინდისიერი მფლობელის -გ. გ-ძის მოთხოვნა კანონიერია.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ დასკვნას დაუსაბუთებლად მიიჩნევს, ვინაიდან სასამართლოს არ გამოურკვევია საკითხები, რომელთა გარეშეც უფლებამოსილი პირის გამდიდრების ფაქტის დადგენა და დავის კანონიერი გადაწყვეტა შეუძლებელია, კერძოდ:

1. როგორც საქმის მასალებით დგინდება, რ.წ-ელმა სადავო ქონება შეიძინა 2000 წლის 31 მაისს, ხოლო გ. გ-მე ნივთს დაეუფლა 2004 წელს. ქონების ღირებულება 600 000 ლარის ოდენობით შეფასებულია 2008 წლის ოქტომბრის მდგომარეობით. იმ პირობებში, როდესაც სადავო ნივთის თავდაპირველ და საბოლოო ღირებულებას შორის აშკარად დიდი სხვაობაა, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, მოახდინა თუ არა გავლენა ნივთის ღირებულების გაზრდაზე ნივთის საბაზრო ღირებულების შეცვლამაც. წინააღმდეგ შემთხვევაში სარწმუნოდ უნდა დასაბუთდეს, რომ 68 120 ლარის ღირებულების ხარჯებმა მოცემული ოდენობით გაზარდა ნივთის ღირებულება;

2. როგორც დადგენილია, გ. გ-მე ფლობდა რა სადავო ნივთს, სხვადასხვა სახის სამეწარმეო დანიშნულებით იყენებდა მას. სააპელაციო სასამართლოს არ გამოურიცხავს გ.გ-მის მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოების მისივე სამეწარმეო ინტერესებისათვის გაწვევის შესაძლებლობა;

3. სააპელაციო სასამართლო სარემონტო სამუშაოებისა და უძრავი ნივთის ღირებულების შეფასებისას დაეყრდნო ექსპერტის დასკვნას და სარწმუნოდ ჩათვალა იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლოს მიერ მითითებული ექსპერტის დასკვნა ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ საქმეში წარმოდგენილი შპს "ლუსა აუდიტის" მონაცემებს. მოწინააღმდეგე მხარე უარყოფს და არც ექსპერტის დასკვნით დგინდება ექსპერტის მიერ შეფასებული ნივთის ადგილზე დათვალიერება. განმარტებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ამგვარი გარემოებები მტკიცებულების უტყუარობას ეჭვქვეშ აყენებს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ყოველმხრივ და სრულად უნდა გამოიკვლიოს მითითებული დასკვნა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

4. სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, გ.გ-მის მიერ კონკრეტულად რა სახის ხარჯები იქნა გაწეული, რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯის გაწევა და ემსახურებოდა თუ არა ეს ხარჯი სადავო ნივთის გაუმჯობესებას, თუ იგი გ. გ-მის, როგორც მეწარმის, ინტერესებიდან გამომდინარე იქნა გაწეული (შესაფასებელია ის გარემოებაც, რომ ზოგ შემთხვევაში ნივთის გაუმჯობესება (მაგ; ფასადის რემონტი და სხვა) მესაკუთრის ინტერესში უნდა ყოფილიყო და, ბუნებრივია, მას მესაკუთრის გამდიდრება მოჰყვა);

5. დადგენილია, რომ ნივთზე 68120 ლარის ხარჯი გაწეულ იქნა 2004 წელს, ხოლო მესაკუთრეს იგი გადაეცა 2008 წელს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სარემონტო სამუშაოები მოიცავს სხვადასხვა სახის, მათ შორის, სამღებრო სამუშაოებს, რომლებზედაც, ბუნებრივია, გარკვეულ გავლენას ახდენს დრო, ნივთის ექსპლოატაცია, ბუნებრივი მოვლენები. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა გაირკვეს 2004 წელს გაწეული სარემონტო სამუშაოების რეალური ღირებულება 2008 წლისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მ., ე., ვ. წ-ლების კანონიერ წარმომადგენელ ხ. კ-ძისა და ი. წ-ლის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-661-967-09

5 მარტი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნივთის გაუარესებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ნივთის დაბრუნება, ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ედ-ის“, საფირმო სახელწოდებით – „ეგ-ი“, დირექტორმა ნ. კ-შვილმა, სარჩელი აღძრა მოპასუხე შპს „ვ-ის“ მიმართ და განმარტა, რომ 2002 წლის 20 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ედ-ს“ შორის გაფორმდა ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მათ გადაეცათ ჩინეთის მთავრობის მიერ საქართველოსთვის მეგობრული დამოკიდებულების ნიშნად გამოყოფილი გრანტი –ხე-ტყის გადამამუშავებელი და დამამზადებელი მანქანა-დანადგარები. ხელშეკრულების გაფორმებამდე სამინისტროს გამოცხადებული ჰქონდა ტენდერი, სადაც მონაწილეობა მიიღო და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ედ-ი“.

ლიზინგის ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ედ-ი“ ვალდებული იყო გრაფიკის მიხედვით გადაეხადა სალიზინგო საგნის ღირებულება, დროის სხვადასხვა პერიოდში, სარჩელის შემოტანის დღისთვის, დარჩენილმა გადასახადმა თანხამ გრაფიკის მიხედვით შეადგინა 102,300 ლარი.

2002 წლის 30 სექტემბერს შპს „ედ-მა“ ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ვ-ს“, რომლის მიხედვით ამ უკანასკნელს სარგებლობაში გადაეცა ლიზინგის საგანი შემდგომი მიზნობრივი ექსპლოატაციისათვის, ხოლო ამის შედეგად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან 8%, „ვ-ს“ უნდა გადაეხადა შპს „ედ-ისთვის“. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, შპს „ვ-ი“ ახორციელებდა მანქანა დანადგარების ექსპლოატაციას, თუმცა არ ახდენდა მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან თანხების „ედ-თვის“ გადაცემას.

შპს „ედ-მა“ 2003 და 2004 წლებში, არაერთხელ მიმართა ზეპირი და წერილობითი ფორმით შპს „ვ-ის“ დირექტორს, ერთობლივად მოეხდინათ ურთიერთშედარება დამზადებული პროდუქციის რაოდენობისა და მისი რეალიზაციის შესახებ. ასევე, სთხოვეს მათი კუთვნილი თანხების გადარიცხვა, რათა დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ინტერესი და, ამასთანავე, ლიზინგის ქირას სახელმწიფო ბიუჯეტში გადაეხადათ. მიუხედავად ამგვარი მცდელობებისა, შედეგი ვერ იქნა მიღწეული და 2004 წლის თებერვლის დასაწყისში „ვ-ის“ დირექტორმა ნ. ც-ავმა წერილობით შეატყობინა, რომ შეხვდათ სხვადასხვა დაბრკოლება და ობიექტური გარემოებები პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით, რის გამოც ვერ მოახდინეს მათგან ანგარიშსწორება. მათ გააჩნდათ 40 კუბ.მ. პირველი ხარისხის მასალა დასაწყობებული სარეალიზაციოდ. მათ ითხოვეს გადაევადებინათ თანხების გადახდა 2004 წლის დეკემბრის ჩათვლით, რადგანაც წლის ბოლომდე ელოდებოდნენ პროდუქციის რეალიზაციიდან თანხების მოზიდვას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოპასუხეს ყველანაირად უწყობდნენ ხელს, მთელ ამ სადავო პერიოდში „ვ-ს“ არ გადაუხდია იჯარით გადაცემული დანადგარებიდან მიღებული და შპს „ედ-ის“ კუთვნილი თანხები. უფრო მეტიც, 2006 წელს, გაიქურდა და დატაცებული იქნა ხის საშრობი დანადგარის სამართავი პუნქტის ელექტროკომპიუტერული მოწყობილობები. ქუდობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე გურჯაანის შს საგამომიებო სამსახურში.

ვინაიდან შპს „ედ-ი“ ვერ იხდიდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთვის ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სალიზინგო თანხას, ამის გამო ეკონომიკის განვითარების სამინისტრომ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შპს „ედ-ის“ მიმართ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ვადამოსული დავალიანების – 29,575 ლარის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ განიხილა მოცემული სარჩელი და დააკმაყოფილა იგი – შპს „ედ-ს“ გადასახდელად დაეკისრა 29,575 ლარი.

შპს „ვ-მა“ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები 2002 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე და არ გადაურიცხავს კუთვნილი თანხები; დანადგარები დღემდე იმყოფება მოპასუხესთან და მათ არ მოუთხოვიათ ხელშეკრულების შეწყვეტა. უფრო მეტიც, მათ თვითნებურად გადააკეთეს ნივთი და დღემდე იყენებენ არადანიშნულებისამებრ.

დანადგარების მოპასუხესთან ყოფნის დროს ქუდობის შედეგად ნივთის მატერიალური ღირებულება გაუარესდა და გახდა უვარგისი, კერძოდ, მოპასუხემ დაკარგა დანადგარის მნიშვნელოვანი მოწყობილობა ხის კამერების სამართავი პუნქტის სახით. აღნიშნული სამართავი პულტის გარეშე, ნივთს ევარგება თვისობრივი დანიშნულება და, შესაბამისად, ნივთი უვარგისი ხდება მისი პირდაპირი საპასპორტო დანიშნულებისათვის.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს, მანა ეს საიჯარო ნივთი მასთან იმყოფებოდა, ევალეზობა და მისი გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და მიზნობრივი გამოყენება, თუმცა, დღეისათვის ნივთის მატერიალური ღირებულება შემცირებულია, რის გამოც შპს „ედს-მა“ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი. მათ მიერ შეფასებული იქნა ნივთის გაუარესების გამო მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 60,000 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, მის სასარგებლოდ მოპასუხეს დაკისრებოდა, 2002 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნივთის გაუვარგისების გამო მიყენებული ზიანის – 57,850 ლარის ანაზღაურება. ასევე, 2000 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 27,089 ლარის ანაზღაურების დაკისრება და ნივთის შპს „ედ-თვის“ დაბრუნება.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ედ-ი“ – საფირმო სახელწოდება „ეგ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – შპს „ვ-ს“, შპს „ედ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 47 290 ლარის გადახდა და ხე-ტყის საშრობი დანადგარის დაბრუნება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ედს“მა საფირმო სახელწოდებით „ეგზოტური“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ედ-ის“, საფირმო სახელწოდებით „ეგ-ი“, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შპს „ვ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება ხე-ტყის საშრობი დანადგარის სამართავი პულტის ღირებულების 20 201 ლარის ანაზღაურებისა და ხე-ტყის საშრობი დანადგარის დაბრუნების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ასევე, გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების მესამე პუნქტი. შპს „ედ-ის“, საფირმო სახელწოდებით „ე-ი“, სარჩელი 2002 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნივთის გაუვარგისების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და ნივთის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება შპს „ედ-ის“, საფირმო სახელწოდება „ეგ-ი“, სასარგებლოდ 2000 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 27089 ლარის ანაზღაურების ნაწილში დარჩა უცვლელად. შპს „ვ-ს“, შპს „ედ-ის“, საფირმო სახელწოდებით „ეგ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 810 ლარის გადახდა. შპს „ედ-ს“, საფირმო სახელწოდებით „ეგ-ი“ შპს „ვ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 800 ლარის გადახდა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2002 წლის 20 აგვისტოს შპს „ედ-ი“ – საფირმო სახელწოდებით „ეგ-ს“ და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შპს „ედ-ს“ საფირმო სახელწოდება „ეგ-ი“, გადაეცა ჩინური გრანტის ფარგლებში შეძენილი ხის საშრობი მანქანა-დანადგარები, ღირებულებით 131500 ლარი;

2002 წლის 30 სექტემბერს შპს „ედ-სა“ და შპს „ვ-ს“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვით ამ უკნასკნელს ექსპლოატაციისათვის გადაეცემოდა ლიზინგის საგანი-ხის საშრობი მანქანა-დანადგარი;

2006 წლის 3 მაისს შპს გურჯაანის რაიონული სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება ხის საშრობი დანადგარის კომპიუტერული ტექნიკის (სამართავი პუნქტი) ქურდობის ფაქტზე;

დაკარგული ხის საშრობი დანადგარის სამართავი პუნქტის ღირებულება შეადგენს 24000 ევროს (56000 ლარი), ხოლო პეკინიდან თბილისში იმპორტირების საფასური საბაჟო და სატრანზიტო ღირებულების მიხედვით შეადგენს 1250 აშშ დოლარს (1850 ლარი).

2000 წლის 15 ნოემბერს შპს „ედ-ს“ საფირმო სახელწოდებით „ეგ-სა“ და შპს „ვ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ხე-ტყის დამზადება-რეალიზაციის თაობაზე. ხელშეკრულების მიხედვით შპს „ედ-ს“ შეკვეთის საფუძველზე შპს „ვ-ს“ უნდა შეესრულებინა ხე-ტყის დამზადება-რეალიზაციის სამუშაოები.

2000 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ვ-ის“ დავალიანება შპს „ედ-ს“ მიმართ 2004 წლის 2 თებერვლისათვის შეადგენდა 27,089 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი მოტივები 2000 წლის 15 ნომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 27089 ლარის მოთხოვნის დაუსაბუთებლობის თაობაზე. პალატამ განმარტა, რომ მოცემულ საქმეში წარმოდგენილია შპს „ვ-ის“ დირექტორის ნოდარ ც-ავის წერილი შპს „ედ-ის“ დირექტორის ნ. კ-შვილის სახელზე, სადაც იგი აღიარებს, რომ, 2000 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მისი კომპანიის დავალიანება შპს „ედ-ის“ მიმართ შეადგენდა 27089 ლარს. ამავე წერილით იკვეთებოდა შპს „ვ-ის“ მზადყოფნა, გადაეხადა დავალიანება 2004 წლის დეკემბრამდე. პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან 2004 წლის 2 თებერვლის წერილის შინაარსი მოიცავდა, როგორც ფულადი ვალდებულების არსებობის აღიარებას, ასევე, მისი გადახდის ვალდებულების არსებობის აღიარებასაც, იგი დამოუკიდებლად წარმოშობდა ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველს, როგორც დამოუკიდებელი ხელშეკრულება. ამასთან, პალატამ ჩათვალა, რომ აღიარება განხორციელდა ხანდაზმულობის მიმდინარეობის პერიოდში, შესაბამისად, ამ წერილმა შეწყვიტა ხანდაზმულობის ვადის დენა, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით, მისი ვადა დაიწყო 2005 წლიდან, რადგან შპს „ვ-მა“ არ შეასრულა 2004 წლის დეკემბრის ბოლომდე გადავადებული ვალდებულების შესრულება.

ნივთის გაუარესებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების და ნივთის დაბრუნების ნაწილში გასაჩვირებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია იმის მიუხედავად, მოსარჩელე უტყუარად დაადასტურებდა დაკარგული ნივთის ღირებულებას თუ ვერა, ვინაიდან საქმის მასალებით არ დადასტურდა 2002 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისათვის სადავო ნივთის გადაცემის ფაქტი, რაც მოპასუხეს წარმოუშობდა ნივთის მოვლა-პატრონობის ვალდებულებას. პალატის განმარტებით, სადავო ნივთის გადაცემის შესახებ მხარეთა შორის არ არსებობს მიღება-ჩაბარების აქტი, რის გამოც ვერ დადგინდა, რეალურად გადაეცა თუ არა ნივთი მოპასუხეს, ან თუ გადაეცა -როდის, რა პირობებში და რა მდგომარეობაში იმყოფებოდა გადაცემული ნივთი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2002 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულება არ იყო საკმარისი მტკიცებულება ნივთის გადაცემის ფაქტის დასადასტურებლად, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითება იმის შესახებ, რომ შპს „ვ-მა“ სოფ. ... მის კუთვნილ ტერიტორიაზე დამონტაჟებულ შპს „ედ-ის“ მიერ ლიზინგით აღებულ ხის საშრობ დანადგარს უნდა გაუწიოს ექსპლუატაცია, არ ადასტურებდა ნივთის გადაცემას. დადგენილია, რომ 2002 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შპს „ვ-ს“ სოფ. ... არ გააჩნდა არც მიწის ნაკვეთი და არც მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, შესაბამისად, შპს „ედ-ს“ მიერ ლიზინგით აღებული დანადგარი დამონტაჟებული ვერ იქნებოდა სოფ. ... შპს „ვ-ის“ კუთვნილ ტერიტორიაზე; საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულების დადებისას სოფელ ... მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები გააჩნდა შპს „ედ-ს“, ხოლო შპს „ვ-მა“ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები შეიძინა მხოლოდ 2004 წელს, შპს „ედ-ისგან“. ამასთან, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ სოფ. ... შპს „ვ-ის“ კუთვნილ შენობა-ნაგებობებში არის დამონტაჟებული სადავო დანადგარი და ვერც ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი სოფ. ... მის კუთვნილ შენობა-ნაგებობაში არ არის დამონტაჟებული.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გააჩვირა შპს „ედ-მა“ საფირმო სახელწოდებით „ეგ-ი“.

კასატორის განმარტებით, დანადგარის კომპიუტერული სამართავი პუნქტის დაკარგვით მან განიცადა ზიანი, რომელიც გამოიხატა ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის შექმნაში. კასატორის მითითებით, საქმეში არსებული მასალების მიხედვით უდავოდ მტკიცდება ის გარემოებები, რომ შპს „ვ-თან“ 2002 წლის 30 სექტემბრიდან მას გააჩნდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი პასუხისმგებელი იყო ხელშეკრულების საგნის გამართულ მდგომარეობაში ყოფნაზე და ვალდებული -მიზნობრივად და ტექნიკური მონაცემების შესაბამისად მოეხდინა მისი გამოყენება. საქმეში წარმოდგენილია „ვ-ს“ წერილობითი მოხსენებითი ბარათი ეკონომიკის სამინისტროს სატენდერო კომისიისათვის, რომ ვ-მა“ 2002 წლის 18 აგვისტოს მიიღო ხე-ტყის საშრობი სისტემა

და სხვადასხვა მაკომპეტებული მასალები. ისინი კომისიას სთხოვდნენ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას. 2002 წლის 31 სექტემბერს (თარიღში მექანიკური შეცდომაა) გაფორმდა კიდევ მიღება-ჩაბარეტი, რომელსაც ხელს აწერს „ვ-ს“ სახელით დირექტორი ნ. ც-ავი, რომელიც იმავდროულად იყო „ედ-ს“ წარმომადგენელიც.

გასათვალისწინებელია ასევე საქმეში არსებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სხვა საბუღალტრო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც „ვ-ი“, იჯარის ხელშეკრულების თანახმად, „ედ-ს“ უხდის გარკვეულ თანხებს. ამდენად, კასატორის აზრით, მოცემული ფაქტობრივი გარემოებები იმთავითვე უტყუარად ადასტურებენ საიჯარო სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას მხარეებს შორის, ხოლო ამ ურთიერთობის ფარგლებში მოიჯარის მიერ ნივთის სამართავი პულტის დაკარგვა წარმოშობს მოიჯარის პასუხისმგებლობას მიყენებული ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურებაზე ნივთის მოიჯარის სარგებლობაში ყოფნის დროს მისი კომპიუტერული პულტის დაკარგვამ განაპირობა ზიანის ფაქტი, რომელიც უნდა აანაზღაუროს მხოლოდ მასზე პასუხისმგებელმა პირმა „ვ-მა“.

კასატორის აზრით, მიწის ნაკვეთის ამა თუ იმ პირის საკუთრებაში ყოფნა არ გამოირიცხავს ნივთის მოცემულ მიწის ნაკვეთზე მიღება-გადაცემის ფაქტს. ლიზინგის საგნით სარგებლობა ხდებოდა გურჯაანის რ-ნის სოფ. . . . , სადაც უნდა მომზადებულიყო საწარმოო ფართი. ამდენად, ლიზინგის ხელშეკრულებით იმთავითვე განისაზღვრა ნივთის ადგილსამყოფელი მისი შემდგომი ექსპლუატაციისათვის. 2004 წელს „ვ-მა“ შეიძინა მიწის ნაკვეთი, ი შენობა-ნაგებობები და განაგრძობდა ნივთის ექსპლუატაციას, როგორც ადრე, ისე შემენის შემდგომ. შესაბამისად, კასატორის აზრით, ნივთის მიმართ სარგებლობის ფაქტობრივი გარემოებანი უნდა დამტკიცდეს უშუალოდ საიჯარო ნივთის მიმართ პირის შემხებლობით და არა მისი განთავსების ადგილის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვათ საიჯარო ნივთის (ხის საშრობი მოწყობილობები) სამართავი კომპიუტერული მოწყობილობის (პულტის) დაკარგვის გამო მისი ღირებულების ანაზღაურებაზე და ნივთის დაბრუნებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს „ედ-ეგ-მა“ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა საიჯარო ნივთის (ხის საშრობი მოწყობილობის) სამართავი კომპიუტერული მოწყობილობის (პულტის) დაკარგვის გამო მისი ღირებულების ანაზღაურებასა და ნივთის დაბრუნებაზე.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქურდობის შედეგად დაიკარგა ხის საშრობის კამერის კომპიუტერული მართვის პუნქტი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნის უარყოფის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ უტყუარად ვერ დაასაბუთა 2002 წლის 30 სექტემბრის საფუძველზე სადავო ნივთის გადაცემის ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს აზრით, მხარეთა შორის არ არსებობს მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოპასუხისათვის ნივთის გადაცემა, ხოლო მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან არ ირკვევა გადაეცა თუ არა ნივთი მოპასუხეს. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთზე დამონტაჟებული დანადგრისთვის ექსპლოატაციის გაწევა არ ნიშნავს ნივთის გადაცემას, რადგან 2002 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შპს „ვ-ს“ არ გააჩნდა მიწის ნაკვეთი და იგი შეიძინა მხოლოდ 2004 წლის 27 ნოემბერს.

საკასაციო პალატა ზემოთ მითითებულ არგუმენტაციას ვერ გაიზიარებს. ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადებისას სოფ. . . . შპს „ვ-ს“ არ გააჩნდა მიწის ნაკვეთი, არ გამოირიცხავს ამ ნაკვეთზე დამონტაჟებული ნივთის მფლობელობაში გადაცემას. მითუმეტეს, რომ მიწის მესაკუთრე იყო შპს „ედ-ი“, რომელიც წარმომადგენდა შპს „ვ-ს“ ერთადერთ დამფუძნებელს და ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს, რომელიც, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო ხელშეკრულების შესრულებით. აღნიშნულ მოსაზრებას აღმავეებს ის ფაქტიც, რომ ორი წლის შემდეგ მიწა საკუთრებაში გადაეცა სწორედ შპს „ვ-ს“. სასამართლოს უნდა დაედგინა, ის ფაქტი ახორციელებდა თუ არა მოპასუხე ნივთის ექსპლოატაციას. აღნიშნული გარემოების დასადგენად სასამართლოს შეეძლო შეფასებინა საქმეში წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები და საბუღალტრო დოკუმენტები. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დღეისათვის ტერიტორია, რომელზეც განთავსებული იყო ნივთი, წარმოდგენს შპს „ვ-ის“ ტერიტორიას. ქურდობის ფაქტი მოხდა იმ პერიოდისათვის, როდესაც მიწის ნაკვეთი უკვე მის საკუთრებაში ირიცხებოდა და ის ფაქტი, რომ ნივთი ამ დროისათვის ამ ტერიტორიაზე აღარ იმყოფებოდა, აუცილებლიად ასახავს ჰპოვებდა გამოძიების მასალებში. ასეთი რამ კი საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სასამართლოს არ განუმარტია ხელშეკრულების ის ფრაზა, სადაც მითითებულია, რომ დანადგარი დამონტაჟებულია მიწის ნაკვეთზე. ასეთ შემთხვევაში ნივთი შეიძლება არსებობდეს საკუთვნილების სახით. სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთი, რომელიც მიწასთან არის დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე, ასევე მიიჩნევა საკუთვნილებად. იმ შემთხვევაში, თუ სადავო მოწყობილება მიჩნეულ იქნება საკუთვნილებად, სამოქალაქო კოდექსის 324-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის გასხვისებისას გასხვისების ვალდებულება გავრცელდებოდა საკუთვნილებზეც და, შესაბამისად, ნივთი გადაეცემოდა შპს "ვ-ს"

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა საბუღალტრო დოკუმენტებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებზე, რომელიც მხარეს წარმოადგენილი აქვს საქმეში. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ გაიზიარებდა ამ მტკიცებულებებს, სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უარყოფი არგუმენტები უნდა აესახა გადაწყვეტილებაში, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა. ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ დაკარგული ნივთის ღირებულების დაუდგენლობა არ შეიძლება გახდეს ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი ხელახლა უნდა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ.

საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დადგინდეს, თუ ვის მფლობელობაში არსებობს ნივთი, რა სამართლებრივი სტატუსი გააჩნია მას და ახდენდა თუ არა შპს "ვ-ი" ხის საშრობი ნივთის ექსპლოატაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "ედ-ის" საფირმო სახელწოდება ეგზოტურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ნაწილში და ამ ნაწილში გადაწყვეტილება ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებების შეფასება, ექსპერტის დასკვნა

განჩინება

#ას-1048-1316-09

23 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამანქანო გზით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ქ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ბ-მის მიმართ საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი სამანქანო გზით სარგებლობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1966-1971 წლებში მოსარჩელე შუახვის რაიონიდან ჩასახლდა დ. ჩაქეში, ... ქ.#10-ში და დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. 1977 წლიდან მისი ოჯახი სარგებლობს საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი ერთადერთი სამანქანო გზით, რომელიც უკანონოდ მიითვისა მოპასუხის ოჯახმა. გზა არ წარმოადგენს ა. ბ-მის საკუთრებას, რადგან მას კანონიერად ერიცხება 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო 300 კვ.მ საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი სადავო გზა სრულიად უკანონოდ აქვს მითვისებული.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ქ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. ბ-მეს დაევალა ა. ქ-მის საცხოვრებელი სახლის აუცილებელ საჯარო გზასთან დამაკავშირებელი სამანქანო გზის აღდგენა, ასევე, აღნიშნულ გზაზე არსებული ჭიშკრის დანგრევა, რაც ა. ბ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აგვისტოს განჩინებით ა. ბ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1975 წლის 6 თებერვლის #40 გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში შუახევის რაიონიდან ჩასახლდა 12 ოჯახი, მათ შორის, ა. ქ-მე და ა. ბ-მე. მათ ცალ-ცალკე ერთმანეთის მეზობლად ... ქ.#10-სა და #8-ში მიეზომათ 1500-1500 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სადაც ააგეს კაპიტალური საცხოვრებელი სახლი და დღემდე ცხოვრობენ. აღნიშნული დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერებითაც. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის საოქმო გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ა. ბ-მის საკუთრების უფლება დაბა ჩაქვში, ... ქ. #8-ში მდებარე 1500 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, 2007 წლის 27 დეკემბერს გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა #2431, ხოლო საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 29 ივლისის #01 გადაწყვეტილებით ზემოხსენებული საკუთრების უფლების მოწმობა ბათილად იქნა ცნობილი. შემდგომში კომისიამ ადგილზე გასვლით დაათვალიერა აღნიშნული მიწის ნაკვეთი, რადროსაც ცნობილი გახდა, რომ მხარეებს შორის სადავო მისასვლელი გზა კომისიის მიერ გაცემული 2431-ე საკუთრების უფლების მოწმობით აღიარებულ საზღვრებში არ მდებარეობდა და 2008 წლის 4 აგვისტოს #94 გადაწყვეტილებით კომისიამ თავისი 2008 წლის 29 ივლისის #91 გადაწყვეტილება ბათილად ცნო. ამდენად, სააპელაციო პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ ა. ბ-მეს ამჟამად გააჩნია ორი ერთმანეთის გვერდით განთავსებული მიწის ნაკვეთი. ერთი მიღებული აქვს 1975 წლის 6 თებერვლის #40 გადაწყვეტილებით, ხოლო მეორე - 2007 წლის 27 დეკემბრის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ოქმის საფუძველზე გაცემული საკუთრების უფლების #2431 მოწმობით. თითოეული ნაკვეთის ზომად საჯარო რეესტრის ჩანაწერებში მითითებულია 1500 კვ.მ. 2008 წლის 22 იანვრის საჯარო რეესტრის ამონაწერით და საკადასტრო გეგმით ასევე დასტურდება, რომ ორივე ნაკვეთი ამჟამად გაერთიანებულია და მინიჭებული აქვს ერთი ნომერი -37, რომლის მთლიანი ფართობია 3000 კვ.მ.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სადავო გზა შედის ა. ბ-მის იმ ნაკვეთში, რომელიც მას ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის 1975 წლის 6 თებერვლის #40 ბრძანებით გამოეყო (ნაკვეთი, რომელზედაც ა. ბ-მის სახლია განთავსებული) და ამჟამად საჯარო რეესტრში აღიარებულია როგორც მისი საკუთრება. სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული საჯარო რეესტრის ჩანაწერი გასაჩივრებული არ არის და სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი ითვლება სწორად. საქმის მასალებით დადგინდა, რომ 2007 წლამდე, მხარეთა შორის კონფლიქტამდე, ა. ქ-მე და მისი ოჯახის წევრები წლების განმავლობაში სარგებლობდნენ ა. ბ-მის ნაკვეთზე გამავალი სამანქანო გზით, რაც დასტურდება მოწმობების: ვ. კ-მის, ტ. მ-შვილის, ლ. ყ-მის განმარტებებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის -ე. ჯ-მის მოხსენებითი ბარათით. თავად აპელანტის განმარტებით, უარყოფილია სამანქანო გზის არსებობა, მაგრამ დადასტურებულია, რომ ა. ქ-მე სარგებლობდა მიწის ნაკვეთზე გამავალი ბილიკით და მას სახლთან მისასვლელი არც საცალფეხო და არც სამანქანო სხვა გზა არ გააჩნია.

საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური და, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრის უფლებები შეზღუდულია ან კანონით ან ხელშეკრულებებით. პალატამ მიუთითა ამავე კოდექსის 180-ე მუხლზე, რომელშიც მოცემულია საკუთრების უფლების კანონისმიერი შეზღუდვის პირობები, რომელთა არსებობისას მეზობელი ვალდებულია, ითმინოს თავისი მიწის ნაკვეთის დატვირთვა, თუმცა მეზობელი მიწის ნაკვეთის დატვირთვა ობიექტური გარემოებებით უნდა იყოს გამოწვეული. სასამართლოს მოსაზრებით, ობიექტურ გარემოებას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც მიწის ნაკვეთი მთლიანადაა იზოლირებული საჯარო გზისაგან ან საამისოდ ადრე არსებობდა ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი გზა, მაგრამ ამჟამად მისი ამ მიზნით გამოყენება შეუძლებელია, "აუცილებელ გზაში" კი იგულისხმება ბილიკიც, საცალფეხო და სამანქანო გზებიც. პალატამ ასევე დაადგინა, რომ ადრე არსებობდა ა. ქ-მის სახლთან მისასვლელი სამანქანო გზა ამჟამად ა. ბ-მის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთიდან (წინააღმდეგ შემ-

თხვევაში სახლის ასაშენებელი მასალების შეზიდვა შეუძლებელი იქნებოდა), რომელიც ა. ბ-მეს ჭიშკრით აქვს გადაკეტილი, ამდენად, ადრე არსებობდა ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი გზა, მაგრამ ამჟამად შეუძლებელია მისი ამ მიზნით გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მოსარჩელეს შეუძლია გაიყვანოს თავის სახლთან მისასვლელი ალტერნატიული გზა სხვა მხრიდან, ასევე, იმაზე მითითება, რომ სადავო გზა არ წარმოადგენდა სამანქანო გზას. მოსარჩელე ა.ქ-მე სადავო მიწის ნაკვეთს გზად იყენებს 1975 წლიდან, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაავალა ა.ბ-მეს ა. ქ-მის საცხოვრებელი სახლისათვის აუცილებელი საჯარო გზასთან დაკავშირებული სამანქანო მისასვლელი გზის აღდგენა. პალატამ საჯარო რეესტრის ჩანაწერის საფუძველზე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო გზა არ წარმოადგენს ა. ბ-მის საკუთრებას და აღნიშნული ნაკვეთი მას თვითნებურად აქვს დაკავებული, მაგრამ ჩათვალა, რომ თავისი სამართლებრივი შედეგით გადაწყვეტილება სწორია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. ბ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველზე: პალატა გასცდა მხარის მოთხოვნის ფარგლებს, როდესაც, კასატორს, ფაქტობრივად, ჩამოართვა საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ა. ქ-მის ნაკვეთამდე მისასვლელი სხვა გზა არ არსებობს. საწინააღმდეგოს ამტკიცებს 2008 წლის 25 ივნისს დანიშნული სასამართლო ექსპერტიზა, კერძოდ, "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის" დასკვნის თანახმად, სადავო მიწის ნაკვეთი შედის ა. ბ-მის საკუთრებაში, თუმცა არსებობს ა.ქ-მის მიწის ნაკვეთთან მისასვლელი ალტერნატიული გზა, რომელიც მის მიწის ნაკვეთს საჯარო გზასთან დაკავშირებს და იგი, თავისი ფიზიკური და გეოლოგიური მდგომარეობით, მეტად მოსახერხებელი იქნება. შპს "მ-ის" მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზის თანახმად, ა. ქ-მეს საცხოვრებელ სახლთან მისასვლელად კიდევ ორი დამატებითი გზა აქვს. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ შესრულებულ საკადასტრო გეგმაზე, რომელიც არსებულ ყველა სამანქანო გზას ასახავდა, სადავო მონაკვეთი, როგორც გზა, დატანილი არ იყო. შესაბამისად, განმარტება, რომ სადავო ტერიტორიაზე საავტომობილო გზა გადიოდა, არასწორია. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი, ვინაიდან, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ მოსარჩელის საკარმიდამო ნაკვეთზე შესაძლებელია სხვა ალტერნატიული გზის მოწყობა. ამასთან, ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ივლისის სხდომაზე ა.ქ-მემ აუცილებელი გზით სარგებლობისათვის მესაკუთრის სასარგებლოდ საზღაურის გადახდაზე კატეგორიული უარი განაცხადა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქმეში არსებული ფოტოსურათები სადავო მიწის ნაკვეთს არ ეხება. პალატამ ყურადღება არ გამახვილა მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ კასატორის კუთვნილი მიწა მეწყერსაშიშია და მასზე გზის მოწყობით შესაძლოა მხარეს დიდი ზიანი მიადგეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, ვინაიდან მოცემულ დავაზე ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად მიჩნევა არასაკმარისადაა დასაბუთებული და აუცილებელია საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე ზემოაღნიშნული საფუძველით ერთხელ უკვე გაუქმდა ამავე -ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება და, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის განჩინებით, საქმის ხელახლა განხილველ სასამართლოს დაევალა ფაქტობრივ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა, რაც განსახილველი განჩინებით არ განხორციელებულა, კერძოდ:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ სადავო გზის მიწის ნაკვეთის ა. ბ-მის საკუთრებაში არსებობა დაადგინა ფაქტების გამორიცხვით, კერძოდ, მიუთითა, რომ, რადგანაც სადავო მისასვლელი გზა არ მდებარეობს ა. ბ-მის სახელზე გაცემული #2431 მოწმობით (ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 4

ავგისტოს #94 გადაწყვეტილება) აღიარებულ საზღვრებში, სადავო გზა შედის ა. ბ-ძის იმ ნაკვეთში, რომელიც მას ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის 1975 წლის 6 თებერვლის ბრძანებით გამოეყო. ამ გარემოების დადგენისას პალატა დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ საქმის მასალებით ა. ბ-ძისათვის 1975 წელს და 2008 წელს გადაცემული 1500-1500 კვ.მ მიწის ნაკვეთები გაერთიანებულია და ამჟამად წარმოადგენს ერთ ფართობს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით უთითებს, რომ საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის განჩინებით ერთმნიშვნელოვნად იქნა მითითებული სადავო გზის მონაკვეთის ა. ბ-ძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე განთავსების გამორკვევის და ფაქტის უტყუარად დადგენის აუცილებლობა, ვინაიდან აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გარეშე შეუძლებელია მოცემული დავის სამართლებრივად სწორად შეფასება. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ვინაიდან სადავო მისასვლელი გზა არ მდებარეობს 2008 წელს ა. ბ-ძისათვის საკუთრებაში გადაცემულ 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთში, სადავო გზის მონაკვეთი შედის ქობულეთის რაიონის აღმასკომის მიერ 1975 წელს მისთვის გადაცემულ მიწის მონაკვეთში. ამ ფაქტობრივი გარემოების დასაბუთებლად სააპელაციო სასამართლომ თავისი დასკვნა დააყრდნო საჯარო რეესტრის ამონაწერს და საკადასტრო გეგმას. ერთი ფაქტის არსებობის გამორიცხვის გზით მეორე ფაქტის არსებობის დადგენა უტყუარი არ არის და ეს გარემოება არც მითითებული მტკიცებულებებით ცალსახად არ დგინდება, ვინაიდან დამაჯერებლად არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სადავო მისასვლელი გზის ფართობი არ არის მოქცეული ა. ბ-ძის საკუთრებაში არსებულ 3000 კვ.მ-ში. ამ ეჭვს ამყარებს კასატორის მიერ მითითებული გარემოება, რომ სადავო გზა ა. ბ-ძის ორ, ამჟამად უკვე გაერთიანებულ, მიწის ნაკვეთებს შორის იყო მოქცეული და ამ ნაკვეთების ფართობი არ შედიოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმები იმპერატიულად ავალდებულებს სასამართლოს, საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულების როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად სრულყოფილ და ობიექტურ გამოკვლევას. მტკიცებულების სრულყოფილად გამოკვლევა გულისხმობს თავდაპირველად მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოება უნდა დაადგინოს მტკიცებულებათა სრულყოფილი ანალიზის შედეგად და თუ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა სპეციალური ცოდნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ისარგებლოს სპეციალისტის დახმარებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. აღნიშნული ნორმის მიზანია, საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასება განკუთვანდობისა და დასაშვებობის პრინციპით. ამავდროულად, ამ მოთხოვნათა დარღვევით წარმოდგენილი მტკიცებულებებთან მიმართებით სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სათანადო მოქმედება უნდა განახორციელოს (არ მიიღებს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებად წარდგენილ მასალას). კანონით გათვალისწინებული ამ მოქმედების განუხორციელებლობა კანონითვე იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სასამართლომ საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება დავაზე განკუთვანდად მიიჩნია და იგი უნდა შეფასდეს. ამავე კოდექსის 249-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სასამართლომ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მის მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. აღნიშნული ნორმის შინაარსით იმპერატიულად დადგენილია სასამართლოს ვალდებულება, შეაფასოს საქმეში დასაშვებობისა და განკუთვანდობის პრინციპით მიღებული ყველა მტკიცებულება და თუ არ იზიარებს ამა თუ იმ მტკიცებულებაში მითითებულ ფაქტს, უნდა დაასაბუთოს მოტივები, რის გამოც სასამართლო უარყოფს მტკიცებულებას.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ ა. ბ-ძის საკუთრებაში არსებულ მონაკვეთზე ისე დაადგინა აუცილებელი გზის ვალდებულება, რომ სარწმუნოდ არ დაუდგენია სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული და კასატორის მიერ სადავოდ მიჩნეული წინაპირობა - მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი და არც ასეთი კავშირის ალტერნატივა, გარდა აუცილებელი გზისა.

აღნიშნულის ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთო-

ბის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს თავისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

კანონის ეს დანაწესი გულისხმობს ნივთის ასეთი უფლებით დატვირთვას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ანუ ობიექტური გარემოება (სხვა გზის არარსებობა, რაც ნივთის ჯეროვანი გამოყენების საშუალებას არ იძლევა და ამით ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მცირდება ან საერთოდ იკარგება) წარმოშობს სხვისი ნივთით სარგებლობის აუცილებლობას. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით აუცილებელი გზის მხოლოდ აუცილებელ, უალტერნატივო შემთხვევებში დადგენა განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციით და ამავე კოდექსით აღიარებული საკუთრების უფლების თავისუფლებით. ამასთან, ამ უფლების შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ კანონისმიერი ან სახელმწიფოებო ბოჭვის ფარგლებში.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით კანონი მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შეზღუდვას აწესებს მხოლოდ ნორმაში აღნიშნულ წინაპირობათა უტყუარად არსებობის შემთხვევაში. იმავდროულად, ამ წინაპირობებზე არსებობის აუცილებლობაზე გავლენას არ ახდენს მესაკუთრის მიერ მეზობლისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი მიზნით (მეორე მეზობლის მიერ ნაკვეთით უკეთ სარგებლობის ან სხვა) და საფუძვლით (კეთილმეზობლური, ნათესაური და სხვა) გადაცემა. ამდენად, მატერიალური სამართლით გათვალისწინებულ წინაპირობათა არსებობა კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით სარწმუნოდ უნდა იქნეს დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საერთოდ არ შეუფასებია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები - ექსპერტთა დასკვნები და არ დაუსაბუთებია თავისი პოზიცია ამ მტკიცებულებათა უარყოფის შესახებ.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით სარწმუნოდ უნდა დაადგინოს, მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნეული მიწის მონაკვეთი (ტერიტორია, რომელიც გამოიყენებოდა გზად) ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ა. ბ-ძეს და რომელი მტკიცებულება ადასტურებს ამ ფაქტს;

დადებით შემთხვევაში, რეალურად არსებობს თუ არა მესაკუთრის - ა. ბ-ძის საკუთრების უფლების გზის აუცილებელი დატვირთვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები და უტყუარად გამორიცხულია თუ არა ა. ქ-ძის მიწის ნაკვეთთან სხვა გზით დაკავშირება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-883-1169-09

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 11 ნოემბერს გ. ჩ-შვილმა სარჩელით მიმართა ტყიბულის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სს "ს-ს" მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის მიერ სესხად აღებული თანხის გადახდის დაკისრება.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. ჩ-შვილის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სს „ს-ს“ დაეკისრა სესხად აღებული თანხის - 57 615 ლარის გადახდა, ასევე, იურიდიული მომსახურების -458 ლარისა და სასამართლო ხარჯების -1686 ლარის გადახდა, ხოლო მოპასუხე სს „ს-სათვის“ ფულადი ვალდებულებების - 40220 ლარის დაკისრების ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა უსაფუძვლოების გამო.

სასამართლომ საქმეზე დადგინებულად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. ჩ-შვილმა 2005 წლის იანვრიდან 2006 წლის ბოლომდე ზეპირი ხელშეკრულებით უვადო, უპროცენტო სესხის სახით გადასცა მოპასუხეს 57 615 ლარი და აღნიშნული თანხის დაბრუნება მოითხოვა 2008 წლის 22 იანვარს, მაგრამ მოპასუხე სს „ს-ს“ თანხა არ დააბრუნა.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 626-ე მუხლების, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლებისა და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ან-გარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მითითებით დადგინ-ლად ჩათვალა, რომ სს „ს-ს“ აქციონერმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჩ-შვილ-მა 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისამდე ზეპირი ხელშეკრულებით -უპროცენტო სესხის სა-ხით მოპასუხეს (სს „ს-ს“) გადასცა 38000 ლარი, ხოლო 2006 წლის 30 იანვრიდან 2007 წლის იანვრამდე -18815 ლარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოპასუხე სს „ს-ს“ დირექ-ტორმა მ. კ-ძემ, ასევე მოსარჩელე გ. ჩ-შვილმა.

სს „ს-ს“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ტყიბულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტი-ლების გაუქმება გ. ჩ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოსარჩელე გ. ჩ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გა-დაწყვეტილებით სს „ს-ს“ დირექტორ მ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-და, გ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასა-მართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სს „ს-ს“ გ. ჩ-შვი-ლის სასარგებლოდ დაეკისრა სესხად აღებული თანხა -57615 ლარი, ასევე, იურიდიული მომსა-ხურების თანხა -458 ლარი, სასამართლო ხარჯი -1686 ლარი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჩ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -სს „ს-ს“ გ. ჩ-შვი-ლის სასარგებლოდ დაეკისრა სესხად აღებული თანხა -18815 ლარი, შესაბამისად, მის მიერ გა-დახდილი სახელმწიფო ბაჟის 4%, ანუ 752 ლარი და 60 თეთრი და ადვოკატის მომსახურების თანხა -752 ლარი და 60 თეთრი.

პალატა დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სს „ს-ს“ აქციონერმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჩ-შვილმა 2005 წლის იან-ვრიდან 2005 წლის მაისამდე ზეპირი ხელშეკრულებით უპროცენტო სესხის სახით მოპასუხე სს „ს-ს“ გადასცა 38000 ლარი, ხოლო 2006 წლის 30 იანვრიდან 2007 წლის 28 იანვრამდე -18815 ლარი.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო პალატამ დადგინებულად მიიჩნია მოსარჩელე გ. ჩ-შვილის მიერ სასამართლოში წარდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერებით, რომელიც მოპა-სუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

საქმეში არსებული შპს „ა. ს-ის“ მიერ 2007 წლის 13 ივნისის გაცემული ცნობის თანახმად, 2005 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გ. ჩ-შვილს სს „ს-სგან“ ეკუთვნოდა 40200 ლარი, თუმცა აღნიშნული ცნობით არ დასტურდება, თუ რომელი მტკიცებულებების საფუძველზე მივიდა შპს „ა. ს-ი“ აღნიშნულ დასკვნამდე. თვით მოსარჩელის ახსნა-განმარტებით გაირკვა, რომ საწარ-მოში აღნიშნულ თანხაზე არ არსებობდა სალაროს შემოსავლის ორდერები ან სხვა სახის წერილო-ბითი მტკიცებულებები.

მოსარჩელე გ. ჩ-შვილს ეკისრებოდა ვალდებულება ისეთი გარემოების დადასტურებისა, როგო-რიც იყო თანხების მოპასუხისათვის გადაცემა, ანუ მას უნდა წარმოედგინა თანხების შემოსავლის ორდერები 40220 ლარის სს „ს-სათვის“ მიცემის ფაქტის დასადასტურებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ა. ს-ის“ მიერ 2007 წლის 13 ივნისის გაცემული ცნობა, რომელიც არ შეიცავს არანაირ კონკრეტულ მტკიცებულე-ბაზე მითითებას სს „ს-სათვის“ გ. ჩ-შვილის მიერ 40200 ლარის სესხების თაობაზე, არ შეიძლე-ბა განხილულიყო როგორც უტყუარი მტკიცებულება. შესაბამისად, ამ ნაწილში პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობა-ზე.

რაც შეეხება დარჩენილი თანხის -57615 ლარის მოპასუხეზე მთლიანად დაკისრებას, ამ ნაწილში სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გამოთქმული მოსაზრება, კერძოდ, ის, რომ ხელშეკრულება ითვლებოდა უვადოდ დადებულიად, რადგანაც მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული წერილობითი ფორმით, რომელიც დაადასტურებდა იყო თუ არა იგი ვადიანი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე გ. ჩ-შვილი მიუთითებდა სესხის ხელშეკრულების უვადოდ დადებაზე, ხოლო მისი მოწინააღმდეგე მხარე -სს „ს-ი“ იმთავითვე უარყოფდა უვადო ხელშეკრულების არსებობის ფაქტს და მიუთითებდა, რომ ხელშეკრულება იყო ვადიანი, კერძოდ, ის ზეპირად იდებოდა 10 დღის ან ერთი თვის ვადით და ვინაიდან სადავო პერიოდში საწარმოს ჰქონდა მნიშვნელოვანი ფინანსური ბრუნვები, ხდებოდა თანხის უკან დაბრუნება, რაც დასტურდება თანხის გასავლის ორდერებით, რაზედაც ხელს არ აწერდა გ. ჩ-შვილი, რომელიც სარგებლობდა საწარმოში თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით. სს „ს-ის“ წარმომადგენელი ასევე მიუთითებდა შემდეგზე: გარდა იმისა, რომ გ. ჩ-შვილს საწარმოსათვის ნასესხები თანხა დაბრუნებული ჰქონდა, მისი მოთხოვნა 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით საწარმოსთვის მისესხებულ 38000 ლარის მოთხოვნის ნაწილში არის ხანდაზმულიც, რადგანაც სარჩელი სასამართლოში მხარემ წარადგინა 2008 წლის 11 ნოემბერს, ანუ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე გ. ჩ-შვილი მოპასუხე სს „ს-ს-გან“ მოითხოვდა თანხის დაკისრებას იმ საფუძველით, რომ მან უვადო ხელშეკრულების საფუძველზე, სესხად გადასცა თანხა და ითხოვს მის დაბრუნებას, მაგრამ მოპასუხე არ აბრუნებს თანხას. პალატამ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა როგორც სესხის (57615 ლარის) მიცემის ფაქტი, რასაც მოპასუხე სადავოდ არ ხდოდა, ასევე, სესხის დაბრუნების ვადის დადგომის ფაქტი, ანუ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სესხის ხელშეკრულება ვადიანი იყო თუ უვადო, ხოლო მოპასუხე მხარეს კი ეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ მან დაუბრუნა ვალი მოსარჩელეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ გ. ჩ-შვილმა ვერ დაამტკიცა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სესხის ხელშეკრულება იყო უვადო და რომ მას 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით საწარმოზე მიცემული სესხის -38000 ლარის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში არ გაუშვია ხანდაზმულობის ვადა.

პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან გ. ჩ-შვილის მიერ საწარმოსათვის სესხი -38000 ლარი 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისამდე მიცემული იყო ეტაპობრივად, შესაბამისად მისი გასტუმრებაც უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, მართალია, არ გაიზიარა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ გ. ჩ-შვილმა საწარმოსაგან დაიბრუნა აღნიშნული თანხა (მას თანხის გასავლის ორდერებზე ხელი არა აქვს მოწერილი (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) თუმცა ჩათვალა, რომ მან გაუშვა სესხად გაცემული 38000 ლარის დაბრუნების მოთხოვნის დრო (სარჩელი შეტანილია 2008 წლის 11 ნოემბერს, სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ), რაც წარმოადგენდა ამ ნაწილში სარჩელზე უარის თქმის საფუძველს.

დანარჩენი თანხის, ანუ 2006 წლის 31 იანვრიდან 2007 წლის 28 ივნისამდე გ. ჩ-შვილის მიერ საწარმოზე მისესხებული თანხის -18815 ლარის მოთხოვნის ნაწილში, პალატამ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ სს „ს-ის“ დირექტორის მ. კ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ხოლო გ. ჩ-შვილს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უთხრა უარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

სს „ს-მა“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაეკისრა თანხა და აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა და არასწორად განმარტა იგი. მასთან, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მტკიცებულებებს და ფაქტობრივ გარემოებებს, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

რაც შეეხება კასატორ გ. ჩ-შვილს, საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სს „ს-ის“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში, ასევე, მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა და არასწორად განმარტა იგი. გადაწყვეტილება არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგობაში მოდის საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთან, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სრულად და ობიექტურად არ განიხილა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, რითაც დაარღვია საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ წესები მტკიცებულებათა შეფასების შესახებ;

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საერთოდ არ იმსჯელა იმის თაობაზე, თუ რომელი მომენტიდან დაიწყო ხანდაზმულობის ვადის დენა სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე კონკრეტულ შემთხვევაში.

ამასთან, კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ თავის გადაწყვეტილებაში საერთოდ ღიად დატოვა სამართლებრივი საკითხი მასზედ, დამოკიდებული იყო თუ არა მოთხოვნის წარმოშობა კრედიტორის მოქმედებაზე, ანუ ეკისრებოდა თუ არა გ. ჩ-შვილს, როგორც კრედიტორს, რაიმე მოქმედების შესრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და თვლის, რომ სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ გ. ჩ-შვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, არ შეაფასა მტკიცებულებები სრულად და ობიექტურად, არ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რის შედეგადაც საქმეზე მიიღო არასწორი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობა ან არარსებობა. სასამართლომ გ. ჩ-შვილის მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად, მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევისათვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტის დადგენას, რაც ხანდაზმულობის შესახებ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით არის გათვალისწინებული, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგინილად ცნო, რომ საწარმოზე სესხი გაცემული იყო ეტაპობრივად 2005 წლის იანვრიდან 2005 წლის მაისამდე, სარჩელი კი გ. ჩ-შვილმა აღძრა 2008 წლის 11 ნოემბერს. სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია გ. ჩ-შვილის მოთხოვნა ხანდაზმულად, რომ არ დაადგინა მოთხოვნის წარმოშობის მომენტი თითოეულ სესხზე.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ სესხის ხელშეკრულებები დადებული იყო უვადოდ. ამასთან, არ დაადგინა ცალკეული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რაც ასევე საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტს წარმოადგენს.

სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა მოპასუხის მიერ წარმოდგენილ გასავლის ორდერებს. მართალია, აღნიშნული გასავლის ორდერები არ ადასტურებს მოსარჩელის მიერ თანხის მიღების ფაქტს, მაგრამ ეს ორდერები წარმოადგენს მოპასუხის მიერ ორდერებით გათვალისწინებული ოდენობით ვალის არსებობის აღიარებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რის გამოც გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებათა შეფასებით და შეჯერების შედეგად უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

რაც შეეხება სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარს, იგი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. კასატორი შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი მითითებით, მაგრამ არ ასაბუთებს რაში გამოიხატა აღნიშნული დარღვევები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ მომხდარა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი

ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც გამოიწვია ფაქტობრივი გარემოების არასწორი შეფასება.

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 2006 წლის 31 იანვრიდან 2007 წლის 28 ივნისამდე გ. ჩ-შვილმა საწარმოს ასესხა 18 815 ლარი. რაც არ დაუბრუნებია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების მიმართ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კასატორი ვერ მიუთითებს საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც არ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ და რომლითაც დადასტურდებოდა სესხის დაბრუნება. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სს „ს-ის“ მიერ გასაჩივრებულ ნაწილში სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

- სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება გ. ჩ-შვილის მიერ გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-927-1210-09

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: მიწოდებული წყლის ღირებულების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისთვის სასარგებლოდ მოპასუხისათვის მიწოდებული წყლის საფასურის -ძირითადი თანხის -13745 ლარისა და სადავო თანხიდან ეროვნული ბანკის მიერ ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე შესაბამისი პერიოდისათვის დადგენილი პროცენტის დაკისრება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 15533.36 ლარის გადახდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის იალღუჯის გაწყლოვანების სამმართველომ ზეპირი ხელ-

შეკრულების საფუძველზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრ „კ-სს“ მიაწოდა 17400 მ³ წყალი; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრმა მიიღო აღნიშნული მიწოდება.

მიწოდებული წყლის ღირებულებამ შეადგინა 13745 ლარი. კანონით განსაზღვრული პროცენტის თანხამ შეადგინა 1788 ლარი და 36 თეთრი.

მოპასუხეს მიწოდებული წყლის საფასური არ გადაუხდია.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 11 აგვისტოს #151 დადგენილების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ განსახილველი საქმე სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარებოდა. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის სტრუქტურული უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამართლებრივ დავას იმ სახელმწიფო დაწესებულებებს შორის, რომლებიც მმართველობის სფეროში შედის, წყვეტენ დაინტერესებული მინისტრები. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აღმრული სარჩელის დავის საგანს არ წარმოადგენდა სამინისტროების უფლებამოსილების ან საქმიანობის თაობაზე სამართლებრივი ურთიერთობა. სასამართლოს მოთხოვნა გამომდინარეობდა სახელმწიფო-ვალდებულებითი ურთიერთობიდან, განხილვაც უწყებრივად ექვემდებარებოდა სასამართლოს.

სასამართლო კოლეგიამ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს, ვინაიდან არ იყო დამთავრებული აღნიშნული დეპარტამენტის ლიკვიდაციის პროცესი, რის გამოც სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი, აღედრა სარჩელი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ დაწესებულებას და მხოლოდ სამინისტროს ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა (მათ შორის სარჩელის აღძვრის უფლება) გამგებლობაში არსებულ საქვეუწყებო დაწესებულებებთან მიმართებით. სასამართლომ აქვე მითითა, რომ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 11 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტი.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის #1 რეგიონალური ბაზის მარნეულის სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 აპრილის წერილის საფუძველზე, სასამართლო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრმა „კრწანისმა“ სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის, იაღლუჯის გაწყლოვანების სამმართველოდან 2007 წლის იანვარში მიიღო 10680 კუბ.მ წყალი, ხოლო 2007 წლის თებერვალში -6720 კუბ.მ წყალი, საერთო ღირებულებით 13745 ლარი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის #1 რეგიონალური მარნეულის სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 აპრილის წერილის შეფასების შედეგად პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა სახელმწიფო-ვალდებულებითი ურთიერთობა. მოსარჩელის მხრიდან განხორციელდა შესრულება (წყლის მიწოდება), რაც მიღებულია მოპასუხე მხარის მიერ. სასამართლოს მოსაზრებით, ორივე მხარემ ნება გამოავლინა - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გააკეთა შეთავაზება (ოფერტი, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ -გამოხატა თანხმობა (აქცეპტი).

სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის რეგიონალური ბაზის მარნეულის სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 აპრილის წერილი არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარების დამადასტურებელ მტკიცებულებას, მაგრამ აღნიშნული წერილი წარმოადგენდა მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდებოდა როგორც მოპასუხისგან, ისე მოსარჩელისგან მიწოდებული წყლის მიღების ფაქტი, ასევე, დავალიანების ოდენობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეესრულებინა მიწოდებული წყლის საფასურის გადახდის ვალდებულება. ამდენად, სასამართლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის #1 რეგიონალური ბაზის მარნეულის

სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 აპრილის წერილის საფუძველზე, დადგინდად მიიჩნია, რომ მოპასუხის დავალიანება შეადგენდა 13745 ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საფუძველიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტის დაკისრების თაობაზე და სარჩელი დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ #1 რეგიონალური ბაზის მარნეულის სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 აპრილის წერილის შეფასების შედეგად სასამართლომ არასწორად დაადგინა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა; კერძოდ, აღნიშნული წერილი არ იყო შედგენილი იმ პირის მიერ, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სახელით უფლებამოსილი იყო, დაედასტურებინა მხარეთა შორის წყლის მიწოდების თაობაზე სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა; ამასთან, მხარეთა შორის წყლის მიწოდების თაობაზე ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობისა და მოსარჩელის მხრიდან მისი შესრულების დამადასტურებელი სხვა მტკიცება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა;

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის წყლის მიწოდების თაობაზე ზეპირი ხელშეკრულების არსებობა მისი დადასტურების შემთხვევაში ვერ იქნებოდა სამართლებრივი შედეგების მომტანი, რადგან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სადავო ტიპის ხელშეკრულებას მხოლოდ წერილობითი ფორმა უნდა ჰქონოდა;

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან მოსარჩელე მხარემ ვერ დასძლია მასზე სსკ-ის 102-ე მუხლით დაკისრებული მტკიცების ტვირთი იმდენად, რამდენადაც სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით ვერ დაადასტურა მხარეთა შორის წყლის მიწოდების თაობაზე ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა, სარჩელი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სრულად და ობიექტურად არ განიხილა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, კერძოდ, #1 რეგიონალური ბაზის მარნეულის სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 აპრილის წერილი, რის გამოც სასამართლოს მსჯელობა ეწინააღმდეგება საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ წესებს მტკიცებულებათა შეფასების შესახებ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს კანონი, ვინაიდან აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მე-3¹ „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე.

კასატორის აზრით სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ #1 რეგიონალური ბაზის მარნეულის სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 აპრილის წერილით არ შეიძლება დადგინდეს მხარეთა შორის სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა, ვინაიდან აღნიშნული წერილი არ იყო შედგენილი იმ პირის მიერ, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სახელით უფლებამოსილი იყო, დაედასტურებინა მხარეთა შორის წყლის მიწოდების თაობაზე სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა. სააპელაციო სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ მხარეთა შორის წყლის მიწო-

დების თაობაზე ზეპირი ხელშეკრულების არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც ვერ იქნებოდა სამართლებრივი შედეგების მომტანი, რადგან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სადავო ტიპის ხელშეკრულებას მხოლოდ წერილობითი ფორმა უნდა ჰქონოდა;

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება ვერ გახდება სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან მოცემული საქმის დავის საგანია მიწოდებული წყლის ღირებულების ანაზღაურება და ის გარემოება, რომ მხარეთა შორის არ დადებულია წერილობითი ხელშეკრულება არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა მოპასუხისათვის წყლის მიწოდება. თუ პირმა ხელშეკრულების გარეშე მიიღო რაიმე ნივთი, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის საფუძველზე გადაცემული ნივთი უკან დაბრუნებას ექვემდებარება. სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის რეგიონალური ბაზის მარნეულის სამსახურის უფროსის 2007 წლის 5 აპრილის წერილს. ეს წერილი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება მოსარჩელისგან მიწოდებული წყლის მიღების ფაქტი. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებათა შეფასებით და შეჯერების შედეგად სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობა ან არსებობა და მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-1047-1315-09

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ვალის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 15 აპრილს სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორმა ბ. კ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების ნ. დ-მისა და გ. გ-მის მიმართ და მოითხოვა ნ. დ-მისათვის 2 173 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ სასარგებლოდ, დაკისრებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი საბანკო დავალიანების დაფარვის მიზნით გ. გ-მის საკუთრებაში რიცხული, იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლის -ქ. ბათუმში, ... ქ. #5, ბინა #21-ის აუქციონის წესით რეალიზაცია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა", მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორ ბ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმეში წარმოდგენილი საკრედიტო ხელშეკრულებისა და სხვა მასალების საფუძველზე, სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ნ. დ-ძესა და სს "საქართველოს საზღვაო ბანკს" შორის 2003 წლის 18 ივნისის გაფორმდა #737 საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხემ ბანკიდან გაიტანა 4000 აშშ დოლარი კრედიტის თანხა 30 თვის ვადით, თვეში 2,2%-ის დარიცხვით. ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელი ვალდებული იყო, უზრუნველყო კრედიტისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დროული და სრული დაფარვა ამავე ხელშეკრულებაში მითითებული გრაფიკის მიხედვით. აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად 2003 წლის 18 ივნისის #373-ა ხელშეკრულებით დაგირავებულ იქნა ნ. დ-ძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება;

2005 წელს მოსარჩელე სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" მოთხოვნით სარჩელი იქნა აღძრული სასამართლოში მოპასუხეების -ნ. დ-ძისა და გ. გ-ძის მიმართ, სადაც იგი მოითხოვდა მოპასუხეებზე 2173 აშშ დოლარის დაკისრებას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 12 აგვისტოს განჩინებით, სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" სარჩელი დარჩა განუხილველად მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, რის შემდეგაც იმავე წლის 18 აგვისტოს სს "საქართველოს საზღვაო ბანკსა" და ნ. დ-ძეს შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის თანახმადაც, ნ. დ-ძემ აიღო ვალდებულება, მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით 2005 წლის 27 დეკემბრამდე დაეფარა 2003 წლის 18 ივნისის #373 საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის მიმართ არსებული დავალიანება -2173 აშშ დოლარი;

საქმის მასალებით დადგინდად იქნა მიჩნეული, რომ მორიგების აქტით შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, ნ. დ-ძე გარკვეული ვადის განმავლობაში იხდიდა თანხებს, ხოლო შემდგომში შეწყვიტა გადახდა და გადასახდელი დარჩა ძირითადი თანხა -1623 აშშ დოლარი;

2008 წლის 28 თებერვალს სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა" სასამართლოში შეიტანა განცხადება გადახდის ბრძანების მიღების თაობაზე, რომლითაც ბანკმა, 2003 წლის 18 ივნისის #373 საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოითხოვა ნ. დ-ძისათვის სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის -1098 აშშ დოლარის დაკისრება, რაც ამავე სასამართლოს 2008 წლის 7 მარტის #2-190 ბრძანებით დაკმაყოფილდა და შევიდა კანონიერ ძალაში. ხოლო იმ დავალიანების დაკისრების მოთხოვნით, რომელიც ნ. დ-ძეს დარჩენილი ჰქონდა გადასახდელად 2005 წლის 18 აგვისტოს მორიგების აქტის საფუძველზე, სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა" სასამართლოს სარჩელით მიმართა მხოლოდ 2009 წლის 15 აპრილს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მტკიცება მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან ნ. დ-ძის მიერ სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა მორიგების აქტით ვალდებულებების შესასრულებლად დათქმული ვადის გასვლიდან სამი წლის შემდეგ. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელისათვის თავისი უფლების დარღვევის შესახებ ცნობილი იყო იმ დღიდან, როცა დამთავრდა ხელშეკრულების შესრულების ვადა, ანუ 2005 წლის 27 დეკემბრიდან, ხოლო სარჩელი კი მხოლოდ 2009 წლის 15 აპრილს წარადგინა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან ბანკმა 2008 წლის 28 თებერვალს განცხადებით მიმართა სასამართლოს გადახდის ბრძანების მიღების თაობაზე, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დინება ძირითად დავალიანებასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ 2008 წლის 28 თებერვლის განცხადება გადახდის ბრძანების შესახებ ეხებოდა 2003 წლის 18 ივნისის #737 საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას პროცენტის გადახდევის შესახებ, ძირითად დავალიანებაზე კი მხარეებს შორის 2005 წლის 18 აგვისტოს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულებულიყო იმავე წლის 27 დეკემბრამდე, შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, განსახილველი სარჩელი ეხებოდა ახალი ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულებას და, შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლით დადგენილი წესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი ნ. დ-ძესა და გ. გ-ძი-სათვის 1623 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე ხანდაზმულად მიიჩნია და სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაა-საჩივრა სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორმა ბ. კ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, გაუგებარია, თუ რატომ არ ჩათვალა სასამართლომ მოპასუხის აღი-რება 1098 აშშ დოლარის ნაწილში საკმარის მტკიცებულებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის შესაბამისად და რატომ არ დააკმაყოფილა სარჩელი;

ამასთან, კასატორის მოსაზრებით, სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში არაფერს ამბობს ხან-დაზმულობის ვადის შეწყვეტაზე სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე მითითებით;

კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მოთ-ხოვნაზე, რომლითაც იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას ითხოვდა 2008 წლის 7 მარტის გადახდის ბრძანებით დაკისრებული თანხისა და ამჟამად დასაკისრებელი თანხის გადასახდელად.

ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-უქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწი-ლობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმა-ყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევას არ მომხდარა და სააპელა-ციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასა-ციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც გამოიწვია ფაქტობრივი გარე-მოებების არასწორი შეფასება.

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 2005 წლის 18 აგვისტოს სს "საქართვე-ლოს საზღვაო ბანკსა" და ნ. დ-ძეს შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის თანახმადაც, ნ. დ-ძემ აიღო ვალდებულება, მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, 2005 წლის 27 დეკემბრამდე დაეფარა ბანკის მიმართ არსებული დავალიანება -2173 აშშ დოლარი; მორიგების აქ-ტით შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, ნ. დ-ძე გარკვეული ვადის განმავლობაში იხდიდა თანხას, ხოლო შემდგომში შეწყვიტა გადახდა და გადასახდელი დარჩა ძირითადი თანხა -1623 აშშ დოლარი; სს "საქართველოს საზღვაო ბანკმა" სასამართლოს სარჩელით მიმართა მხოლოდ 2009 წლის 15 აპრილს, ანუ მორიგების აქტით ვალდებულების შესასრულებლად დათქმული ვა-დის გასვლიდან სამი წლის შემდეგ. ამდენად, დადგენილია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზ-მულია.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიმართ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაშ-ვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კასატორი ვერ მიუთითებს საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც არ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ და, რომელიც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

კასატორის მტკიცება იმის შესახებ, რომ სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში არაფერს ამბობს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტაზე, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან სააპელაციო პალატამ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა და არ გაიზიარა აპელანტის შემდეგი მტკიცება: ბანკმა 2008 წლის 28 თებერვალს განცხადებით მიმართა სასამართლოს გადახდის ბრძანების მიღების თაობაზე, შესა-ბამისად, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დინება ძირითად დავალიანებასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ 2008 წლის 28 თებერვლის განცხადება გადახდის ბრძანების შესახებ ეხებოდა 2003 წლის 18 ივნისის #737 საკ-რედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას პროცენტის გადახდევინების შესახებ, ძირითად დავალიანებაზე კი მხარეებს შორის 2005 წლის 18 აგვისტოს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულებულიყო იმავე წლის 27 დეკემბრამდე, შესაბა-მისად, სასამართლოს განმარტებით, განსახილველი სარჩელი ეხებოდა ახალი ხელშეკრულებით

აღებული ვალდებულების შესრულებას და მასზე ვერ გავრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მითითებული ნორმის საფუძველზე მართებულად უთხრა უარი მოსარჩელეს თანხის დაკისრების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება 2008 წლის 7 მარტის გადახდის ბრძანებით დაკისრებული თანხის გადასახდელად იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შესახებ კასატორის მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ ნაწილში წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმჯჯელია აღნიშნულ მოთხოვნაზე. გასაჩივრებული განჩინებით არ დგინდება, თუ რომელი ფაქტები ჩათვალა სასამართლომ დადგენილად და რომელი ფაქტები შეაფასა სამართლებრივად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას, რის გამოც ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მოსარჩელის აღნიშნულ მოთხოვნაზე უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინება 2008 წლის 7 მარტის გადახდის ბრძანებით დაკისრებული თანხის გადასახდელად იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება, შეგროვება

განჩინება

#ას-1107-1371-09

18 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეშლის აღკვეთა, თანასაკუთრებაში არსებული ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 1 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ა. კ-ძემ, დ. უ-ძემ, დ. ჩ-შვილმა და თ. ლ-ძემ მოპასუხე ზ. ფ-ძის მიმართ. მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენდა თბილისში, ... ქუჩის #100-ში, თანასაკუთრებაში არსებული ეზოთი სარგებლობის უფლების ხელშეშლის აღკვეთა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 1989 წლის 6 ივლისს თბილისში, ... ქუჩის #100-ში მცხოვრებმა პირებმა, კერძოდ: შ. ა.ს ძე კ-ძემ, ვ. ვ.-ს ძე უ-ძემ, გ. გი.-ს ძე მ-იამ, გუ. აკ.-ის ასულმა ფ-აიამ, ნ. ვლ.-ის ასულმა ჩ-უამ, ო. ი.-ს ასულმა ხ-შვილმა, დ. ივ.-ს ძე ჩ-შვილმა, თ. ივ.ს ასულმა ფ-ძემ და ზ. ნ.-ს ძე ფ-ძემ დადეს ამ სახლთმფლობელობის საკუთრებისა და სარგებლობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი პირებიდან

თითოეულს ეკუთვნის სახლთმფლობელობის განსაზღვრული წილი. შ. ა.ს ძე კ-ძისა და ვ. ვ.-ს ძე უ-ძის გარდაცვალების გამო სახლთმფლობელობაში მათი კუთვნილი წილების მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ მემკვიდრეები, შვილები -ა. კ-ძე და დ. უ-ძე. გარდა ამისა, მოზინადრე ო. ლ-ძესთან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა მოსარჩელე თ. ლ-ძემ.

მოსარჩელეთა მითითებით, საკადასტრო რუკის მიხედვით ... ქუჩის #100-ში მცხოვრები მოზინადრეების, მათ შორის, მოსარჩელების კუთვნილი მიწის ფართის ოდენობა შეადგენს 637კვ.მ-ს. მოზინადრეებს ეს ფართი ეკუთვნოდათ საკუთრების უფლებით, თითოეული მათგანი თანაბრად იხდიდა მიწის გადასახადს. მოპასუხეს ბინა გაქირავებული ჰქონდა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც სარგებლობდა მთელი ეზოს ფართით, ხოლო დანარჩენ მოზინადრეებს საერთო საკუთრების ეზოთი სარგებლობის უფლება შეზღუდული ჰქონდათ.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სარჩელში დასახელებულია სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას მოსარჩელეთა მითითებით, აღნიშნული თვალსაზრისით მათი უფლებები მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 მაისის საოქმო განჩინებით მოსარჩელე ა. კ-ძის გარდაცვალების გამო საქმეში მის უფლებამონაცვლედ ჩაება ნ. კ-ძე.

მოგვიანებით, მოსარჩელებმა სარჩელი დააზუსტეს და მოითხოვეს: ა) მოპასუხის მხრიდან საერთო ეზოთი სარგებლობის უფლების ხელშეშლის აღკვეთა; ბ) მოპასუხისათვის მის მიერ უკანონოდ უკანონოდ აშენებული გალავნის (კედლის) და რკინის კარის დემონტაჟის დავალება; გ) საერთო სარგებლობის ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის საოქმო განჩინებით ე. კ-ძე აღნიშნულ საქმეში ჩაება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ჩ-შვილის, დ. უ-ძის, თ. ლ-ძის, ნ. კ-ძისა და ე. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა: ზ. ფ-ძეს დაევალა თბილისში, ... ქუჩის #100-ში მდებარე საერთო ეზოთი სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა, უკანონოდ აშენებული გალავნის (კედლის) და რკინის კარის საკუთარი ხარჯებით დემონტაჟი და საერთო სარგებლობის ეზოს პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ თბილისში, ... ქუჩის #100-ში განთავსებული მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართით (637კვ.მ) წარმოადგენს მოსარჩელების თანასაკუთრებას; ზ. ფ-ძის კუთვნილი გალავანი (კედელი) და რკინის კარი განთავსებულია ... ქუჩის #100-ში მცხოვრები მოსარჩელების თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე; სადავო გალავანი და მასზე დაკიდებული რკინის კარი არის ზ. ფ-ძის საკუთრება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამავე კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 955-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა; თითოეულ მეწილეს შეუძლია ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მეწილეთა სარგებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს, როგორც საზიარო საგნის მეწილეებს, ზ. ფ-ძის კუთვნილი გალავანი (კედელი) და რკინის კარი ხელს უშლიდათ საზიარო საგნით -მიწის ნაკვეთით სარგებლობაში.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოპასუხე ზ. ფ-ძემ ვერ განახორციელა სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, სასამართლოს გარდა მის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებისა ვერ წარუდგინა ვერც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა გალავნის და კარის მოწყობის მართლობიერებას და კანონიერებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზ. ფ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით დ. უ-ძის, დ. ჩ-შვილის, თ. ლ-ძის, ნ. კ-ძისა და ე. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელები და მოპასუხე წარმოადგენენ თბილისში, ... ქუჩის #100-ში განთავსებული მიწის ნაკვეთის (დაზუსტებული ფართობით - 637კვ.მ) მესაკუთრეებს. ის გარემოება, რომ ზ. ფ-ძე წარმოადგენს ამავე უძრავი ქონების თანამესაკუთრეს, თავად მოსარჩელეთა მიერაა აღიარებული და მხარეთა შორის სადავო არ არის;

ზ. ფ-ძის მიერ ქვის გალავნით (ღობით) გადატიხრულია საერთო ეზო და სადავო ეზოში ... ქუჩის მხრიდან გაკეთებულია რკინის კარი;

მხარეთა ახსნა-განმარტებებით, ასევე, საქმეში არსებული საკადასტრო რუკით დგინდება, რომ ზ. ფ-ძის სახლთმფლობელობა და მის მიერ გადატიხრული ეზო მდებარეობს თბილისში, ქუჩის მხარეს;

მოსარჩელეთა მიერ სადავოდ გამხდარი ღობე დაფიქსირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორის 1987 წლის 5 მაისის გენგეგმაზე (აღნიშნული გარემოება სასამართლომ დაადგინა მითითებულ გენგეგმასთან დაკავშირებით სპეციალისტის განმარტების შედეგად). იგივე სპეციალისტის განმარტებითა და საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ სადავო რკინის კარი დაფიქსირებული არ იყო ... #100-ში არსებული სახლთმფლობელობის საადრიცხვო ბარათში).

მოსარჩელე დ. უ-ძის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინილად მიიჩნია, რომ ზ. ფ-ძის მიერ რკინის კარი გაკეთდა 1999 წელს. საქმეზე დგინდებოდა, რომ მოსარჩელებს 2006 წლამდე არ უდავიათ ქვის ღობისა და რკინის კარის მოშლის თაობაზე. ამასთან, რკინის კარი არ წარმოადგენდა მოსარჩელეთათვის თავიანთ ინდივიდუალურ ბინებში შეღწევის საშუალებას და მისი მეშვეობით ისინი ხვდებოდნენ საერთო სარგებლობის ეზოში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 958-ე მუხლზე და განმარტა, რომ საზიარო საგნის მეწილეებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ განსაზღვრონ საზიარო საგნის სარგებლობის წესი, რომელიც სავალდებულოა როგორც მათთვის, ისე - მათი უფლებამონაცვლებისთვის.

მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება ქონების ნაწილის - ეზოთი სარგებლობის წესზე, რითაც განხორციელდა აღნიშნული ეზოს საერთო საკუთრებაში არსებული სხვა დანარჩენი უძრავი ქონებიდან, მიწიდან გამოიჯვნა და ზ. ფ-ძე ფლობდა ამ სახით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მიმართული იყო საერთო საკუთრებაში არსებული მიწით სარგებლობის უკვე დადგენილი წესის მოშლისკენ, თუმცა, ვინაიდან საზიარო საგნის სარგებლობა მოწესრიგებული იყო მხარეთა შეთანხმებით, სამოქალაქო კოდექსის 957.2 მუხლის თანახმად აღარ არსებობდა სარგებლობის დადგენილი წესის გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. ჩ-შვილმა, თ. ლ-ძემ, ნ. კ-ძემ და ე. კ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორების მოსაზრებით, სასამართლომ არასათანადო მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, რომ მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება საერთო ეზოს გამოყენების იმგვარ წესზე, რომლითაც ზ. ფ-ძე სარგებლობს. აღნიშნული დასკვნის დამასაბუთებელ ერთ-ერთ არგუმენტად სასამართლო მიუთითებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის საპროექტო კანტორის 1987 წლის 5 მაისის გენგეგმაზე, რომელზეც დაფიქსირებულია სადავოდ გამხდარი ღობე. ეს მტკიცებულება სასამართლომ მოიპოვა უკანონოდ, საკუთარი ინიციატივით, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე, რითაც დაარღვია სამოქალაქო კოდექსის მე-4, 102-ე, 103-ე, 377-ე და 380-ე მუხლები. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას აბათილებს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები. ასეც რომ არ იყოს, საერთო ეზოს შესახებ მოსარჩელებს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველი ვერ იქნება გენგეგმა, ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულება ან მხარეთა ზეპირი დადასტურება, რაც არ არსებობს.

კასატორები არასწორად მიიჩნევენ სადავო საკითხის 1995 წლის სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებას, რამდენადაც საქმე შეეხება 1987 წელს არსებულ ურთიერთობებს.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ დ. უ-ძის განცხადებით ზ. ფ-ძემ რკინის კარი გააკეთა 1999 წელს, რაც, კასატორთა მოსაზრებით, არასწორია. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ რკინის კარი არ წარ-

მოადგენს მოსარჩელეთა ინდივიდუალურ ბინებში შეღწევის საშუალებას, არამედ არის საერთო ეზოში მოხვედრის საშუალება, კასატორთა აზრით, აღნიშნული სწორედ მათი პრეტენზიის დასაბუთებულობაზე მეტყველებს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით აგრეთვე გაასაჩივრა დ. უ-მემ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლის გამო, დატოვებულ იქნა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო საქმეზე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

მოსარჩელები და მოპასუხე წარმოადგენენ თბილისში, ... ქუჩის #100-ში განთავსებული 637კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს.

მოპასუხე ზ. ფ-მის მიერ ქვის გალავნით (ღობით) გადატიხრულია საერთო ეზო და ... ქუჩის მხრიდან გაკეთებულია რკინის კარი, რის შედეგადაც ეზოს ამ ნაწილით დანარჩენი თანამესაკუთრენი ვერ სარგებლობენ.

სადავო ღობე დაფიქსირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორის 1987 წლის 5 მაისის გენგეგმაზე;

რკინის კარი ზ. ფ-მემ გააკეთა 1999 წელს. იგი არ წარმოადგენს მოსარჩელეთათვის თავიანთ ინდივიდუალურ ბინებში შეღწევის საშუალებას, მისი მეშვეობით ისინი ხვდებიან საერთო სარგებლობის ეზოში.

მოსარჩელებს 2006 წლამდე არ უდავიათ ქვის ღობისა და რკინის კარის მოშლის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მხარეთა შორის ეზოთი სარგებლობის წესის განსაზღვრას ადასტურებენ. თავად მოსარჩელები სადავოდ ხდიან ეზოს თანამესაკუთრეთა შორის ეზოთი სარგებლობის წესზე შეთანხმების არსებობას.

ძირითადი მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მხარეთა შეთანხმების არსებობა ზ. ფ-მის მიერ ეზოს ნაწილით დამოუკიდებლად სარგებლობის თაობაზე, არის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორის 1987 წლის 5 მაისის გენგეგმა, რომელიც მთავარ სხდომაზე სასამართლომ თავად გამოითხოვა. სხდომის ოქმში დაფიქსირებული არ არის აღნიშნული წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ მხარეთა შუამდგომლობა ან რაიმე განცხადება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შეგროვების წესს და სასამართლოს ჩარევის ფარგლებს ამ პროცესში. ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, როგორც წესი, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები, სასამართლოს შეუძლია, შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. აღნიშნულ ნორმას აკონკრეტებს 203-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს, რომ საქმის მომზადების მიზნით მოსამართლეს შეუძლია დაავალოს მხარეებს, შეავსონ მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, წინადადება მისცეს მათ, წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები და დოკუმენტები. რაც შეეხება წერილობითი მტკიცებულების სასამართლოს ინიციატივით გამოთხოვას, სასამართლოს თავისუფლება ამ თვალსაზრისით სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეზღუდულია და 103-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია მხარეთა შუამდგომლობით ისეთ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა. იგივეს ითვალისწინებს 203-ე მუხლი, რომლის თანახმად, საქმის მომზადების მიზნით სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით გამოითხოვოს მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღება თავად მხარეებმა ვერ შეძლეს.

უფრო მეტადაა შეზღუდული საქმეზე წერილობით მტკიცებულებათა შეგროვების თავისუფლება სააპელაციო წარმოებაში. სამოქალაქო კოდექსის 380-ე მუხლი ადგენს სააპელაციო სასამართლოში ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის წესს, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

მოცემულ შემთხვევაში მტკიცებულებების გამოთხოვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია მხარეთა შუამდგომლობის იმ საპატიო გარემოებების არსებობა, რაც სასამართლოს მტკიცე-

ბულებების თავად გამოთხოვის შესაძლებლობას აძლევდა. აქედან გამომდინარე, საქმეზე სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოთხოვისა და შეფასების საპროცესო შესაძლებლობა არ არის დასაბუთებული. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ასეთი შესაძლებლობის არსებობაზე და ეს მტკიცებულებები, ასევე, მოწვეული სპეციალისტის მიერ ამ მტკიცებულებათა ირგვლივ მიცემული ახსნა-განმარტება შეაფასოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი შესაძლებლობა არსებობს.

ამასთანავე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს საპროექტო კანტორის 1987 წლის 5 მაისის გენგემა არ წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებას. აღნიშნული გენგემა დამზადებულია სრულიად სხვა სპეციფიკური საჭიროებისთვის მოქალაქე დ. ჩ-შვილისათვის ავტოსადგომის მოწყობის პროექტის გაცემის მიზნით და მისი სამართლებრივი დანიშნულება არ არის, დაადასტუროს უძრავ ნივთზე არსებული მხარეთა სანივთო თუ ვალდებულებითსამართლებრივი შეთანხმებები. სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარგებლობის წილზე საზიარო საგნის ცალკეული მოწილის უფლების შემცირება არ შეიძლება მისი თანხმობის გარეშე. თანამესაკუთრეთა მიერ მიწის ნაკვეთით სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმება, რომლის შედეგად მცირდება თანამესაკუთრეთა სარგებლობის წილი - ეს არის მათი ერთობლივი გადაწყვეტილება, კონსენსუსი, რის გამოცხატებულ და დამადასტურებელ დოკუმენტსაც 1987 წლის გენგემა არ წარმოადგენს. იგი შეიძლებადა ყოფილიყო მხოლოდ დამხმარე ხასიათის მტკიცებულება ასეთი შეთანხმების დამდგენ ძირითად მტკიცებულებასთან ერთად, მაგრამ არა -ძირითადი. ასევე არ ადასტურებს მხარეთა შეთანხმების არსებობას ზ. ფ-ძის მიერ კარის განთავსების ფაქტი და ის გარემოება, რომ იგი არ წარმოადგენს მოსარჩელეთათვის თავიანთ ინდივიდუალურ ბინებში შედღვევის საშუალებას. აღნიშნულის განხორციელება არ გამოირიცხებოდა მხარეთა კონსენსუსის გარეშე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ თავიდან უნდა დაადგინოს საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ ხელახლა საქმის განხილვისას ასევე უნდა იმსჯელოს, სახლთმფლობელობა, სადაც მხარეები ცხოვრობენ, ჩაითვლება თუ არა მრავალბინიან სახლად და ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს თუ არა მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მარეგულირებელი წესები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-216-205-2010 31 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ქ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. კ-ძის მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თანხის -3020 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი-

სა და 60 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1999 წლის ოქტომბერში მ. ქ-მემ, უძრავი ნივთის შესაძენად მოპასუხეს გადასცა 1400 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 2500 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა მოგვიანებით. თ.კ-მე ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გაემგზავრა რუსეთში, რის გამოც მოსარჩელემ ვერ შესძლო დარჩენილი თანხის მისთვის გადაცემა და უძრავი ნივთის შეძენა. მოსარჩელემ არაერთხელ მოსთხოვა მოპასუხეს გადახდილი 1400 აშშ დოლარის დაბრუნება, თუმცა უშედეგოდ. მოგვიანებით მ.ქ-მემ შეიტყო, რომ მოპასუხეს იმავე ბინის გასხვისების მიზნით თანხა სხვა პირებისგანაც ჰქონდა მიღებული. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 29 მარტის განჩინებით ზემოაღნიშნულ ბინას დაედო ყადაღა, რის შესახებაც თ. კ-მეს შეტყობინება გაეგზავნა ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით, რასაც 2002 წლის 1 იანვრიდან დაერთო ოფერტი 1400 აშშ დოლარის 10%-იან დანამატზე. აღნიშნული მოპასუხეს არ უარუყვია. მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მ.ქ-მეს მიაღვა მატერიალური ზიანი. იგი იძულებული გახდა, 2001 წლის 25 მაისიდან დაექირავებინა ბინა ყოველთვიურად 60 აშშ დოლარად, რამაც სარჩელის წარდგენის დროისათვის შეადგინა 780 აშშ დოლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის შედგა ზეპირი შეთანხმება მ.ქ-მის მიერ 6500 აშშ დოლარის სანაცვლოდ თ.კ-მის ბინის შესყიდვის თაობაზე, რის დასტურადაც მოსარჩელემ მოპასუხეს, წერილობითი გაფორმების გარეშე, ბეს სახით გადასცა 400 აშშ დოლარი. დარჩენილი თანხა მოსარჩელეს უნდა გადაეხადა ერთი თვის ვადაში, თუმცა მან ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც მოპასუხეს წინასწარ მიღებული ბე მ.ქ-მისათვის არ დაუბრუნებია და არც აღნიშნულის ვალდებულება არ აკისრია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. კ-მეს მ. ქ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. ქ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ქ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ.ქ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -თ. კ-მეს მ. ქ-მის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 600 აშშ დოლარის ანაზღაურება, ხოლო მიყენებული ზიანის -780 აშშ დოლარისა და საპროცენტო დანამატის -840 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა სარჩელზე უარის თქმის მოტივით, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მ. ქ-მესა და თ. კ-მეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო გარიგება ბინის ნასყიდობის თაობაზე, რაც, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას წარმოადგენს. ამავე კოდექსის 421-ე მუხლის საფუძველზე პალატამ ჩათვალა, რომ ძირითადი ხელშეკრულებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა საკმარისი ვალდებულება წინარე ხელშეკრულების, მოცემულ შემთხვევაში ბეს გადაცემის გაფორმების დროსაც.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლით და მიუთითა, რომ კანონმდებელი უძრავი ნივთის განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებისათვის ადგენს აუცილებელ საწარმოო ფორმას, ხოლო მოდავე მხარეებს შორის დადებული ზეპირი გარიგება ბეს ხელშეკრულების თაობაზე ბათილად უნდა ჩაითვალოს და მათ შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებულ იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი. მხარეთა შორის სადავოა ბეს სახით გადაცემული თანხა, რომელიც, მოსარჩელის განმარტებით, შეადგენს 1400 აშშ დოლარს, ხოლო, მოპასუხის მტკიცებით, მან მოსარჩელისაგან მიიღო მხოლოდ 400 აშშ დოლარი.

პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული ი. კ-მის განმარტებაზე, რომ მ.ქ-მემ თავის კაბინეტში მამამისს გადასცა 400 აშშ დოლარი, თუმცა თავად არც თანხა და არც კონვერტი, რაშიც ეს თანხა იდო, არ უნახავს; პირადად ამ ფაქტს არ დასწები, არამედ შეიტყო თავისი მშობლებისაგან. სააპელაციო სასამართლოში დაკითხული მოწმეების -ფ-შვილისა და ჯ-იანის განმარტებით, ისინი უშუალოდ ესწრებოდნენ მ.ქ-მის მიერ კონვერტში 1000 აშშ დოლარის ჩადებასა და თ.კ-მისათვის მის გადასცა. აღნიშნული მათ ნათლად ახსოვდათ, თუმცა დეტალები, ხანდაზმულობის გამო, ვერ გაიხსენეს. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოწმეები -ფ-შვილი და ჯ-იანი თანხის გადაცემის ფაქტს უშუალოდ ესწრებოდნენ. საგულისხმოა, რომ ისინი მოდავე მხარესთან ნათესაურ კავშირში არ იმყოფებიან, ხოლო მოწმე ი. კ-მე სადავო ფაქტის უშუალო შემსწრე არ არის, ამასთან, იგი მოპასუხის შვილია. აღ-

ნიშნულით სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია, რომ მ. ქ-მ თ. კ-მს გადასცა არა 400 ან 1400, არამედ -1000 აშშ დოლარი.

სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის შედეგად მას ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადაცემული თანხის ოდენობა 1000 აშშ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება ზიანის -780 აშშ დოლარის ანაზღაურებას და საპროცენტო დანამატის -840 აშშ დოლარის მოთხოვნას, პალატამ მიუთითა, რომ ამ ნაწილში მოთხოვნაზე მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში უარი განაცხადა, ხოლო დამატებითი ხარჯის -60 ლარის მოთხოვნა დაუსაბუთებელია სათანადო მტკიცებულებისა და სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. კ-მის წარმომადგენელმა ფ. ც-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი და აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, როდესაც სადავო თანხის ოდენობა დაადგინა მხოლოდ ორი მოწმის -ფ-შვილისა და ჯ-იანის ჩვენებით, რომლებიც მ. ქ-მის ახლობლები და საქმით დაინტერესებული პირები არიან. მხოლოდ მათი არასწორი ჩვენებით სასამართლოს არ უნდა შექმნოდა შინაგანი რწმენა თ. კ-მისათვის 1000 აშშ დოლარის გადაცემის შესახებ, რადგან კასატორის წერილობითი აღიარება თანხის მიღების თაობაზე არ არსებობს. საგულისხმოა, რომ მოწმეებმა 1000 აშშ დოლარის გადაცემის გარდა სხვა დეტალები სრულად ვერ გაიხსენეს, კერძოდ, მათ სხვადასხვაგვარად აღწერეს მ.ქ-მის ოჯახში მიმდინარე მოვლენები. სასამართლომ, ერთი მხრივ, არ გაიზიარა მ.ქ-მის მიერ თანხის ბეს სახით გადაცემის ფაქტი და იგი, ფორმის დაუცველობის გამო, ბათილ გარიგებად ჩათვალა. შესაბამისად, სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად მიუთითა უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების გამოყენებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დაასკვნა, რომ მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენდა გადაცემული ბეს ოდენობა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დაადგინა 1000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. წინააღმდეგობრივია სასამართლოს მსჯელობა, რომ უძრავ ნივთზე ბეს გადაცემას სჭირდებოდა წერილობითი ფორმის დაცვა, რითაც უნდა დადგენილიყო გადაცემული თანხის ოდენობა, მაშინ, როცა მ.ქ-მის მიერ თ.კ-მისათვის 1000 აშშ დოლარის შესახებ გარემოების დადგენისას წერილობითი ფორმის დაცვით შედგენილი გარიგების დადება არ დადასტურებულა. სადავო თანხის ოდენობა სასამართლოს წერილობითი მტკიცებულების მიხედვით უნდა დაედგინა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. ამდენად, სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად, შეეძლო დაყრდნობოდა მხოლოდ მოპასუხის აღიარებას და არა ორი მოწმის არასწორ ჩვენებას. აღსანიშნავია, რომ თ.კ-მ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გაასაჩივრა, რადგან სადავო თანხა -400 აშშ დოლარი კანონით განსაზღვრულ ოდენობას არ შეესაბამებოდა, თუმცა მხარე არ დაეთანხმა სასამართლოს მსჯელობას, რომ თ. კ-მ ვითომ კრედიტორია და უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. კ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება თ. კ-მისათვის 600 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს, მ. ქ-მის სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსარჩელე მ. ქ-მსა და მოპასუხე თ. კ-მს შორის არსებობდა ზეპირი გარიგება ბინის ნასყიდობის თაობაზე. ამავე საქმეზე კანონიერ ძალაშია შესული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება თ. კ-მისათვის მ. ქ-მის სასარგებლოდ ბინის ნასყიდობისთვის ბეს სახით მიღებული 400 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილა რა მ. ქ-მის სააპელაციო საჩივარი დამატებით ბეს სახით გადაცემული 600 აშშ დოლარის ანაზღაურების თ.კ-მისათვის დაკისრების თაობაზე, დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება თ. კ-მისათვის

ბეს სახით 1000 აშშ დოლარის გადაცემის თაობაზე. სასამართლოს ეს დასკვნა ეყრდნობა საპელა-ციო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულ ზ. ფ-შვილისა და ი. ჯ-იანის ჩვენებებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება).

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორს მოწმეთა ჩვენებების დადგენილი ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვს დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია. სწორედ კასატორის პრეტენზიის საფუძველზე საკასაციო სასამართლო ამოწმებს რა დასახელებულ მოწმეთა ჩვენებებს, ასკვნის, რომ თ. კ-ძისათვის ბეს -1000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი მტკიცებულებებით არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

უპირველესად, საგულისხმოა ის მდგომარეობა, რომ მოწმეები -ზ. ფ-შვილი და ი. ჯ-იანი დაკითხული არიან 2009 წლის 15 დეკემბერს 1999 წელს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და თავიანთ ჩვენებებში თვითონვე ეჭვქვეშ აყენებენ მათ მიერ მითითებული დეტალების სისწორეს, რაც ბუნებრივი და რეალური მდგომარეობა გასული დროის ხანგრძლივობის გამო.

ამავდროულად, საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ი. ჯ-იანი ზუსტად ვერ იხსენებს რიგ მნიშვნელოვან ფაქტებს, მაგრამ გარკვევით უთითებს, რომ თანხის გადაცემას მეორე მოწმე -ზ. ფ-შვილი არ ესწრებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოწმეები ერთნაირად არ გადმოსცემენ რა მნიშვნელოვან ფაქტებს, მათი ჩვენება საკმარისს არ წარმოადგენს გადაცემული თანხის ზუსტი ოდენობის განსაზღვრისათვის, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ, მართლაც, ბეს სახით გადაცემულ იქნა თ. კ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიარებული 400 აშშ დოლარი.

მ. ქ-ძეს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი სხვა რაიმე მტკიცებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, არ წარმოუდგენია, რაც მის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 410-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

თ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება თ.კ-ძისათვის 600 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

მ. ქ-ძის სარჩელი ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-1099-1363-09

3 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ხარაგაულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ღ-ძის სარჩელი ნ. ბ-ძის მიმართ ბინიდან გამოსახლების თაობაზე დაკმაყოფილდა - მოპასუხე ნ. ბ-ძე გამოსახლებულ იქნა დ. ხარაგაულში, ... ქ.#4-ში მდებარე, #15 ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინიდან და თავისუფალ მდგომარეობაში ჩაჰბარდა ლ. ღ-ძეს.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოპასუხე ნ. ბ-ძე, გირაოს გადახდის სანაცვლოდ, შევიდა სადავო ბინაში ლ. ღ-ძის თანხმობით, სამი წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგაც მოპასუხემ გააგრძელა ბინაში ცხოვრება, ვინაიდან მოსარჩელემ საგირავნო თანხა ვერ დაუბრუნა. სადავო ბინაში დღესდღეობით იმყოფება მოპასუხე ნ. ბ-ძე;

ლ. ღ-ძემ 1999 წელს გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, მოახდინა სადავო ბინის საჯარო რეესტრში თავის სახელზე რეგისტრაცია და მოიპოვა საკუთრების უფლება დ. ხარაგაულში, ... ქ.#4-ში მდებარე, #15 ერთოთახიანი საცხოვრებელ ბინაზე და გახდა სადავო ბინის მესაკუთრე;

შპს "ლ-ის" დასკვნის თანახმად, ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 2000 ლარით;

სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად, მიიჩნია, რომ ნ. ბ-ძე არ წარმოადგენდა ნივთის მართლზომიერ მფლობელს, რადგან მხოლოდ ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ნ. ბ-ძესა და შპს "კ-ს" შორის 2003 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, აღნიშნული არ წარმოადგენდა საკმარის და უტყუარ მტკიცებულებას ნივთის მესაკუთრედ ცნობისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს "კომუნალურისგან" ნ. ბ-ძემ სადავო ბინა იყიდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რა დროისთვისაც მოსარჩელე უკვე იყო ბინის მართლზომიერი მფლობელი, ვინაიდან გაუქმებული ან ბათილად ცნობილი არ ყოფილა ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება, არ იყო მოსარჩელის თანხმობა, საფასურის გადახდის ქვითარი და სხვა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ წარმოადგინა ხელშეკრულების ასლი და არა დედანი, ბინა არ დაურეგისტრირებია საჯარო რეესტრში თავის სახელზე და მხოლოდ სადავო ბინის მისამართზე მისი სამოქალაქო რეგისტრაცია არ წარმოშობდა ნივთზე საკუთრების უფლებას.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა ნ. ბ-ძის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოპასუხეს დაკავებული ჰქონდა ლ. ღ-ძის ბინა, ხოლო, ვინაიდან მოსარჩელე ითვლებოდა ბინის მესაკუთრედ, მას ყოველთვის ჰქონდა უფლება, მოეთხოვა მოპასუხისაგან ბინის მფლობელობის შეწყვეტა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელეს შეეძლო მოეთხოვა მოპასუხისათვის ნივთის დაბრუნება.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ არც ნ. ბ-ძის სადავო ბინაში სამოქალაქო რეგისტრაცია არ წარმოშობდა ამ ნივთზე მისი საკუთრების უფლებას, ვინაიდან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება ვლინდება მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემებით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ნ. ბ-ძეს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად სადავოდ არ გაუხდია საჯარო რეესტრის ჩანაწერი და არ მიუმართავს აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოსათვის არც სარჩელით და არც შეგებებული სარჩელით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ნ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების მიმართვის მიერ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილების გაუქმების საფუძვლები. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ნ. ბ-მის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა გამოეყენებინა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონი, ვინაიდან სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული კანონი აწესრიგებდა საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ ურთიერთობებს. განსახილველ შემთხვევაში, კი სასამართლომ დადგინოდა, რომ 1993 წელს, როდესაც მხარეებს შორის წარმოიშვა ურთიერთობები არცერთი მხარე არ იყო სადავო ბინის მესაკუთრე. შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ განჩინების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი. კერძოდ, სასამართლომ არასწორად განმარტა 159-ე, 168-ე და 172-ე მუხლები. ასევე არასწორად განმარტა კანონი, როდესაც მიუთითა, რომ სადავო საქმეზე "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონი არ ვრცელდებოდა ნ. ბ-მესა და ლ. დ-მეს შორის არსებულ ურთიერთობაზე.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნა, კერძოდ, გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და იმსჯელა მას და შპს "კ-ს" შორის დადებულ ხელშეკრულებაზე და მიუთითა, რომ ეს ხელშეკრულება არ შეიძლებოდა ნამდვილ ხელშეკრულებად ჩათვლილიყო.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის განმარტებით, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად არ დაუშვა მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითაც დაირღვა მისი უფლებები და საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უზრუნველყოფა სავინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით ხდება. მოთხოვნა დაკმაყოფილება სამი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში: მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე, ხოლო მოპასუხე – ნივთის მფლობელი და მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ნივთის მესაკუთრეა ლ. დ-მე, ასევე უდავოდ დადგინდა, რომ მოპასუხე ფლობს სადავო ნივთს. რაც შეეხება მესამე წინაპირობას, სააპელაციო სასამართლომ არ გაარკვია ჰქონდა თუ არა მოპასუხეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

ამ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოპასუხე ნ. ბ-მე გირაოს გადახდის სანაცვლოდ შევიდა სადავო ბინაში ლ. დ-მის თანხმობით, სამი წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგაც მოპასუხემ გააგრძელა ბინაში ცხოვრება, ვინაიდან მოსარჩელემ საგირავნო თანხა ვერ დაუბრუნა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას არ მისცა სამართლებრივი შეფასება, არ გაარკვია მოდავე მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და პირობები. არ გაარკვია, მოპასუხეს აქვს თუ არა სადავო ნივთის ფლობის უფლება მოსარჩელის მხრიდან საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, ანუ თანხის დაბრუნებამდე (სკ-ის 369-ე მუხლი). აღნიშნულის გამო, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გაარკვიოს მოდავე მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ამ ურთიერთობის პირობები და, შესაბამისად, ჩამოაყალიბოს დასკვნები აღნიშნული თვალსაზრისით იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-139-132-10 10 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი)
თ. თოდრია

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, მესაკუთრედ ცნობა, საკუთრების რეგისტრაციის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 8 იანვარს ზ. ა-ევმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების -ნოტარიუს ნ. ფ-შვილისა და ჩ. ა-ევას მიმართ, მესამე პირი -საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლაგოდეხის სარეგისტრაციო სამსახური, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების, საჯარო რეესტრში ჩ. ა-ევაზე ჩანაწერის გაუქმების, სადავო სახლსა და მიწის ნაკვეთზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე არიან და-ძმანი. მათი მშობლები და ცხრა და-ძმა ცხოვრობდნენ ლაგოდეხის რაიონის სოფ. ...-ში, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ მხარეები. ოჯახი მიეკუთვნებოდა საკოლმეურნეო კომლს.მმხარეების მამა ი., გარდაიცვალა 1999 წელს, ხოლო დედა ზ., 2007 წლის ნოემბერს. მოსარჩელეს ჰყავს მეუღლე და სამი შვილი, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა აღნიშნულ სახლში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათთან ერთად ცხოვრობდა მოსარჩელის ერთ-ერთი და -ჩ. ა-ევა.

მოსარჩელის განმარტებით, მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2004 წლის 22 ივლისს ნოტარიუსმა ნ. ფ-შვილმა გააფორმა უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება ზ. თ-ევასა და ჩ. ა-ევას შორის, რომლის თანახმადაც მოსარჩელის დედამ -ზ. თ-ევამ მთელი საცხოვრებელი სახლი და 1838,291კვ.მ. მიწის ნაკვეთი აჩუქა მოსარჩელის დას -ჩ. ა-ევას. ამავე წლის 23 ივლისს საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერის თანახმად, ზ. ა-ევა წარმოადგენს მთელი საცხოვრებელი სახლისა და ეზოს მესაკუთრეს.

მოსარჩელე უთითებს, რომ გარიგება დადებულია ფორმის დაუცველად, ზი. თ-ევას მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით, რადგან დედას -ზ. თ-ევას არ შეეძლო დამოუკიდებლად ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება, მას ამის სურვილი არასოდეს გამოუთქვამს. ამასთან, ზ. თ-ევამ არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, იგი წერდა ძველ თურქულად, ჩუქების ხელშეკრულებაზე კი გამოსახულია ქართული ასოების მიმსგავსებული იეროგლიფები.

ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ა-ევის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 მარტის განჩინებით გატარებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რითაც ყადაღა დაედო ლაგოდეხის რაიონის სოფ. ... მდებარე ჩ. ა-ევას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ა-ევმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აღნიშნულ განჩინებაში მიეთითა შემდეგი: საქმის განხილვისას მოწვეული მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ ზ. თ-ევას არა მარტო საუბრობდა ქართულ ენაზე, არამედ მას შეეძლო წერა-კითხვაც. პალატამ განმარტა, რომ ზ. თ-ევას მიერ ქართული ენის არ ცოდნა არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი განცხადება-ანკეტით, რომელიც წარდგენილია პირადობის მოწმობის მიღების მიზნით, ასევე, პირადობის მოწმობის ასლით. ის, რომ აღნიშნულ დოკუმენტებზე ხელმოწერა ზ. თ-ევას მიერ სხვა ენაზეა შესრულებული, არ გამოიცხადებს იმას, რომ მას ქართულ ენაზეც შეეძლო ხელმოწერა.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ გამჩუქებელი არ ფლობდა ქართულ ენას და, შესაბამისად, სადავო ხელშეკრულების გაფორმებისას მის მიერ გამოვლენილი ნება არ არის ნამდვილი, საქმის მასალებით არ დასტურდება, ამიტომ გარიგების დადასტურებისას არ ყოფილა თარჯიმნის მოწვევისა და მისი მეშვეობით სანოტარო მოქმედების შესრულების საჭიროებაც.

პალატამ განმარტა, რომ ჩუქება ცალმხრივი ხელშეკრულებაა. გამჩუქებელმა გამოავლინა ჩუქების ნება, რომელიც მიიღო დასაჩუქრებულმა. ამდენად, დასაჩუქრებული პირის მიერ ენის არ ცოდნა ვერ იმოქმედებს გამჩუქებლის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება ზ. ა-ევამ გაასაჩივრა საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის განმარტებით, მოსამართლემ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, მას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს კანონით ნოტარიატის შესახებ (მუხლი მე-7), ასევე, სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-19 მუხლით, რომლის თანახმად, სანოტარო აქტი უნდა შედგეს სახელმწიფო ენაზე, ამასთანავე, სანოტარო მოქმედების მონაწილის (მონაწილეების) მიერ სახელმწიფო ენის ან დამწერლობის არცოდნისას ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თარჯიმნის მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა სანოტარო აქტი შედგეს კლიენტისათვის გასაგებ ენაზეც. თარჯიმნის მონაცემები ნოტარიუსის მიერ შეიტანება რეესტრსა და სანოტარო აქტში. თუ ნოტარიუსმა იცის შესაბამისი ენა, თარჯიმნის თვითონ და ამის შესახებ მიუთითებს აქტში. თარჯიმანი უნდა აირჩიოს კლიენტმა, ხოლო რამდენიმე მხარის არსებობისას თარჯიმნის არჩევისათვის აუცილებელია ყველა კლიენტის თანხმობა. აკრძალულია სანოტარო მოქმედების მონაწილე მხარის მიერ თარჯიმნის ფუნქციის შესრულება. თარჯიმანი ვალდებულია, ნოტარიუსს დაუდასტუროს, რომ მან იცის შესაბამისი ენა და იძლევა სწორი თარგმანის გარანტიას, რაზედაც უნდა აღინიშნოს სანოტარო აქტში.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 59-ე, 68-ე და 70-ე მუხლებით. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე და 185-ე მუხლები, ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ჩ. ა-ევამ იცოდა რა, რომ ზ. თ-ევას არ იყო საცხოვრებელი სახლის ერთადერთი მესაკუთრე, საკუთრების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში იყო არასწორი. მოპასუხე ჩ. ა-ევასთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ როგორც საკოლმეურნეო კომლის ყოფილ წევრებს საცხოვრებელი სახლი და ქონება, მიწა კომლის წევრთა თანასაკუთრებას წარმოადგენდა, ამდენად, ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება მათ შორის ფორმის დაცვითაც რომ მომხდარიყო, მაინც უკანონო იქნებოდა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ უგულებელყო მითითებული დოკუმენტები როგორც ოფიციალური წერილობითი მტკიცებულებები. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაცული ხელმოწერები არის ზ. თ-ევას რეალური ხელმოწერის ნიმუში. ის ფაქტი, რომ ისეთ დოკუმენტზე, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, პიროვნება ხელს აწერს აზერბაიჯანულ (თურქული შრიფტით) და არა ქართულ, სახელმწიფო ენაზე, აშკარად ადასტურებს, რომ მან არ იცოდა ქართულად წერა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 2010 წლის 13 აპრილს განჩინებით ზ. ა-ევას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენდა კომლის წევრთა თანასაკუთრებას. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის #949 დადგენილებისა და სახელმწიფო საბჭოს

1993 წლის 21 ოქტომბრის #29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებასთან ერთად არსებობა შეწყვიტა საკოლმეურნეო კომლმაც და მასზე გავრცელდა სანივთო სამართლებრივი ნორმები, რაც მოქმედებდა იმ დროისათვის ან მიღებულ იქნა შემდგომში. შესაბამისად, ვინაიდან, საკოლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენდა კომლის წევრთა თანასაკუთრებას, კომლის ქონება ჩაითვალა იმ პირთა თანასაკუთრებად, რომლებიც მითითებული ნორმატიული აქტების მიღებამდე რეგისტრირებული იყვნენ ამ კომლის წევრებად.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს –ლაგოდების არქივის 2008 წლის 11 დეკემბრის საარქივო ცნობით დადგენილია, რომ ლაგოდების რაიონის სოფ. ... სასოფლო საბჭოს 1971-1973 წლების საარქივო დოკუმენტებში აღნიშნულია მოქ. ა-ევი ი. ა-ი-ო-ი ცალკე კომლად და ოჯახის და მისი კომლის შემადგენლობაში შედიან თავად ოჯახის უფროსი, მისი მეუღლე და 9 შვილი. აღნიშნულ კომლზე დარიცხულია 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი, აშენებული 1963 წელს, ხოლო სოფ. ... თემის საკრებულოს 1997-2006 წლების საარქივო დოკუმენტებში აღნიშნულია მოქ. ზი. თ-ევი ცალკე კომლად და ოჯახის და მისი კომლის შემადგენლობაში შედიან თავად ოჯახის უფროსი, მისი 2 შვილი -ა-ევი ზ. და ა-ევა ჩ., რძალი -ა. ნ-ათ და 3 შვილიშვილი -ა. ე-ად, ა. ე-ინ და ა. ა-ან. აღნიშნულ კომლზე დარიცხულია 0,19+0,27=0,46 ჰა მიწის ფართობი და 70 კვ.მ. საცხოვრებელი სახლი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ზ. ა-ევი, მისი ცოლ-შვილი, დედა -ზ. თ-ევა და და -ჩ. ა-ევა წარმოადგენენ კომლში არსებული ქონების თანამესაკუთრეებს, რაც დადასტურებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მონაცემებით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა მითითებული მტკიცებულებები და განესაზღვრა, თუ რა წილი ეკუთვნოდა მოსარჩელეს და ზ. თ-ევას და ემსჯელა იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ზი. თ-ევას უფლება გაესხვისებინა სხვისი წილი საცხოვრებელი სახლიდან.

ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ჩ. ა-ევა წარმოადგენს მოსარჩელის ოჯახის წევრს და მასზე არ შეიძლება გავრცელდეს საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფიცია (აღნიშნული წარმოადგენს პრეზუმფიციის მესამე პირთათვის და არა ოჯახის წევრებისათვის).

საქმის განხილვისას სადავოდ არ გამხდარა ის ფაქტი, რომ არც კასატორმა -ზ. ა-ევამ და არც კომლის სხვა წევრებმა არ იცოდნენ ზ. თ-ევას სახელზე გაცემული, ლაგოდების რაიონის ტექ-აღ-რიცხვის 2004 წლის 22 ივლისის #163 ცნობა-დახასიათების, ჩუქების ხელშეკრულებისა და 2004 წლის 23 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერის არსებობა, რომლითაც დასტურდება, რომ სოფ. ... არსებული სასოფლო-სამეურნეო საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენს ჩ. ა-ევა.

ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს გამოიხმო სარჩელი საჯარო რეესტრში ზ. თ-ევას სახელზე განხორციელებული ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში, არ გამორიცხავს ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნას გაჩუქებული ქონების, როგორც საკომლო მეურნეობის, ოჯახის საერთო საკუთრებაში არსებობის საფუძველით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნულის გამო პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული იმავე პალატის მიერ. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ზემოთ მითითებული გარემოებანი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ა-ევის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპი;
მტკიცებულებათა შეფასება, ექსპერტის დასკვნა**

განჩინება

#ას-211-201-2010

22 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: გარიგებების ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჩ-შვილი-ო-ელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. და ლ. ხ-იდების მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1992 წელს მოსარჩელემ ნ. გ-ოვასაგან შეიძინა ქ.თბილისში, ... ქ.#12-ში მდებარე სახლთმფლობელობა, რაც სანოტარო ფორმის დაცვით გაფორმდა 2003 წლის 27 მარტს. გარიგების საჯარო რეესტრში აღრიცხვა მხარემ ვერ მოახერხა. 2007 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. გ-ოვამ 2004 წლის 14 დეკემბერს ლ. ხ-იდის სახელზე ქ. რიგაში გაცემული მინდობილობის საფუძველზე ნოტარიუს ე.შ-შვილის მიერ დამოწმებული გარიგებით 2006 წლის 16 ნოემბერს იგივე ბინა მიჰყიდა ს. ხ-იდს. ლ. და ს. ხ-იდები არიან დედა-შვილი. ქ. რიგის მოხუცებულთა სახლის მიერ გაცემული 2007 წლის 7 მაისის ცნობით ირკვევა, რომ ნ. გ-ოვა 2006 წლის 12 ნოემბერს, ანუ ლ. ხ-იდის სახელზე მინდობილობის გაცემამდე 4 დღით ადრე გარდაიცვალა.

ს. ხ-იდმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. ჩ-შვილი-ო-ელის მიმართ ქონების გასხვისების შესახებ მინდობილობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: ს. ხ-იდი წარმოადგენს ქ. თბილისში, ... ქ.#12-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეს, რომელიც შეიძინა აწ გარდაცვლილი ნ. გ-ოვასაგან. მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2003 წლის 17 იანვარს ნოტარიუსმა ა. შ-შვილმა დაამოწმა ნ. გ-ოვას მიერ თ. ჩ-შვილი-ო-ელის მეუღლის -ე. ო-ელის სახელზე გაცემული მინდობილობა სადავო უძრავი ნივთის გასხვისების თაობაზე. აღნიშნული მინდობილობა ყალბია, რადგან 2000 წლის ოქტომბრიდან ნ.გ-ოვა საცხოვრებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა და იქვე გარდაიცვალა. ამასთან, მან ქართულად წერა-კითხვა არ იცოდა, ხოლო მინდობილობის გაფორმებას თარჯიმანი არ დასწრებია. აღნიშნული ყალბი მინდობილობის საფუძველზე 2003 წლის 27 მარტს სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით სადავო ქონება ე. ო-ელმა მიჰყიდა თ. ჩ-შვილი-ო-ელს, რაც ასევე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით თ. ჩ-შვილი-ო-ელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ს. ხ-იდის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის ნოტარიუს ა.შ-შვილის მიერ 2003 წლის 17 იანვარს დამოწმებული ნ. გ-ოვას სახელით ე. ო-ელის სახელზე გაცემული მინდობილობა, ასევე ბათილად იქნა ცნობილი ნ.გ-ოვას სახელით ე.ო-ელსა და თ.ჩ-შვილი-ო-ელს შორის 2003 წლის 27 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ჩ-შვილი-ო-ელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით თ.ჩ-შვილი-ო-ელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ს.ხ-იდის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ს.ხ-იდს უარი ეთქვა ნ.გ-ოვას სახელით ე.ო-ელის სახელზე გაცემული მინდობილობის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნ. გ-ოვას მიერ ე. ო-ელის სახელზე გაცემული მინდობილობის ბათილად ცნობის თაობაზე ს. ხ-იდის შეგებებული სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში იურიდიულად დაუსაბუთებელია. პალატამ სრულად გაიზიარა დავის ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა ჩათვალა, რომ 2003 წლის 17 იანვრის სადავო მინდობილობის ბათილობასთან დაკავშირებით სასამართლოს დასკვნა მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს სრულად ეწინააღმდეგება. ამასთან, სასამართლოს არ მიუთითებია სამართლის ნორმაზე, რომლის საფუძველზეც იგი მივიდა შესაბამის დასკვნამდე.

პალატის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში ასახული მსჯელობა, სარეზოლუციო ნაწილში გაკეთებულ დასკვნას ეწინააღმდეგება. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა ს. ხ-იდის მოსაზრება 2003 წლის 17 იანვრის მინდობილობაზე ე.ო-ელის მიერ ნ.გ-ოვას ხელმოწერის გაყალბებისა და ამ საფუძვლით ხსენებული მინდობილობის ბათილობის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული საქმის მასალებით არ დადასტურებულა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით, 102-ე მუხლით, 103-ე მუხლის პირველი ნაწილით, 169-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელის ავტორმა ს. ხ-იდმა ვერ შესძლო, სასამართლოსათვის წარმოედგინა ნ.გ-ოვას მიერ ქართულ ენაზე შესრულებული ხელმოწერის თავისუფალი ნიმუშები და შესადარებელი მასალის სიმცირის გამო, გრაფიკულმა ექსპერტიზამ ვერ დაადგინა ხსენებულ სადავო მინდობილობაზე და სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის საერთო რეესტრში ნ. გ-ოვას სახელით შესრულებული ხელმოწერები შესრულებული იყო ერთი და იმავე თუ სხვადასხვა პირის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაასკვნა, რომ ნ. გ-ოვას ხელმოწერის არარსებობის და მისი გაყალბების საფუძვლით, სადავო მინდობილობის ბათილობაზე სასამართლო ვერ იმსჯელებდა.

პალატამ ჩათვალა, რომ სადავო მინდობილობის ბათილად ცნობის საფუძველი ვერ გახდება საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციიდან და ლატვიის რესპუბლიკის სასაზღვრო დაცვის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაცია მინდობილობის გაფორმების პერიოდში ნ. გ-ოვას მიერ საქართველოსა და ლატვიის საზღვრების გადაკვეთის შესახებ და ქ. რიგის პანსიონატ „გ-ის“ მიერ გაცემული ცნობა, რომ ნ.გ-ოვა პანსიონატში ცხოვრობდა გაუსვლელად. სასამართლომ გაიზიარა ლ. ხ-იდის წარმომადგენელ თ.რ-ძის მოსაზრება, რომ ნ. გ-ოვას მიერ ე. ო-ელის სახელზე გაცემული მინდობილობა წარმოადგენდა ცალმხრივ გარიგებას და მინდობილობის შინაარსის მიხედვით, ე. ო-ელისათვის ნ. გ-ოვას თავისი კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისების უფლებამოსილება არ მიუნიჭებია, ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ ე. ო-ელს ენიჭებოდა უფლებამოსილება, ყოფილიყო ნ. გ-ოვას წარმომადგენელი ქ. თბილისის ტექადრიცხვის სამსახურში, საჯარო რეესტრსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში ცნობების ასაღებად ქ. თბილისში, ... ქ.#12-ში მდებარე ბინასთან დაკავშირებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მინდობილობაში არსებული ჩანაწერი – „შემდგომი გასხვისების მიზნით“ – არ ნიშნავდა, რომ ამ მინდობილობით ე. ო-ელს მინიჭებული ჰქონდა ნ. გ-ოვას კუთვნილი ბინის გასხვისების უფლებამოსილება და შეეძლო, მისი სახელით დაედო გარიგება სადავო ბინაზე ან ყოფილიყო ამ გარიგებაში მისი წარმომადგენელი.

სასამართლოს მითითებით, ნ.გ-ოვას ე.ო-ელისათვის ბინის გასხვისების უფლებამოსილება რომ მიენიჭებინა, მინდობილობაში აღინიშნებოდა, რომ ე.ო-ელს შეეძლო დაედო გარიგება ბინაზე ნ.გ-ოვას სახელით. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე ე.ო-ელი არ იყო უფლებამოსილი, ნ.გ-ოვას სახელით დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება ამ უკანასკნელის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, რის გამოც ე. ო-ელის, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ, თ. ჩ-შვილი-ო-ელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია. ამასთან, პალატამ ჩათვალა, რომ სადავო მინდობილობის ბათილად ცნობის სამართლებრივი წინაპირობები არ არსებობს.

დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა და ბათილად ეცნო ლ. და ს. ხ-იდებს შორის სადავო ბინაზე 2006 წლის 16 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე აღიარებითი სარჩელით თ. ჩ-შვილი-ო-ელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა სადავო ბინაზე მისი საკუთრების უფლების ცნობა. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა მისი აღიარებითი სარჩელის მოთხოვნები ნ. გ-ოვას მიერ ლ. ხ-იდის სახელზე 2004 წლის 14 დეკემბერს გაცემული მინდობილობის, ასევე, 2006 წლის 16 ნოემბერს ნ. გ-ოვას წარმომადგენელ ლ. ხ-იდსა და ს. ხ-იდს შორის დადებული საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

ამდენად, მიუხედავად იმისა, მოწინააღმდეგე მხარე შეგებებული სარჩელით ან სხვა საპროცესო ფორმით (შესაგებლით) სადავოდ გახდიდა თუ არა 2003 წლის 27 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებას, სარჩელის განმხილველი სასამართლო ვალდებული იყო, ემსჯელა ამ ხელშეკრულების კანონიერებაზე, რადგან მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა მოსარჩელე თ.ჩ-შვილი-ო-ელს განსახილველ აღიარებით სარჩელზე დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი, თუკი ხელშეკრულება, რომლითაც მან მოიპოვა სადავო ბინაზე მესაკუთრედ დარეგისტრირების უფლება, ჩაითვლებოდა კანონიერ გარიგებად. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება, რომ ეს ხელშეკრულება უცილოდ ბათილი გარიგებაა, ამდენად, სარჩელით მოთხოვნილი გარიგე-

ბების ბათილად ცნობის პირობებშიც კი თ. ჩ-შვილი-ო-ელი ვერ მიაღწევდა მიზანს და სადავო ბინაზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ იურიდიულ ინტერესს ვერ დაიკმაყოფილებდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება სასამართლომ სარჩელზე უარის თქმის საფუძველად ჩათვალა. ასეთ პირობებში, პალატის მითითებით, საფუძველს მოკლებულია აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოს არსებითად უნდა ემსჯელა გარდაცვლილ ნ. გ-ოვას სახელით ლ. ხ-იდის მიერ 2006 წლის 16 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების კანონიერებაზე და ბათილად ეცნო იგი სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 56-ე მუხლების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ჩ-შვილი-ო-ელმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მესამე ნაწილი, როდესაც არ გაითვალისწინა, რომ ლ. ხ-იდა, როგორც ნ. გ-ოვას წარმომადგენელსა და ს. ხ-იდა შორის 2006 წლის 16 ნოემბერს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ნ. გ-ოვა გარდაცვლილი იყო. ნ. გ-ოვა გარდაიცვალა 2006 წლის 12 ნოემბერს. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში გამოყიდველი ცოცხალი აღარ იყო. სასამართლომ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რადგან 2006 წლის 16 ნოემბერს ლ. ხ-იდი უფლებამოსილი არ იყო, ესარგებლა გარდაცვლილი ნ. გ-ოვას მიერ მინიჭებული უფლებებით და მისი სახელით დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება ს. ხ-იდთან. დასახელებული ნორმის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეწყდებოდა, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა ლ. ხ-იდა ნ. გ-ოვას გარდაცვალების შესახებ. მით უფრო, რომ აღნიშნულის თაობაზე მისთვის ცნობილი იყო. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, გარდაცვლილის სახელით დადებული ხელშეკრულება ბათილად არ ცნო და დატოვა შეფასების გარეშე.

დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა კასატორის მიერ დავის საგნის მიმართ იურიდიული ინტერესის არქონის შესახებ. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი. თ. ჩ-შვილი-ო-ელს ნამდვილი იურიდიული ინტერესი გააჩნდა სადავო ხელშეკრულების ბათილობის მიმართ, რაც მდგომარეობს მის უფლებამოსილებაში, წარედგინა 2003 წლის 27 მარტით დათარიღებული ხელშეკრულება საჯარო რეესტრის სამსახურში და დარეგისტრირებულიყო ქ. თბილისში, ... ქ. #12-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ. აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია 2006 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში. სააპელაციო პალატის ზემოხსენებული დასაბუთება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებაში ასახულ სასამართლო პრაქტიკას, კერძოდ, „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის თანახმად, ყველა ხელშეკრულება, რომელიც გავლენას ახდენდა მიწაზე და მასთან დაკავშირებულ უძრავ ქონებაზე, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის წარდგენილი უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს 30 დღისა მისი შედგენიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტის სარეგისტრაციოდ წარდგენისას მხარეს არ ერთმეოდა უძრავი ქონების რეგისტრაციის უფლება, თუმცა მოსაკრებლის გარდა დამატებით უნდა გადაეხადა თანხა. ამდენად, ზემოხსენებულ განჩინებაში სადავო ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადებისას მხარეს წაერთვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში თავდაპირველ შემქმნელს გააჩნია იურიდიული ინტერესი შემდგომში გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ.

სააპელაციო სასამართლოს ე. ო-ელის სახელზე გაცემული მინდობილობა ხარვეზის მქონედ ჩათვალა და ამის გამო ბათილად ცნო ნ. გ-ოვასა და თ. ჩ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულება, თუმცა გაურკვეველია, რატომ არ უნდა ემსჯელა იმ საკითხზე, რომ ლ. ხ-იდა ისარგებლა გარდაცვლილი პირის სახელით გაცემული მინდობილობით.

სასამართლომ არასწორად განმარტა და სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული ნორმის განმარტებისთვის სასამართლომ უნდა გამოეყენებინა ამავე კოდექსის 1164-ე მუხლიც.

სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ 2003 წლის 27 მარტის ხელშეკრულების შინაარსით ირკვევა, რომ სადავო ქონება შეიძინა მხოლოდ თ. ჩ-შვილი-ო-ელმა. ხელშეკრულებას ხელს აწერდა თ. ჩ-შვილი-ო-ელის მეუღლე - ე. ო-ელი, რომელმაც ფაქტობრივად გამოხატა ნება, სადავო ქონება გადასულიყო თ. ჩ-შვილი-ო-ელის პირად საკუთრებაში, რაც კანონით აკრძალული არ არის. სასამართლომ თ. ჩ-შვილი-ო-ელი და ე. ო-ელი სამართლებრივი თვალსაზრისით ერთ პირად მიიჩნია, რაც დაუშვებელია. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, როდესაც 2003 წლის 27 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება ბათილად ცნო.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად შეფასდა ნ. გ-ოვას მიერ 2003 წლის 17 იანვარს ე. ო-ელის სახელზე გაცემული მინდობილობის შინაარსი, როდესაც სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. ო-ელს სადავო ბინის გასხვისების უფლებამოსილება არ მინიჭებია. ზემოხსენებული დოკუმენტით

ნ. გ-ოვა ე. ო-ელს ანიჭებს მის მაგივრად ხელის მოწერისა და ყველა მოქმედების შესრულების უფლებამოსილებას, რაც დაკავშირებულია დავალების შესრულებასთან. ამგვარად, მინდობილობის ტექსტი ადასტურებს, რომ ნ. გ-ოვამ ე. ო-ელს სხვასთან ერთად მიანიჭა უფლებამოსილება, ქ.თბილისში, ... ქ.#12-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისების მიზნით, ხელი მოაწეროს მის მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან. აღნიშნული კი სასამართლომ არ გაითვალისწინა.

2003 წლის 17 იანვრის მინდობილობაში ასახულია ნ. გ-ოვას ნება, გაესხვისებინა თავისი კუთვნილი უძრავი ნივთი, რაც, სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ნათელია გარეგნული გამოხატვიდანაც, რადგან მინდობილობის გაცემისას მის ბინაში უკვე ცხოვრობდა თ. ჩ-შვილი-ო-ელი. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ხელს უშლიდა ტექადრიცხვის ბიუროდან და საჯარო რეესტრის სამსახურიდან გარიგების გაფორმებისთვის აუცილებელი დოკუმენტების მიუღებლობა, რის გამოც მინდობილობაში მიეთითა, რომ ე. ო-ელი უფლებამოსილია, მოიპოვოს დასახელებული დოკუმენტები და გასხვისოს ქონება. ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ სასამართლომ ამ ნაწილში არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რადგან ნ.გ-ოვას მიერ ე. ო-ელზე გაცემული მინდობილობის ტექსტის გონივრული განმარტების შედეგად სწორედ ის დგინდება, რომ მან ე.ო-ელს მიანიჭა კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისების უფლებამოსილება.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 2006 წლის 16 ნოემბერს დედა-შვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოჩვენებითი და იმავდროულად თვალთმაქცური ხელშეკრულებაა, რომელიც ლ. ხ-იდის მიერ სადავო ბინის მისაკუთრების მიზნით გაფორმდა. ამდენად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 56-ე მუხლები და ბათილად ეცნო 2006 წლის 16 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება. მნიშვნელოვანია, რომ 2006 წლის 16 ნოემბრით დათარიღებული ხელშეკრულების ხელმოწერების ვიზუალური დათვლიერებაც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ „მყიდველისა“ და „გამყიდველის“ გრაფებში ხელმოწერები ერთი და იმავე პირის მიერაა შესრულებული, ანუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ 87 წლის ლ. ხ-იდი საერთოდ არ ყოფილა ნოტარიუსთან და გარიგებაზე ხელი არ მოუწერია. აღნიშნულის გამო კასატორმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რაც უკანონოდ არ დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შეწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ჩ-შვილი-ო-ელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება თ. ჩ-შვილი-ო-ელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ს. ხ-იდის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი. მითითებული ნორმით, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით უნდა შეაფასოს, რა გავლენა მოახდინა საპროცესო ნორმის დარღვევამ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე სადავოს აღარ წარმოადგენს ნ. გ-ოვას სახელით ე. ო-ელზე გაცემული 2003 წლის 17 იანვრის მინდობილობის კანონიერების ფაქტი, ვინაიდან ს. ხ-იდის სარჩელი აღნიშნული მინდობილობის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და იგი ს.ხ-იდს არ გაუსაჩივრებია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ ზემოაღნიშნული მინდობილობის საფუძველზე ე.ო-ელი არ იყო უფლებამოსილი, ნ.გ-ოვას სახელით დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება ამ უკანასკნელის კუთვნილ უძრავ ქონება-

ზე, რის გამოც ე. ო-ელის, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ თ. ჩ-შვილი-ო-ელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ბათილად ცნო 2003 წლის 27 მარტის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა ამავე ხელშეკრულების მხარე ე. ო-ელი სამოქალაქო საქმეში მხარედ არ ჩაურთავს. აღნიშნულით სასამართლოს მიერ უხეშად იქნა დარღვეული სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი დებულებები, რის შედეგადაც შეუძლებელია გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელება დისპოზიციურობისა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი) პრინციპის საფუძველზე. პირველი მათგანი მოიაზრებს მხარეთა თავისუფლებას მატერიალური და საპროცესო უფლებების განკარგვაში, ხოლო შეჯიბრებითობა კი გულისხმობს მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას თავისი უფლებების დაცვასა და ვალდებულების განხორციელებაში. შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს რა კონსტიტუციურ პრინციპს, პირის ამგვარი უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მესამე ნაწილით, რომლის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, ხოლო 42-ე მუხლის პირველი ნაწილით კი ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ზემოხსენებულ ნორმათა შესაბამისად, განამტკიცებს პირის სასამართლოს მეშვეობით დაცვის უფლებას. სწორედ კანონის ამგვარი მიდგომა განაპირობებს იმ გარემოებას, რომ სასამართლო პირს აძლევს შესაძლებლობას, დაიცვას თავისი უფლებები მაშინაც, როდესაც იგი მხარედ არ იყო ჩართული პროცესში. ამასთან, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამოიყენოს უფლებებისა და ვალდებულების განსაზღვრა იმ პირებისათვის, რომლებსაც სამოქალაქო საქმის წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლომ ისე მიიჩნია ბათილად სადავო ხელშეკრულების მხარის მიერ გამოხატული ნება, რომ ხელშეკრულების ამ მხარეს პროცესში მონაწილეობა არ მიუღია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ სასამართლომ ისე დააკმაყოფილა ს. ხ-იდის შეგებებული სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რომ გადაწყვეტილებით არ შეუფასებია ს. ხ-იდის უფლებამოსილების საკითხი ნ. გ-ოვას ქონებასთან მიმართებით, კერძოდ:

ს. ხ-იდის უფლებამოსილება სადავოს წარმოადგენს თ. ჩ-შვილი-ო-ელის სარჩელით, თუმცა ამ სარჩელით მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, ს. ხ-იდის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და შემოიფარგლა იმ დასაბუთებით, რომ თ.ჩ-შვილი-ო-ელს აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიული ინტერესი არ გააჩნია.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში თავდაპირველად სარჩელი აღძრულია თ. ჩ-შვილი-ო-ელის მიერ, რომელიც სადავო ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გამოხატავს იურიდიულ ინტერესს ქონებაზე საკუთრების უფლების დასადგენად. იგი ამავე საფუძველით სადავოდ -შეწყვეტილად მიიჩნევს როგორც აწ გარდაცვლილ ნ. გ-ოვას მიერ ლ. ხ-იდზე გაცემულ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ასევე ლ. ხ-იდის მიერ ს. ხ-იდზე სადავო ნივთზე დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის გარემოებათა გათვალისწინებით თვლის, რომ ორივე - ძირითად და შეგებებულ სარჩელზე მოსარჩელეთა უფლებამოსილება და იურიდიული ინტერესი უნდა შეფასდეს ერთდროულად.

მოცემულ შემთხვევაში ს. ხ-იდის შეგებებული სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისათვის არსებითია, გაირკვეს მოსარჩელის უფლებამოსილება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით უფლების დაცვაზე მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ უფლების მქონე პირის კომპეტენციაა, ხოლო ს. ხ-იდის უფლება სადავო საგანთან მიმართებით სადავოა. ამდენად, სასამართლო ვალდებულია ს. ხ-იდის უფლებამოსილება, უპირველესად, მის შეგებებულ სარჩელთან მიმართებით შეამოწმოს. ამდენად, თ.ჩ-შვილი-ო-ელის მიერ სადავოდ გამხდარი ს. ხ-იდის უფლებამოსილება აწ გარდაცვლილი ნ. გ-ოვას ქონებასთან დაკავშირებით გამოსაკვლევა არა მხოლოდ იმიტომ, რომ აღნიშნული თ. ჩ-შვილის სასარჩელო მოთხოვნაა, არამედ იმიტომაც, რომ ს. ხ-იდის სასარჩელო მოთხოვნის ობიექტს სწორად ნ. გ-ოვას საკუთრებაში არსებული ნივთი წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამორკვევის შემდეგ საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საჭიროების შემთხვევაში შეფასება უნდა მისცეს ასევე კასატორის მიერ სადავოდ მიჩნეულ განჩინების კანონიერებას ლ. და ს. ხ-იდებს შორის დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე განხორციელებულ ხელმოწერებზე ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქმეზე გადაწყვეტილების გამოსატანისას მნიშვნელოვანია შეფასდეს ფაქტები იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი საფუძველით ფლობს მოსარჩელე თ. ჩ-შვილი-ო-ელი ნ. გ-ოვას სახელზე რიცხულ ბინას 1992 წლიდან და ამ ფაქტთან მიმართებით ჰქონდა თუ არა რაიმე პრეტენზია ნ. გ-ოვას მის გარდაცვალებამდე -2003 წლამდე. ეს გარემოებები თ. ჩ-შვილის მოთხოვნის საფუძველადაა მითითებული და სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესების თანახმად, ვალდებულია, შეაფასოს და დაასაბუთოს თავისი მოსაზრება მათ საფუძველიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ჩ-შვილი-ო-ელის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება თ. ჩ-შვილი-ო-ელის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ს. ხ-იდის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-1153-1415-09

1 ივლისი 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ვ. მ-შვილის დაზუსტებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ვ. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. მ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგ ფაქტობრივი გარემოებები:

...-ის საშუალო სკოლის (ამჟამად სსიპ „... სახელობის საჯარო სკოლა“) დირექტორის 1990 წლის 21 მაისის #146 ბრძანებით სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ვ. მ-შვილი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში.

დიდმის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შ. შ-ანის 2008 წლის 21 მარტის #206 ბრძანებით დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში ვ. მ-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო.

აღნიშნულ ბრძანების ფაქტობრივი საფუძველი გახდა 2008 წლის 13 მარტს სკოლის ტერიტორიაზე საგაკვეთილო საათის მიმდინარეობის დროს ამავე სკოლის მოსწავლის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. როგორც სადავო ბრძანებაში იქნა მითითებული, წინასწარი მონაცემებით მოსწავლეს მიყენებული ჰქონდა ჭრილობა ცივი იარაღით.

ბრძანებაში ასევე აღნიშნულია, რომ სკოლის შინაგანაწესით სწორედ ვ. მ-შვილს ევალებოდა კონტროლის გაწევა მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვაზე.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ცივი იარაღით უდავოდ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებას. შესაბამისად, თუ ასეთი ნამდვილად მოხდა, შს სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფს ამ ფაქტზე უნდა დაეწყო წინასწარი გამოძიება. საქმეში მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილია საქართველოს შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-6 განყოფილების უფროსის 2008 წლის 15 აპრილით დათარიღებული წერილი, რომლიდანაც ირკვევა, რომ სოფ. ... არსებული საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ან თვით საჯარო სკოლაში 2008 წლის 1 იანვრიდან დღემდე რაიმე ინციდენტი არ მომხდარა.

საქმეში არსებული სამედიცინო ბარათით (ავადმყოფის ისტორია) და სს აკად. ო.ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორის წერილით დასტურდება, რომ 2008 წლის 13 მარტს მათთან მკურნალობა ჩაუტარდა 1991 წლის 4 ივლისს დაბადებულ მ. ქ-შვილს, რომელსაც დაესვა დიაგნოზი -მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა, რომლის მიზეზი იყო სირბილის დროს ღობესთან შეჯახება. ამის გამო ფაქტის შესახებ არ ეცნობა შსს ორგანოებს.

დადგენილია ასევე ისიც, რომ ბრძანებაში აღნიშნული ფაქტის შესახებ შს სამინისტროს შესაბამისი სამსახურისათვის არც დიდმის საჯარო სკოლის დირექციას უცნობებია.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ბრძანების ფაქტობრივ საფუძველად მითითებული გარემოება არ მომხდარა. პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სკოლის მოსწავლის დაზიანება გამოწვეული არ ყოფილა აღმზრდებლობით დარგში ამავე სკოლის დირექტორის მოადგილის -ვ. მ-შვილის მიერ შინაგანაწესით სკოლის მოსწავლეებისათვის დადგენილ აკრძალვებზე კონტროლის განუხორციელებლობით (შინაგანაწესის 7.1807.24 პუნქტები).

პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა ვ. მ-შვილისათვის შინაგანაწესის პუნქტის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრ ვ. მ-შვილმა და სსიპ სოფ. ...-ის სახელობის საჯარო სკოლამ.

ვ. მ-შვილის განმარტებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არ მიუთითა მისი მოთხოვნის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება რომლითაც დაეკისრება მოპასუხეს უკანონო განთავისუფლების გამო განაცდური ხელფასი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და მიუთითა მხოლოდ მე-3 ნაწილის მეორე წინადადებაზე, სადაც დაკონკრეტებული იყო, კონკრეტულად რამდენს შეადგენდა განაცდური ხელფასი იმ ეტაპისათვის. რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით დაარღვია კანონის მოთხოვნები, რადგან სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება გულისხმობს აპელანტის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებას. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მაშინ შეიძლება არ დაკმაყოფილდეს რომელიმე ნაწილი, როცა აპელანტი ამცირებს ან ხსნის თავის მოთხოვნას და ან სასამართლო ნაწილობრივ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა ვ. მ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

სსიპ სოფ. დიდმის ...-ის სახელობის საჯარო სკოლის განმარტებით სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ აპელანტი სააპელაციო საჩივარში იშველებს სკოლის შინაგანაწესის 8.13 პუნქტის მე-4 აზვაცს (თუმცა არ ითვალისწინებს ამავე პუნქტის მე-6 აზვაცს). და თითქოსდა ამ პუნქტის თანახმად, დირექტორს იგი კი არ უნდა გაენთავისუფლებინა, არამედ უნდა გამოეცხადებინა საყვედური ან სასტიკი საყვედური, რითაც იგი ფაქტობრივად აღიარებდა, რომ მან დაკისრებული მოვალეობა არ შეასრულა.

სასამართლო მხედველობაში არ იღებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. სააპელაციო სასამართლო აპელანტის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებაში აღნიშნავს, რომ სკოლაში 2008 წლის 13 მარტს მომხდარი ინციდენტის თაობაზე შს სამინისტროს შესაბამისი სამსახურისათვის სკოლის დირექციას არ უცნობებია.

კასატორის განმარტებით, სასამართლო უდავოდ დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსწავლის დაზიანება გარკვეული არ ყოფილა ვ. მ-შვილის მხრიდან მოვალეობის უპასუხისმგებლო დამოკიდებუ-

ლებით, სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ შინაგანაწესის თანახმად, მან როგორც დირექციის წევრმა -სკოლის პასუხისმგებელმა პირმა საექვოდ არ მიჩნია მოსწავლის დაზიანების ფაქტი და საკუთარი ბრალულობის დაფარვის და პასუხისმგებლობის აცილების მიზნით არ შეატყობინა შესაბამის ორგანოებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა სსიპ სოფ. ...-ის სახელობის საჯარო სკოლამ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ვ. მ-შვილისა და სსიპ "სოფ. ...-ის სახელობის საჯარო სკოლის" საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან ვ. მ-შვილის გათავისუფლების თაობაზე ბრძანებას საფუძვლად დაედო, სკოლის ტერიტორიაზე საგაკვეთილო საათის მიმდინარეობისას ამავე სკოლის ტერიტორიაზე სკოლის მოწაფის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება. ბრძანებაში მითითებულია, რომ წინასწარი მონაცემებით მოსწავლეს მიყენებული ჰქონდა ჭრილობა ცივი იარაღით. როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს, ვ. მ-შვილი ბრძანებას სადავოდ ხდიდა იმ საფუძვლით, რომ ბრძანებაში მითითებული ფაქტი არ მომხდარა. მოსარჩელემ წარმოადგინა შსს ქ. თბილისის მე-6 განყოფილების წერილი, რომლის თანახმადაც, სკოლის ტერიტორიაზე რაიმე ინციდენტი მითითებულ პერიოდში სკოლაში არ მომხდარა. სასამართლომ აღნიშნული დოკუმენტი ვ. მ-შვილის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ მტკიცებულებად მიიჩნია და ბრძანება უკანონოდ იქნა ცნობილი. აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს საკასაციო სასამართლო.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ აპელანტს ზავშვის დაზიანების ფაქტი სადავოდ არ გაუხდია. უფრო მეტიც, სასამართლოს არ უმსჯელია საქმეში წარმოდგენილ სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათის თაობაზე. ეს გარემოებები გამორიცხავს სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ბრძანებაში მითითებული არ მომხდარა. რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენების ფაქტს, გასაჩივრებულ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ამ კონკრეტული გარემოების მიმართ სკოლას მხოლოდ წინასწარი მონაცემები აქვს, ანუ ვ. მ-შვილის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ვაკვეთილების მიმდინარეობის დროს ზავშვის ჯანმრთელობა დაზიანდა და არა ის, რომ ეს დაზიანება გამოწვეული იყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად.

პალატა მიიჩნევს, რომ მოსწავლის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა არ გულისხმობს მხოლოდ დანაშაულის პრევენციას. სკოლა ვალდებულია, აღკვეთოს ნებისმიერი გარემოება, რაც საშიშროებას უქმნის მოსწაფეთა ჯანმრთელობას. პასუხისმგებლობა უნდა დადგეს მიუხედავად იმისა, იარაღით მიადგება ზავშვს დაზიანება თუ სხვა რაიმე მოქმედებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ბრძანებაში მითითებულ ფაქტი - სკოლის მოსწავლისათვის ჯანმრთელობის დაზიანება -ნამდვილად მოხდა სკოლის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ ფაქტის გამო ვ. მ-შვილის განთავისუფლების მართლზომიერებაზე სასამართლოს არ უმსჯელია. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დაგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სკოლის მოსწავლის დაზიანება გამოწვეული არ ყოფილა აღმზრდელობით დარგში ამავე სკოლის დირექტორის მოადგილის მხრიდან შინაგანაწესით სკოლის მოსწავლეებისათვის დადგენილი აკრძალვებზე კონტროლის განუხორციელებლობით. გადაწყვეტილებიდან საერთოდ არ ირკვევა, თუ რა აკრძალვები იგულისხმება განსახილველ შემთხვევაში. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სასამართლოს სააპელაციო საჩივარში მითითებულ საფუძვლები საერთოდ არ გაუხდია მსჯელობის საგნად.

ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც, საქმე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ხელახლა უნდა იქნეს განხილული.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებით უნდა დაადგინოს, თუ რა ვალდებულებები ეკისრებოდა ვ. მ-შვილს საჯარო სკოლაში და რამდენად განაპირობა მისმა ქმედებამ დამდგარი შედეგი. აღნიშნული საკითხის გარკვევა გადაწყვეტამდე შეუძლებელია იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე ვ. მ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მსჯელობა, ამიტომ მითითებული მოთხოვნაც ხელახლა უნდა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. მ-შვილისა და სსიპ "სოფელ ... ვ. ს-შვილის სახელობის საჯარო სკოლის" საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-196-187-2010 6 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 10 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს "ს-მა" (დირექტორი მ. ზ-ძე) მოპასუხეების -ი. დ-ძის, ზ. ა-ძისა და ბ. მ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის თანხების შემდეგნაირად დაკისრება: ი. დ-ძეს -9 111 ლარი, ზ. ა-ძეს -546 ლარი, ბ. მ-ძეს -2 543 ლარი.

სარჩელის თანახმად, მოპასუხეები სხვადასხვა პერიოდში მუშაობდნენ სს "ს-ში", რა დროსაც მათ საზოგადოებისათვის სხვადასხვა დასახელების მატერიალური ფასეულობების შესასყიდად მიიღეს თანხები, რაც დანიშნულებისამებრ არ გამოუყენებიათ. 2007 წლის აგვისტოში ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ სს "ს-ში" ჩაატარა საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება, რაზეც შედგა შესაბამისი აქტი. აღნიშნული შემოწმების აქტით მოპასუხეებზე გაცემული თანხები, რომლის ჩამოწერაც არ იყო დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით, საგადასახადო კოდექსის 174.1 მუხლის მიხედვით განხილულ იქნა, როგორც ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები და დაიბეგრა საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, რითაც საზოგადოებამ განიცადა მატერიალური ზიანი. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, მოპასუხეები ნებაყოფლობით არ აბრუნებდნენ ამიღებულ თანხებს, რამაც განაპირობა მოსარჩელის მიერ მისი კანონიერი უფლებების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა.

სამართლებრივად მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 976-ე მუხლებზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს "ს-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეები -ი. დ-ძე, ზ. ა-ძე და ბ. მ-ძე წარმოადგენდნენ სს "ს-ის" ხელმძღვანელ პირებს და ისინი საზოგადოებაში აღარ მუშაობდნენ 2006 წლიდან. სალაროს გასავლის ორდერები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხეებისათვის თანხების დაკისრებას, გაიცა 2004 წელს და ისინი ამ დრომდე ინახებოდა საწარმოს ბუღალტერიაში. მ. ზ-ძე საზოგადოების დირექტორი იყო 2005 წლიდან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლზე, რომელსაც მოსარჩელე თავის მოთხოვნას აფუძნებდა და რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს მისი უკან დაბრუნება, თუ: ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძველების გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით იმპერატიულადაა განსაზღვრული, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ გავიდა ხანდაზმულობის ვადა.

გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე, 130-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისა-

გან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა; სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს. ამასთან, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია; ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა 2004 წელს საზოგადოების სალაროდან გაცემული თანხების დაბრუნება, შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელებულიყო 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს "ს-სათვის" თავიდანვე, ხოლო მისი ამჟამინდელი დირექტორის - მ. ზ-ძისათვის 2005 წლიდან იყო ცნობილი მოპასუხეებისადმი მოთხოვნის უფლების შესახებ, თუმცა მან სარჩელი სასამართლოში შეიტანა 2009 წელს, რაც ხანდაზმულობის გამო მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "ს-მა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებით სს "ს-ის" სააპელაციო საჩივარი მოპასუხე ზ. ა-ძისათვის 546 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩა განუხილველი, ვინაიდან აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას, კერძოდ, ზ. ა-ძის მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1 000 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით სს "ს-ის" სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება ი. დ-ძისა და ბ. მ-ძის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს "ს-ის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ი. დ-ძეს სს "ს-ის" სასარგებლოდ დაეკისრა 9 111 ლარის გადახდა, ბ. მ-ძეს -2 523 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოპასუხეები - სს "ს-ის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ი. დ-ძე და სამეურნეო ნაწილის გამგე ბ. მ-ძე წარმოადგენდნენ სს "ს-ის" ხელმძღვანელ პირებს და საზოგადოებაში აღარ მუშაობდნენ 2006 წლიდან;

2005 წლიდან სს "ს-ის" დირექტორი იყო მ. ზ-ძე;

2004 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 ივლისამდე განვლილ საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოების სალაროდან ანგარიშვალდებულ პირებზე გაიცა თანხები, რომელთა ჩამოწერაც არ არის დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით, მათ შორის, 2004 წელს ი. დ-ძეზე გაიცა 9 111 ლარი, ხოლო ბ. მ-ძეზე -2 523 ლარი;

სალაროს გასავლის ორდერები, რომელთა საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვდა თანხების დაკისრებას, გაიცა 2004 წელს და აღნიშნულ ორდერებსა და საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 16 აგვისტოს შედგენილი შემოწმების აქტის #10 დანართში დაფიქსირებული თანხები, საზოგადოების სალაროდან მოპასუხეებს მიღებული ჰქონდათ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ი. დ-ძესა და ბ. მ-ძეს, საზოგადოების ინტერესებისათვის, კერძოდ, სარემონტო და სხვა აუცილებელი სამუშაოების წარმოებისათვის მასალების შესაძენად, წინასწარ ჰქონდათ გახარჯული პირადი თანხები და სალაროს გასავლის ორდერებსა და საგადასახადო ინსპექციის #10 დანართში "კრედიტორული დავალიანების დაფარვის მიზნით" დაფიქსირებული თანხები მიღებული ჰქონდათ წინასწარ გახარჯული პირადი თანხების ასანაზღაურებლად. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მხარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ი. დ-ძისა და ბ. მ-ძის მიერ, სალაროს გასავლის ორდერებსა და საგადასახადო ინსპექციის #10 დანართში დაფიქსირებული "ანგარიშვალდებულ პირის" სახით მიღებული თანხებით შეძენილ იქნა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისა და სხვა აუცილებელი სამუშაოებისათვის საჭირო მასალები. ამ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები მოპასუხეს არ წარუდგენია, ხოლო მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, სასაქონლო ზედნადებების ასლებითა და სხვა წერილობითი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა, რომ მათში დაფიქსირებული მატერიალური ფასეულობები სწორედ იმ თანხებით იქნა შეძენილი, რაც სალაროს გასავლის ორდერების საფუძველზე მიიღეს როგორც ანგარიშვალდებულმა პირებმა ან შეიძინეს პირადი თანხებით.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2004 წელს, ი. დ-მეზე 9 111 ლარისა და ბ. მ-მეზე 2 523 ლარის საზოგადოების სალაროდან გაცემა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა, აღნიშნული თანხები საზოგადოების ინტერესებისათვის არ გახარჯულა და არც მათი ჩამოწერის დოკუმენტაცია შედგენილა. თანხის გადაცემას მხარეთა შორის ხელშეკრულება არ ედო საფუძვლად, ვინაიდან ასეთი ხელშეკრულებები მოპასუხეს არ წარუდგენია და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა სათანადო მტკიცებულებებით არ მომხდარა ხელშეკრულების არსებობის ფაქტის დადასტურება.

იმის გათვალისწინებით, რომ ი. დ-მესა და ბ. მ-მეზე თანხების გადაცემა ვალდებულების გარეშე განხორციელდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანი იყო. ამასთან, ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს, ეს მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მოპასუხეთა მიერ სს "ს-ის" სალაროდან თანხის მიღება სახელშეკრულებო ვალდებულებად მიიჩნია და ამ გარემოების გათვალისწინებით სარჩელი ხანდაზმულად ჩათვალია. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია, თუ რამდენად დასაბუთებული იყო სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელს უარი ეთქვა მხოლოდ ერთი საფუძველით - ხანდაზმულობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას, ხოლო სარჩელის მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, კერძოდ, ი. დ-მეს სს "ს-ის" სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 9 111 ლარის, ხოლო ბ. მ-მის სასარგებლოდ - 2 523 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. დ-მემ (წარმომადგენელი ჯ. ქ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძველებს:

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, შესასრულებელი ვალდებულება არ მიიჩნია პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად. რეალურად, თანხები გაიცემოდა პერიოდულად და, შესაბამისად, მათი დაბრუნების ვალდებულებაც მხარეებს ეკისრებოდათ გატანის პერიოდულობიდან გამომდინარე. ასეთი ვალდებულებების მიმართ სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის, 128-129-ე მუხლების თანახმად მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.

სადავო შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ თანხების გატანა არ მომხდარა რაიმე ვალდებულების გამო, თუმცა მხარე არ უარყოფს თანხების საზოგადოებისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების შესაძენად გატანის ფაქტს. საქმეში არსებული საგადასახადო შემოწმების აქტით დადასტურებულია ინვენტარის შეძენა, რასაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია. გარდა ამისა, მოპასუხეებმა წარადგინეს საზოგადოების საქმიანობის ამსახველი აუდიტორული დასკვნა, სადაც გარკვევით ჩანს, რომ შეძენილი ინვენტარი საზოგადოების კუთვნილებაშია. ამდენად, მხარემ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, შეიძინა საზოგადოების საქმიანობისათვის აუცილებელი ინვენტარი, რის გამოც გადაცემული ქონების ღირებულების უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

მოპასუხე ი. დ-მე მუშაობდა სს "ს-ის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ;

2007 წელში სს "ს-ი" შეამოწმა ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ. საგადასახადო შემოწმების 2007 წლის 16 აგვისტოს აქტისა და მისი #10 დანართის თანახმად, 2004 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 ივლისამდე განვილილ საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოების სალაროდან ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემულია თანხები, რომელთა ჩამოწერა არ არის დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით, კერძოდ, ი. დ-მეზე 2004 წელში გაცემულია 9111 ლარი.

მოსარჩელე სს "ს-ის" განმარტებით, მოპასუხემ აღნიშნული თანხები მიიღო საზოგადოებისათვის სხვადასხვა მატერიალური ფასეულობების შესაძენად, მაგრამ არაფერი შეუძენია და არც თანხები დაუბრუნებია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება და მისი ხანდაზმულობის საკითხი.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი სამართალურითიერობა. სწორედ ამგვარად აკვალიფიცირებდა სადავო ურთიერთობას თავად მოსარჩელე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობისათვის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა არის სასამართლოს ვალდებულება და ამასთან დაკავშირებით სასამართლო არ არის შეზღუდული მხარის მოსაზრებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საწარმოს თანამშრომლის მიერ საწარმოს საჭიროებისათვის სხვადასხვა ნივთების შესაძენად საწარმოს სალაროდან თანხის მიღება, თუკი ეს ხორციელდება საზოგადოებასთან შეთანხმებით, არის სახელშეკრულებო ურთიერთობა, სადაც მხარეებს გააჩნიათ შესაბამისი უფლება-მოვალეობანი, მათ შორის, თანხის მიმღებს გააჩნია ვალდებულება, შეიძინოს კონკრეტული ნივთი საწარმოს სახელით და ხარჯზე, ანუ ეს ურთიერთობა შეესაბამება დავალების ხელშეკრულების არსს. სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის მინდობილი ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. ამ შემთხვევაში დავალების ხელშეკრულების შინაარსის გარკვევისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ რწმუნებული ასრულებს მოქმედებებს არა თავისი, არამედ მარწმუნებლის სახელით და მისი მოქმედების შედეგად მესამე პირთან წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილე თვითონ კი არ ხდება, არამედ -მარწმუნებელი. რწმუნებულის მოქმედებით უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა, შეიცვლება და შეწყდება მარწმუნებლისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ი. დ-მეზე საზოგადოების სალაროდან 9111 ლარის გაცემა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილია ი. დ-ძის მიერ საწარმოს სალაროდან თანხების გატანის შესახებ სალაროს გასავლის ორდერები, კერძოდ: 2004 წლის მარტში -2121,75 ლარი, 8 მაისს -893 ლარი, 23 ივნისს -2200 ლარი, 21 ივლისს -950 ლარი, 23 აგვისტოს -188,70 ლარი, 29 სექტემბერს -685 ლარი, 16 დეკემბერს -1685 ლარი, 30 დეკემბერს -1188,05 ლარი. ამასთან, ორდერების ნაწილი დამოწმებულია ხელმძღვანელის ხელმოწერით, ხოლო სამ შემთხვევაში (2004 წლის 8 მაისი, 16 დეკემბერი, 30 დეკემბერი) ორდერს ხელს აწერს მხოლოდ ი. დ-მე და ხელმძღვანელის ხელმოწერა არ ფიგურირებს.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და შეაფასა სალაროს გასავლის ის ორდერები, რომლებზეც ფიგურირებს ხელმძღვანელის ხელმოწერა, საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ნიშნავდა თუ არა აღნიშნული ხელმოწერის არსებობა საწარმოსთან შეთანხმებით დავალების ხელშეკრულების საფუძველზე თანხის გატანას და, ამდენად, სამართლებრივი საფუძვლის არსებობას.

თუკი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა დადასტურდება, შესაბამისად, მოცემული თანხების ნაწილში სადავო სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა და ამ თანხების ნაწილში მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გამოყენებით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, დანარჩენი სამი სალაროს გასავლის ორდერით გათვალისწინებული თანხების მიღებისას, სადაც არ ფიგურირებს საწარმოს ხელმძღვანელის ხელმოწერა, ი. დ-მე მოქმედებდა თუ არა საწარმოსთან შეთანხმებით.

იმ შემთხვევაში, თუკი ი. დ-მეს თანხა გატანილი აქვს საწარმოსთან შეთანხმების გარეშე, თვითნებურად, ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება ზიანის მიყენების (დელიქტის) საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობა და გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა. ამასთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ი. დ-მე საზოგადოების სალაროდან სადავო თანხების გატანის პერიოდში წარმოადგენდა საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ

ასევე უნდა გარკვეოს, აღნიშნული წესით საზოგადოების სალაროდან თანხის გატანა ი. დ-მის შიდასაზოგადოებრივ ფუნქციონალურ ვალდებულებას შეესაბამებოდა, თუ თანხა გატანილია თვითნებურად, მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებით და დარღვეულია თუ არა სადავო პერიოდში მოქმედი "მეწარმეთა შესახებ" კანონის 9.7, 55.10 და 56.4 მუხლებით გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობა, კერძოდ, გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს "მეწარმეთა შესახებ" კანონის 15.1 მუხლით დადგენილი პრეტენზიების ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა, რისი გათვალისწინებითაც სარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია 2004 წლის 10 ივნისამდე გატანილი თანხების ნაწილში, ხოლო 2004 წლის 10 ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით გატანილი თანხების მოთხოვნასთან მიმართებით არ არის ხანდაზმული, რამდენადაც სარჩელი აღძრულია 2009 წლის 10 ივნისს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაზე "მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადის გავრცელების საკითხი დასმულია აპელანტ სს "ს-ის" სააპელაციო საჩივარშიც, თუმცა ამ საკითხზე საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობას.

საქმეში არ მოიპოვება 2004 წლის ივლისში გატანილ 1450 ლარისა და სექტემბერში გატანილი 416 ლარის სალაროს გასავლის ორდერები, თუმცა ამ თანხებზე მითითებულია საგადასახადო შემოწმების აქტის #10 დანართში. სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, რითი ადასტურებს საწარმო, რომ ამ თანხების გატანა ი. დ-მის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტს იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურები, ზედნადებები, ასევე, საგადასახადო აქტის ჩანაწერი ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ი. დ-მის მიერ ნამდვილად შეძენილია ინვენტარი სადავო თანხებით. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში მართლაც წარმოდგენილია მასალები ი. დ-მის მიერ 2004 წლის 15 აპრილს 6800 ლარის ღირებულების სტომატოლოგიური დანადგარებისა და 2005 წლის 15 დეკემბერს 300 ლარის ღირებულების სამედიცინო მასალების შეძენის შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი პერიოდი (2005 წლის 15 დეკემბერი) საერთოდ არ არის მოცემულ საქმეზე სადავო, ასევე, საგადასახადო შემოწმების აქტის #10 დანართით არ არის სადავო 2004 წლის აპრილში გაცემული თანხები, ხოლო 2004 წლის აპრილამდე პერიოდში სადავოა მარტში გაცემული 2121,75 ლარი. გარდა ამისა, საგადასახადო შემოწმების აქტში ნათლად არის საუბარი მხოლოდ ისეთ თანხებზე, რომელთა ჩამოწრაც არ არის დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით, კასატორს კი არ აქვს წამოყენებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია იმის შესახებ, რომ საგადასახადო შემოწმების აქტმა და მისმა #10 დანართმა მოიცვა მის მიერ შეძენილი 6800 ლარის ღირებულების თანხა და რომ 6800 ლარი შედის სადავო თანხაში.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტს, რომ სადავო თანხების სისწორის დასადგენად საჭირო იყო, სს "ს-ს" გაესაჩივრებინა საგადასახადო შემოწმების 2007 წლის 16 აგვისტოს აქტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საგადასახადო შემოწმების აქტის გასაჩივრება მეწარმე სუბიექტის უფლებაა და არა ვალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რა სამართალურთიერთობის ძალით მიიღო ი. დ-მემ საზოგადოების სალაროდან სადავო თანხები და ხანდაზმულია თუ არა სასარჩელო მოთხოვნა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. დ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მტკიცებულებათა შეფასება;
ექსპერტიზის დანიშვნა**

განჩინება

#ას-174-166-2010 12 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: გზით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ფ-ოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ფ-ოვის მიმართ საერთო გზით სარგებლობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე ცხოვრობს მარნეულის რ-ნის სოფ. ე... და არის 311 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მოპასუხემ კანონის დარღვევით, რკინის ჭიშკრით ჩაკეტა მოსარჩელის ნაკვეთთან მისასვლელი გზა. ვ. ფ-ოვ-მა და მისმა მეზობლებმა მოსთხოვეს ქ. ფ-ოვს უკანონო ქმედებათა აღკვეთა და გზის გახსნა, რა მიზნითაც მიმართეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამართალდამცავ ორგანოებსაც. მოპასუხის მიერ სადავო საერთო სარგებლობის გზის უკანონოდ გადაკეტვის ფაქტი დასტურდება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შედგენილი კომისიის 2008 წლის 30 აპრილის აქტით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 8 მაისს გაცემული მიმართვით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსის 2008 წლის 30 მაისის #18 მოხსენებითი ბარათით, 2008 წლის 10 ივნისის მიმართვით, ასევე, საკუთრების მოწმობებითა და საკადასტრო რუკებით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 1998 წელს მარნეულის რაიონის შულავ-რის საკრებულოს მიწის გამანაწილებელმა კომისიამ სოფ. ... მცხოვრებ 24 მაცხოვრებელს, მათ შორის, მოპასუხესაც გამოუყო 1300 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელსაც გააჩნია 8 მეტრის სიგანის ცენტრალური გზა. მოსარჩელის მითითება ქ. ფარაჯოვის მიერ საერთო სარგებლობის გზის გადაკეტვის შესახებ უსაფუძვლოა, რადგან ზემოხსენებული გზა შეუფერხებლად ფუნქციონირებს.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ფ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე ქ. ფ-ოვს დაევალა ხელშეშლის აღკვეთა, საერთო სარგებლობის გზის გათავისუფლება და რკინის ალაყაფის მოხსნა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფ-ოვმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ფ-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ვ. ფ-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: მოსარჩელე ვ. ფ-ოვს მარნეულის რაიონის სოფ. ... საკრებულოს ტერიტორიაზე, სოფ. ... საკუთრების უფლებით გადაეცა 0,311 ჰა #15 მიწის ნაკვეთი. მოპასუხე ქ. ფ-ოვის სახელზე ამავე სოფელში ირიცხება 1300 კვ.მ მიწა. პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ 2002 წლის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო რუკაზე, რომლის მიხედვით, #22 მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა მ. ფ-ოვი, ხოლო #23 სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთისა -ვ. ფ-ოვი. მოცემული საკადასტრო რუკის მონაცემების მიხედვით, #22 და #23 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს შორის დაფიქსირებულია 3,5 მეტრის სიგანის გზა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2004 წელს გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საკადასტრო რუკა, რომლის მიხედვით, მიწის ნაკვეთებს შორის მითითებული 3,5 მეტრის სიგანის გზა არ არის.

პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულ საკადასტრო რუკებს შორის შეუსაბამობებისა და საქმეზე ფაქტობრივი გარემოების დადგენის მიზნით, სპეციალისტმა დაადასტურა ის გარემოება, რომ 2004 წლის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო რუკაზე მოცემულია მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. სპეციალისტის განმარტებით, აღნიშნულს საფუძვლად დაედო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული ბრძანება, რომლის მიხედვით, რეგისტრაციის სრულყოფის მიზნით, საკადასტრო რუკებში შევიდა გარკვეული ცვლილებები და მოქა-

ლაქებს მიეცათ შესაძლებლობა, მათ მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების საფუძველზე შეტანათ ცვლილებები მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის დაზუსტების მიზნით. შესაბამისად, 23-ე მიწის ნაკვეთს მიენიჭა #830910637, ხოლო 21-ე მიწის ნაკვეთს -#830910636. დაზუსტდა აგრეთვე, #23-ე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე -თ. ფ-ოვი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2004 წელს გაცემულ საკადასტრო რუკაზე ერთმანეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებად ასახულია #21 და #23 ნაკვეთები.

აღნიშნული მიწის ნაკვეთების მფლობელების მიერ წარმოდგენილ იქნა რა მათი აზომვითი ნახაზები და საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, მოცემული ნაკვეთები აისახა საკადასტრო რუკაზე. რაც შეეხება #22 მიწის ნაკვეთს, პალატის მითითებით, მის მფლობელად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 2002 წლის საკადასტრო რუკის მიხედვით, აღრიცხულია მიშდგიკ ფარაჯოვი, ხოლო ასეთი პიროვნების მიერ #22 მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარმოდგენილა, შესაბამისად, #22-ე ნაკვეთი მიჩნეულ იქნა დაუზუსტებელ რეგისტრაციად. ამდენად, პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება #22 და #23 მიწის ნაკვეთებს შორის 3,5 მეტრი სიგანის გზის არსებობის შესახებ და არც ვ. ფ-ოვის მოსაზრება, რომ აღნიშნული 3,5 მეტრი სიგანის გზა მიეკუთვნება საერთო სარგებლობის გზას, რადგან საქართველოს პრეზიდენტის #327 ბრძანების (რომლითაც განისაზღვრა საქართველოს მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია), საქართველოს იუსტიციის მინისტრის საჯარო რეესტრის შესახებ #318 ინსტრუქციისა (რომლითაც შესწორება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 13 დეკემბრის ბრძანების მიხედვით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთების საკადასტრო რუკაზე მოცემულია მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ 3,5 მეტრი სიგანის გზა აღი-რიცხებოდა სახელმწიფოს მიერ, იგი აისახებოდა საკადასტრო რუკაზეც.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ საკადასტრო რუკაზე 3,5 მეტრი სიგანის გზა დაფიქსირებული არ არის. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკუთრების უფლება შეუზღუდავი ხასიათის არ არის, თუმცა მისმა შეზღუდვამ სხვა პირის მართლზომიერი მფლობელობის შელახვა არ უნდა გამოიწვიოს. მოცემულ შემთხვევაში პალატამ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება სადავო მიწის ნაკვეთებს შორის საერთო სასარგებლო გზის არარსებობის თაობაზე და ჩათვალა, რომ ქ. ფ-ოვის მიერ სხვისი საკუთრების უფლების შეზღუდვის ფაქტი არ დადასტურდა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მეორე ნაწილით, 174-ე და 176-ე მუხლებით გათვალისწინებული უკანონო ხელშეშლის აღკვეთის საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. ფ-ოვმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მეორე ნაწილი, 174-ე და 176-ე მუხლები, თუმცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. საქმის მასალებითა და საჯარო რეესტრის წარმომადგენლის დაკითხვისას დადგინდა #21 და #22 მიწის ნაკვეთებს შორის საერთო სარგებლობის არსებობის ფაქტი. პალატამ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ უნდა ჰქონდეს ქ. ფ-ოვს აღნიშნული 3,5 მეტრის საერთო სარგებლობის გზა ჭიშკრით გადაკეტილი და რა საფუძველით ეკრძალება კასატორს ამ გზით სარგებლობა. სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ ქ. ფ-ოვმა ჭიშკარი მოაწყო საერთო სარგებლობის გზაზე, რაც უნდა შეფასდეს სადავო გზის სხვა მოსარგებლეთა მიმართ უკანონო ხელშეშლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ფ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ დავაზე გააწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია კანონი, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაეფუძნა იმ ფაქტს, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული სპეციალისტის მითითებით, 3,5 მეტრის სიგანის გზა 2004 წლის მიწის ნაკვეთების საკადასტრო რუკაზე არ ფიქსირდება. ამასთან, აქვე მიეთითა, რომ აღნიშნული გზა ძველ საკადასტრო რუკაზე არსებობდა და იგი განთავსებული იყო #22 და #23 მიწის ნაკვეთებს შორის. ამავე ექსპერტმა განმარტა, რომ, ვინაიდან #22 მიწის ნაკვეთი არის დაუზუსტებელი რეგისტრაცია, შესაბამისად, #21 და #23 მიწის ნაკვეთები გახდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთები.

სააპელაციო პალატამ მთლიანად გაიზიარა სპეციალისტის განმარტება ისე, რომ სრული და ობიექტური შეფასება არ მიუცია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისთვის, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ 2004 წლამდე სადავო გზის არსებობაზე. აღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, არ შეუფასებია. ამავე კოდექსის 249-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს მოსაზრებანი, რომლითაც უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. მოცემული სასარჩელო მოთხოვნა ემყარება სწორედ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ საერთო სარგებლობის გზა მოპასუხის უკანონო ქმედებით მოშლილია და ამჟამად აღარ არსებობს. ამდენად, საკადასტრო რუკაში ამჟამინდელი მდგომარეობით მისი დაუფიქსირებლობა, უდავოდ არ ადგენს არსებული გზის მოშლის კანონიერებას და, შესაბამისად, სასამართლოს უნდა შეეფასებინა სადავო გზის გაუქმების კანონიერება.

სასამართლო გზის ამჟამინდელი მდგომარეობით არარსებობასთან მიმართებით უთითებს #22 მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელ რეგისტრაციაზე, თუმცა არ ასაბუთებს, რა გავლენას ახდენს დამოუკიდებელი მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის დაუზუსტებლობა საერთო სარგებლობის გზის გაუქმებაზე.

ამავდროულად, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ უძრავი ნივთის-მიწის ნაკვეთის მიმართ მოქმედებს რა სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციაში ცვლილებები უნდა დასაბუთდეს არა სპეციალისტის მიერ საკადასტრო რუკების შეფასებით, არამედ სათანადო ოფიციალური მტკიცებულებებით, რომლითაც უტყუარად უნდა გაირკვეს მარეგისტრირებული ორგანოს მიერ ამა თუ იმ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას განხორციელებული ცვლილების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული საკითხის გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, შესაბამისად, სასამართლოს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლით გათვალისწინებული ექსპერტიზის დანიშვნის უფლება.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, რეალურად არსებობდა თუ არა სადავო გზა;

დადებით შემთხვევაში, ვინ იყო მისი მესაკუთრე და მესაკუთრეს ხომ არ გაუსხვისებია იგი;

რა განაპირობებს საქმეში წარმოდგენილ საკადასტრო რუკებში არსებულ სხვაობას სადავო გზასთან მიმართებით;

თუკი სასამართლო დაასკვნის საერთო სარგებლობის გზის აღდგენის აუცილებლობას, ამავდროულად უნდა შეფასდეს, რამდენად არის გზის აღდგენა აუცილებელი და შესაძლებელი ისე, რომ არ დაირღვეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა ინტერესები.

მხოლოდ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ შეიძლება შეფასდეს, დაირღვა თუ არა მოცემულ დავაზე სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე, 174-ე მუხლების მოთხოვნები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ფ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მტკიცების ტვირთი ;
მტკიცებულებათა შეფასება**

განჩინება

#ას-194-185-2010 20 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურება, დავალიანებისა და პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ტ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს. რ-ის“ მიმართ დავალიანების -320223,75 ლარის, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2008 წლის 20 მარტიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე ყოველდღიურად აღნიშნული თანხის 0,021%-ის გადახდის, დავალიანების -198508,36 ლარისა და 2007 წლის 20 მარტიდან მის დაფარვამდე ყოველდღიურად ამ თანხის 0,021%-ის ანაზღაურების, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.2 პუნქტის თანახმად, ზიანის ასანაზღაურებლად 13577,50 ლარის დაკისრებისა და პირგასამტეხლოს -166405,2 აშშ დოლარის გადახდევინების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 9 იანვარს შპს „ს. რ-მ“ გამოაცხადა ტენდერი ვაგონების წყვილთვალეების საქარხნო შესაკეთებელი სამუშაოების შესყიდვის შესახებ, სადაც გაიმარჯვა შპს „ტ-მა“ და 2007 წლის 22 მარტს მხარეთა შორის დაიდო სახელ-მწიფო შესყიდვის შესახებ #შს/07-088 ხელშეკრულება, რომლის მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 3520000 ლარს. ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილის -ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-3 მუხლის 3.4 პუნქტით, მიმწოდებელს -შპს „ტ-ს“ უნდა უზრუნველყო შემსყიდველის -შპს „ს. რ-ის“ მომსახურება, ანუ ვაგონების წყვილთვალეების შეკეთება საქარხნო პირობებში და შემსყიდველისათვის მიწოდება დადგენილი გრაფიკით. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტით, ანგარიშსწორების ფორმა უნდა ყოფილიყო გაყოფადი, გამოუთხოვადი აკრედიტივი, ხოლო 6.4 პუნქტის მიხედვით, ანგარიშსწორების კონსიგნაციის წესზე გადასვლის შემთხვევაში, ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლის დაცვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის ვადაში.

მხარეებმა გაითვალისწინეს საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომელიც შპს „ტრანსტრეიდს“ უნდა წარედგინა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯიამ“ გასცა საბანკო გარანტია შესაბამისი თანხით, რომელიც შპს „ტ-მა“ მოპასუხეს წარუდგინა შეთანხმებული ვადის დაცვით -2007 წლის 27 მარტს, თუმცა მოპასუხემ ვერ განახორციელა რა ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის შესაბამისად აკრედიტივის გახსნა, მხარეებს შორის 2007 წლის 17 აპრილს დაიდო #1 შეთანხმება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #შს/07-088 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

მოპასუხემ დაარღვია 2007 წლის 17 აპრილის #1 შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება საბანკო გარანტიების წარდგენის შესახებ, მაგრამ შპს „ტ-მა“ 2007 წლის 27 სექტემბერს დაიწყო ვალდებულების შესრულება. მოპასუხეს სხვადასხვა ანგარიშ-ფაქტურებით მიეწოდა სხვადასხვა ღირებულების შესრულებული სამუშაო, რაზეც მხარეთა შორის ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული ანგარიშ-ფაქტურებით მოპასუხეს მიეწოდა 2031110,40 ლარის შესრულებული სამუშაო, რაზედაც მოპასუხემ ანგარიშსწორება განახორციელა მხოლოდ 1556090,02 ლარის ოდენობით და გადასახდელი დარჩა 475020,38 ლარი, საიდანაც მოსარჩელე 154796,63 ლარის გადახდის საკითხს სადავოდ არ ხდის.

2006 წლის 24 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #შს/06-230 ხელშეკრულება, რომლის მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 236300 ლარს. შპს „ტ-ს“ უნდა უზრუნველყო შემსყიდველისათვის მომსახურება, ანუ ვაგონების წყვილთვალეების არტახების მიწოდება 2006 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. საქონლის მიწოდება უნდა დაწყებულიყო აკრედიტივის გახსნიდან 35 კალენდარულ დღეში მიწოდების გრაფიკის შესაბამისად. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება აკრედიტივის შეთანხმებულ ვადაში გახსნის შესახებ და აკრედიტივი გახსნა 2006 წლის 13 სექტემბერს 2007 წლის 15 იანვრამდე. შესაბამისი ვადით გადაიწია მიწოდების გრაფიკმაც. 2006 წლის ოქტომბრის დასწყისიდან, რუსეთის ფედერა-

ციის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, შეწყდა რუსეთიდან საქართველოში საზღვაო, საჰაერო და სარკინიგზო მიმოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ტ-მა“ უზრუნველყო რუსეთის ფედერაციის შესაბამის ქარხანასთან დასახელებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ზემოაღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად მიწოდება შეფერხდა და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში საქონელი მოპასუხეს ვერ გადაეცა, რის შესახებაც მოსარჩელემ წერილებით აცნობა შპს „ს. რ-ს“ და სთხოვა, საქონლის მიწოდების ვადის გაგრძელება 2007 წლის მარტამდე და საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლება.

2007 წლის 9 თებერვალს #360809 ანგარიშ-ფაქტურით მოპასუხეს მიეწოდა 199770,66 ლარის ღირებულების ვაგონების წყვილთვალეების არტახები, რაზედაც მან 2007 წლის 20 მარტს ანგარიშ-სწორება მოახდინა უნაღდო კონსიგნაციის წესით 1262,36 ლარის ოდენობით, ვინაიდან აკრედიტივს 2007 წლის 15 იანვარს ვადა გაუვიდა და გადასახდელი დარჩა 198508,3 ლარი. ამდენად, მოპასუხემ დაარღვია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება.

2007 წლის 13 მარტს მხარეებს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #შს/07-075, შს/07-077, შს/07-079 ხელშეკრულებები, რომელთა მთლიანი ღირებულება დღ-ს გარეშე შეადგენდა 271550 ლარს. ამ ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილის -ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამისად, შპს „ტ-ს“ 2007 წლის 31 მაისამდე უნდა უზრუნველყო შპს „ს. რ-ს“ მომსახურება -სალოკომოტივო მარაგანაწილების მიწოდება. მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება აკრედიტივების გახსნის შესახებ, მას ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით გათვალისწინებული ზიანის სახით უნდა დაეკისროს 271550 ლარის 5%-ის 13577,50 ლარის გადახდა.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მხარეებს შორის დადებული 2006 წლის 1 მაისის #შს/06-114, 2006 წლის 23 მაისის #შს/06-140 და #შს/06-141, 2006 წლის 24 ივლისის #შს/06-230, 2006 წლის 31 ივლისის #შს/06-260 და შს/06-261 ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილების -ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-3 მუხლის მე-2 წინადადებით, შპს „ტ-ს“ საქონლის მიწოდება უნდა დაეწყოს შპს „ს. რ-ს“ მიერ აკრედიტივის გახსნიდან 35 კალენდარულ დღეში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების 0,1% ოდენობით.

2006 წლის 1 მაისის #შს/06-114 ხელშეკრულების შემთხვევაში მოპასუხემ აკრედიტივის გახსნა დაავიანა 20 დღით, ამდენად, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 7295,6 აშშ დოლარს, 2006 წლის 23 მაისის #შს/06-140 ხელშეკრულების შემთხვევაში -14 დღით, რის გამოც პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 2051,812 აშშ დოლარს, #შს/06-141 ხელშეკრულების შემთხვევაში -14 დღით, პირგასამტეხლოს ოდენობაა 3885,686 აშშ დოლარი, #შს/06-230 ხელშეკრულების შემთხვევაში -37 დღით, პირგასამტეხლოს ოდენობაა 8743,1 აშშ დოლარი, #შს/06-260 ხელშეკრულების შემთხვევაში -9 დღით, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს 8073 ლარს, #შს/06-261 ხელშეკრულების შემთხვევაში -62 დღით, ამდენად, პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 14429 აშშ დოლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელემ აღიარა მის მიერ #შს/07-088 ხელშეკრულების პირობების დარღვევა და 3.4 მუხლით შეთანხმებული გრაფიკის გადაცილებით სამუშაოს მიწოდების ფაქტები. აღნიშნულის შესაბამისად, მოპასუხემ მას დაარიცხა ყოველ დაგვიანებულ დღეზე პირგასამტეხლოს თანხა, რაც საბოლოოდ გამოუქვითა მოსარჩელეს ასანაზღაურებელ თანხაში. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 320223,75 ლარი, ისევე როგორც 198 508,36 ლარი სწორედ გრაფიკის დაგვიანებით მიწოდებულ სამუშაოზე დარიცხულ და მოპასუხის მიერ გამოქვითულ პირგასამტეხლოს წარმოადგენს.

მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა მოთხოვნა აკრედიტივის გაუხსნელობის გამო რკინიგზისათვის ზიანის დაკისრების შესახებ, რის გამოც სარჩელს ამ ნაწილშიც უნდა ეთქვას უარი. აკრედიტივის დაგვიანებით გახსნა არ შეიძლება ჩითვალოს მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევად და ნაკისრი ვალდებულებების ისეთ შეუსრულებლობად, რისთვისაც კანონმდებლობა ითვალისწინებს პირგასამტეხლოს დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ტ-ს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ს. რ-ს“ შპს „ტ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 320223,75 ლარის, ასევე 198508,36 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შპს „ტ-მა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, ხოლო მოთხოვნის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს „ს. რ-მ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს „ტ-ს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება შპს „ს. რ-სთვის“ 13577,50 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 13 მარტს შპს „ს. რ-სა“ და შპს „ტ-ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ##შს\07-075, შეს\07-076, შეს\07-077, შეს\07-078, შეს\07-079 ხელშეკრულებები, რომელთა მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენდა 271550 ლარს. ამ ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილის, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს - შპს „ტ-ს“ 2007 წლის 31 მაისამდე უნდა უზრუნველყო შემსყიდველის - შპს „ს. რ-ს“ მომსახურება -სალოკომოტივო მარაგნაწილების მიწოდება. ხელშეკრულებების სპეციფიკური პირობების მე-6 მუხლით, ანგარიშსწორების ფორმა უნდა ყოფილიყო გაყოფადი, გამოუთხოვადი აკრედიტივი. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელს მოეთხოვებოდა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა: მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დედანი და ერთი ასლი). ხელშეკრულებების სპეციფიკური პირობების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით, აკრედიტივის გახსნა შპს „ს. რ-ს“ უნდა უზრუნველყო შპს „ტ-ს“ მიერ საბანკო გარანტიის წარდგენიდან არა უგვიანეს 15 საბანკო დღისა. მოსარჩელის განმარტებით, სს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიას“ 2007 წლის 16 მარტის #02\42-622 საბანკო გარანტია, თანხით 13578 ლარი, მოპასუხე შპს „ს. რ-ს“ წარედგინა 2007 წლის 16 მარტს. მაშასადამე, მოპასუხეს, ხელშეკრულების დასახელებული მუხლის შესაბამისად, 271 550 ლარის აკრედიტივები უნდა გაეხსნა არა უგვიანეს 2007 წლის 6 აპრილისა.

სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოპასუხემ დაარღვია ნაკისრი ვალდებულება და აკრედიტივების გახსნა ვერ უზრუნველყო. შპს „ტ-მა“ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ვადის გადაცილებით, რის საფუძველზეც მოპასუხემ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის შესაბამისად, ყოველი დაგვიანებული დღისათვის შპს „ტრანსტრეიდს“ დააკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებების 0.1%-ის ოდენობით (დასახელებული თანხა, მოპასუხემ გაქვითა ანგარიშსწორების თანხიდან). მითითებული ხელშეკრულებების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს აუნაზღაურონ შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5% ზიანის ანაზღაურების სახით. ამდენად, სასამართლომ საქმის მასალებით უდავოდ დაადგინა, რომ შპს „ს. რ-მ“ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება (აკრედიტივის გახსნა) ბრალეულად არ შეასრულა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა აკრედიტივის გაუხსნელობით (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით) მიყენებული ზიანის არსებობა. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობების მოსაწესრიგებლად არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 404-ე, 411-ე, 412-ე მუხლები, რადგან განსახილველ შემთხვევაში მითითებული ნორმებით განსაზღვრული დანაწესების გამოყენების საფუძველი არ არსებობს, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრება და არა ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანი. პალატის მითითებით, პირგასამტეხლოს ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლში. პირგასამტეხლო მოვალეს უპირობოდ ეკისრება იმის მიუხედავად, ვალდებულების დარღვევით კრედიტორმა ზიანი განიცადა თუ არა. ვალდებულების დარღვევის ფაქტი საკმარისი მტკიცებულებაა პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურებისათვის კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი ოდენობა. შესაბამისად, გაზიარებულ უნდა იქნეს შპს „ტ-ს“ სააპელაციო საჩივრის მითითება, რომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს მხოლოდ ის, ნამდვილად დაარღვია თუ არა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხემ და არა ის, თუ რა ზიანი მიადგა მოსარჩელეს ამ დარღვევის შედეგად. შესაბამისად, პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ ამ ნაწილში მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა აკრედიტივის გაუხსნელობით მიყენებული ზიანის არსებობა და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს, რაც თავის მხრივ ქმნის ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების წინაპირობას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო პრეტენზია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა შპს „ტ-ს“ დავალიანების არსებობა. პალატა ამ ნაწილში სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, რომ შპს „ს. რ-ს“ სასამართლოსათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით შედგენილი მტკიცებულებები არ წარუდგენია, რაც დაადასტურებდა მის მიმართ მოსარჩელის დავალიანების არსებობას. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტმა ვერ შესძლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასარჩელო მოთხოვნების წინააღმდეგ შესაგებელში მის მიერ მითითებული გარემოებების დადასტურება.

ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც სარჩელზე უარის თქმის საფუძველი არ იარსებებდა, რადგან შპს „ს. რ-ს“ სასამართლოში ასევე არ წარუდგენია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ სამოქალაქო კოდექსის ნორმებით გათვალისწინებული წინაპირობების დამადასტურებელი მტკიცებულებები. პალატამ ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხის ამ არგუმენტის უსაფუძვლობაც სათანადოდ დაასაბუთა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ს. რ-მ“ გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველად სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 404-ე, 411-ე და 992-ე მუხლებზე. დაუსაბუთებელია აღნიშნულის საწინააღმდეგოდ პალატის მსჯელობა, რომ დასახელებული ნორმების ნაცვლად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ამავე კოდექსის 417-ე მუხლი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრება და არა ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

შპს „ტ-ს“ მოთხოვნა კასატორისათვის შს/07-75, შს/07-076, შს/07-077, შს/07-078 და შს/07-079 ხელშეკრულებების საერთო ღირებულების -13577,50 ლარის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებათა 7.2 პუნქტი, რომელშიც მითითებულია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან, აუნაზღაურონ ერთმანეთს შესრულებული ვალდებულების 5% ზიანის ანაზღაურების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, 13 577 ლარი, რომლის ანაზღაურებაც სააპელაციო სასამართლომ შპს „ს. რ-ს“ უსაფუძვლოდ დააკისრა, წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურებას, რომლის ოდენობის დათვლის მექანიზმიც (შეუსრულებელი ვალდებულების 5%) მხარეებმა განსაზღვრეს ხელშეკრულებებით. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, რომელიც გულისხმობს არაკეთილსინდისიერი მხარისათვის ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო ე.წ. ფინანსური სანქციის გამოყენებას, მასზე საუბარია ამავე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში. ამდენად, უდავოა, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით ცალ-ცალკე განსაზღვრეს, როგორც პირგასამტეხლოს ოდენობა, ისე ზიანის ოდენობის დადგენის მექანიზმი და სააპელაციო პალატამ 13 577 ლარი პირგასამტეხლოდ არასწორად მიიჩნია, ვინაიდან ხელშეკრულებით იგი გათვალისწინებულია, როგორც ზიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უსაფუძვლოდ იხელმძვანელა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით მაშინ, როცა მოცემულ შემთხვევაში არსებობდა 404-ე, 411-ე და 412-ე მუხლების გამოყენების წინაპირობები.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა რა სასამართლოს დასაბუთებას, არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 442-445-ე მუხლები, რომელიც ეხება ვალდებულების შეწყვეტას მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის გზით. შპს „ს. რ-მ“ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა შპს „ტრანსტრიდის“ მხრიდან დავალიანების არსებობის ფაქტს, რაც ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის აუცილებელია, თუმცა სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულებები უკანონოდ არ გაიზიარა და მიუთითა, რომ შპს „ს. რ-ს“ მიერ წარდგენილი ცხრილები და გაანგარიშებები უფლებამოსილი და მითითებულ მონაცემთა სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერებით დამოწმებული არ არის, შესაბამისად, მათ ოფიციალური საბუღალტრო დოკუმენტის სახე არა აქვთ.

შპს „ს. რ-ს“ მიერ წარდგენილი ცხრილები წარმოადგენდა შპს „ტ-თან“ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამის ბუღალტრულ გაანგარიშებას, სადაც დეტალურად იყო ნაჩვენები ხელშეკრულებების შესაბამისი ბუღალტრული გაანგარიშება, მისი მიმდინარეობა და იგი უნდა მიჩნეული-

ყო სადავო გარემოების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად, ხოლო ის ფაქტი, რომ ბუ-
ღალტრული გაანგარიშებებიდან მისი შემდგენლის ვინაობა არ ჩანდა, არ წარმოადგენს აღნიშნულ
დოკუმენტებში ეჭვის შეტანის საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწ-
ყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ს. რ-ს“ საკასა-
ციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გან-
ჩინება შპს „ს. რ-სათვის“ შპს „ტ-ს“ სასარგებლოდ 13577 ლარისა და 50 თეთრის დაკისრების
ნაწილში გაუქმდეს და საქმის წარმოება შპს „ტ-ს“ სარჩელის გამო შპს „ს. რ-სათვის“ 13577
ლარისა და 50 თეთრის დაკისრების ნაწილში შეწყდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება
უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხა-
რეთა განცხადებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამავე კო-
დექსის მე-3 მუხლით აღიარებულია რა მხარეთა უფლებების დაცვა დისპოზიციურობის პრინცი-
პით, მხარე უფლებამოსილია, სარჩელის სასამართლოში წარდგენით დაიცვას დარღვეულად მიჩნე-
ული უფლება. ამავდროულად, მას შეუძლია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას ამ
უფლების დაცვაზე, რაც სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია. ამდენად, შპს „ტ-
ს“ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში დავის განხილვისას შპს „ტ-ს“ სათანადო უფ-
ლებამოსილებით აღჭურვილმა წარმომადგენელმა უარი განაცხადა მხარეთა შორის დადებული ხელ-
შკერულების 7.2 პუნქტის საფუძველზე შპს „ს. რ-სათვის“ 13577 ლარისა და 50 თეთრის ოდე-
ნობით პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმა-
ყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი. ამავე კო-
დექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებუ-
ლად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წა-
მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო ამოწმებს რა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარ-
გლებში, თვლის, რომ კასატორის მიერ მითითებული კანონის დარღვევა არ მომხდარა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს „ს. რ-ს“ სააპელაციო პრეტენზია, რომ საქმეში
წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა შპს „ტ-ს“ დავალიანების არსებობა და მიუთი-
თა, რომ შპს „ს. რ-ს“ სასამართლოსათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით შედგე-
ნილი მტკიცებულებები არ წარუდგენია, რაც დაადასტურებდა მის მიმართ მოსარჩელის დავალია-
ნების არსებობას. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია
არ წარმოუდგენია, უფრო მეტიც, მოთხოვნასთან დაკავშირებით საკასაციო საჩივრით შპს „ს. რ-
ს“ იგივე საფუძვლები აქვს დასახელებული, რაც სააპელაციო საჩივარში.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მითითება,
რომ შპს „ს. რ-ს“ მიერ წარდგენილ ბუღალტრულ გაანგარიშებებზე შემდგენლის ვინაობის გაურ-
კვევლობა არ წარმოადგენს მასში ეჭვის შეტანის საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, მხარეთა შორის გა-
დანაწილებულია რა მტკიცების ტვირთი, თითოეულმა მხარემ უნდა დაადასტუროს ის გარემოებე-
ბი, რომლებზეც იგი თავის მოთხოვნასა და შესაგებელს ამყარებს. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის
მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რო-
მელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც
მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის
შესახებ.

ამდენად, შპს „ს. რ-მ“ კანონით დადგენილი წესით ვერ დაადასტურა შპს „ტ-ს“ დავალიანე-
ბის არსებობა და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის საფუძვლიანობა, რაც სავსებით სწორად შეფას-
და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით. აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყო-
ფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 410-ე მუხლებით
და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "ს. რ-ს" საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს "ს. რ-სათვის" შპს "ტ-ს" სასარგებლოდ 13577 ლარისა და 50 თეთრის დაკისრების ნაწილში.

შეწყდეს საქმის წარმოება შპს "ტ-ს" სარჩელის გამო შპს "ს. რ-სათვის" 13577 ლარისა და 50 თეთრის დაკისრების ნაწილში.

დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

#ას-526-836-09 22 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. დ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. და თ. უ-ძეების, ჟ. ხ-აზის, ქ. ბათუმის ნოტა-რიუსების -ლ. ჭ-ასა და ხ. კ-შვილის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებებსა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: გ. დ-მემ 1996 წლის 12 სექტემბერს, სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძინა ფირმა "შ-სა-გან" ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში მდებარე 24 კვ.მ მაღაზია, რომელიც შეადგენდა ამავე მისამართზე არსებული 910 კვ.მ მიწაზე განლაგებული შენობა-ნაგებობის 1/12 ნაწილს. ხსენებული ყიდვა-გაყიდვის გარიგების საფუძველზე მოსარჩელის საკუთრებაში გადავიდა ასევე თანასაკუთრებაში არსებული 910 კვ.მ მიწის 1/12 -75 კვ.მ. იმ დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, უძრავ ნივთზე წარმოშობილი საკუთრების უფლება გ. დ-მემ აღრიცხა ქ.ბათუმის მერიის ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში. 1995 წლის სექტემბერში ქ.ბათუმის მერიის ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების თანახმად, ქ.ბათუმში, შ... ქ#16-ში არსებული თანასაკუთრების 3/11-ს ფლობდა ა. კ-ია, ამდენივეს -ხ. კ-ია, ხოლო 5/11 ნაწილს -ჟ. ხ-აზი. 1999 წლის 23 აპრილს ა. უ-ძემ ხ. კ-იასაგან შეიძინა თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული წილი, ხოლო თ. უ-ძემ -ა. კ-იას მემკვიდრე თ. გ-ორისაგან მამკვიდრებლის კუთვნილი წილი.

ხ. კ-იას სახელზე 1999 წლის 23 აპრილს გაცემულ ცნობა-დახასიათებაში თანასაკუთრების წილობრივ მონაცემებში გ. დ-მის საკუთრებად მითითებულია სახლთმფლობელობის 3/11, ხ. კ-იას საკუთრებად -3/11, ხოლო ჟ. ხ-აზის -7/11 ნაწილი. ა. უ-ძესა და ხ. კ-იას შორის დადებულ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში 910 კვ.მ მიწის ნაცვლად, მითითებულია 608 კვ. მეტრი. თ. უ-ძის მიერ 2003 წლის პირველ დეკემბერს თ. გ-ორისაგან სახლთმფლობელობის 3/11 წილის შეძენის შესახებ გარიგებაში თ. გ-ორის საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია #3058 სარეგისტრაციო მოწმობა და ა. კ-იას მიერ ქ.ბათუმში, ... ქ#18-ში უკანონოდ აშენებული სახლისა და მისი ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარების შესახებ ქ. ბათუმის მერიის 1997 წლის 11 აპრილის #148 გადაწყვეტილება, სადაც თ. გ-ორის საკუთრებად მითითებულია 302 კვ.მ მიწა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 3 ივლისს გაცემული პასუხის თანახმად, ქ.ბათუმის მერიის კაბინეტის 1997 წლის 11 აპრილის #148 გადაწყვეტილებით რეგისტრირებულ იქნა ა. კ-იას მიერ ქ.ბათუმში, ... ქ#18-ში მდებარე

302 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უკანონოდ აშენებული სახლი და მას მიენიჭა მისამართი -... ქ#18⁰, ამასთან, ქ.ბათუმის მერიის გადაწყვეტილებისა და ექსპლუატაციაში მიღების აქტის საფუძველზე ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში მდებარე უძრავი ქონება თანამესაკუთრებზე წილობრივად გადანაწილდა შემდეგნაირად: გ. დ-ძეს -1/11, ჟ. ხ-აზს -7/11, ხოლო ა. უ-ძეს -3/11. სახლთმფლობელობის საერთო ფართი შეადგენდა 602 კვ.მ-ს. ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივის მასალების თანახმად, ფირმა "მხარაზე" ირიცხება 243 კვ.მ შენობა-ნაგებობის 1/12, რაც მოსარჩელემ 1996 წლის 12 სექტემბერს გაფორმებული #4291 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა. 1997 წლის 11 აპრილის ქ.ბათუმის მერიის კაბინეტის #148 გადაწყვეტილებით რეგისტრირებულ იქნა ა. კ-იას მიერ უკანონოდ აშენებული სახლი, მდებარე ქ.ბათუმში, ... ქ#18-ში და აღნიშნულმა რეგისტრაციამ გავლენა ვერ უნდა მოახდინოს ამავე ქუჩის #16-ში მდებარე მიწის ფართობზე. საარქივო ცნობის თანახმად, ა. კ-იას საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია 1958 წელს მ.კ-ძის მიერ ქ.ბათუმში, ... ქ#18-ში მდებარე 910 კვ.მ მიწის ნაკვეთზე არსებული ხის სახლთმფლობელობის ნაწილის -227 კვ.მ მიწის ჩუქება, სადაც ა. კ-იამ უკანონოდ ააშენა ზემოხსენებული სახლი. საჯარო რეესტრის მიერ ჯერ თ. გ-ორისა და შემდეგ თ. უ-ძის საკუთრებად ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში არსებული 910 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 302 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოცალკევებულად აღრიცხვით დაირღვა "მიწის რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე და მე-15 მუხლების მოთხოვნები, ასევე გ. დ-ძის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგების საგანზე მხარეთა საკუთრების წილობრივი მონაცემები, რადგან, აღნიშნული გარიგების თანახმად, მოსარჩელეს ეკუთვნის ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში არსებული 910 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე სახლთმფლობელობის 1/12 ნაწილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ.ბათუმის ნოტარიუს ო. ჭ-შვილის მიერ 1999 წლის 23 აპრილს დამოწმებულ ხ. კ-იასა და ა. უ-ძეს შორის დადებულ სახლთმფლობელობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთის ოდენობად მიეთითა 910 კვ.მ, ხოლო ნოტარიუს ლ.ჭ-იას მიერ 2003 წლის პირველ დეკემბერს დამოწმებულ თ. გ-ორსა და თ. უ-ძეს შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში და ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში თ. გ-ორის საკუთრებად მიეთითა 910 კვ.მ მიწის ნაკვეთი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში არსებულ საკუთრების მონაცემებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, გაუქმდა თ. გ-ორის, შემდეგ თ. უ-ძისა საკუთრებაში გამოყოფილი 302 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღრიცხვა და ა. უ-ძის, თ. უ-ძის, ჟ. ხ-აზისა და გ. დ-ძის საერთო საკუთრებად მიეთითა 910 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ალიოშა და თ. უ-ძეების წარმომადგენელმა დ. შ-იძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე, ა. და თ. უ-ძეების სააპელაციო საჩივრის გამო, გადაეცა განსჯად სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით თ. უ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებით ა. უ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ცვლილება იქნა შეტანილი ქ.ბათუმის ნოტარიუს ო. ჭ-შვილის მიერ 1999 წლის 23 აპრილს დამოწმებულ ხ. კ-იასა და ა. უ-ძეს შორის დადებულ სახლთმფლობელობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში და ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთის ოდენობად მიეთითა 910 კვ.მ მიწა, ასევე მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა შესწორების შეტანა ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში არსებულ საკუთრების მონაცემებში და თ. უ-ძის, ა. უ-ძის, ჟ. ხ-აზისა და გ. დ-ძის საერთო საკუთრებად მიეთითა 910 კვ.მ მიწის ნაკვეთი შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით თ. უ-ძის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად და კანონიერ ძალაში შევიდა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შესწორება იქნა შეტანილი ნოტარიუს ლ. ჭ-იას მიერ 2003 წლის პირველ დეკემბერს დამოწმებულ თ. გ-ორსა და თ. უ-ძეს შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში და ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში თ. გ-ორის საკუთრებად მიეთითა საერთო საკუთრების ფართის 910 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ასევე მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის

სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა შესწორების შეტანა ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში არსებულ საკუთრების მონაცემებში იმგვარად, რომ აღნიშნულ მისამართზე გაუქმდა ჯერ თ. გ-ორის, ხოლო შემდეგ თ. უ-ძის საკუთრებაში ცალკე გამოყოფილი 302 კვ.მ მიწის ნაკვეთის აღრიცხვა. გ. დ-ემ ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში ფირმა "შ-საგან" შეიძინა 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი და აღნიშნული გარიგება გაფორმდა სანოტარო წესით. ბათუმის მერიის ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის 1996 წლის პასუხის თანახმად, გარიგების დადების დროისათვის, აღნიშნული უძრავი ნივთი მდებარეობდა 910 კვ.მ მიწაზე და მისი 3/11-ს ფლობდა ა. კ-ია, 3/11-ს -ბ. კ-ია, ხოლო 5/11 -ჟ. ხ-აზი.

1999 წლის 23 აპრილს ბ. კ-იას კუთვნილი წილი შეიძინა ა. უ-ძემ. ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის 1999 წლის 23 აპრილის ცნობა-დახასიათებაში ნასყიდობის საგნად მითითებულია ... ქ#16, ხოლო სახლთმფლობელობის მესაკუთრეებად მითითებული არიან გ. დ-მე, ბ. კ-ია და ჟ. ხ-აზი. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნის მისამართად მითითა ... ქ.#18, საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთის ოდენობად კი 910 კვ.მ მიწის ნაცვლად 608 კვ.მ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 10 მარტის #3857, 2006 წლის 23 მარტის #1077 და 2007 წლის 31 ივლისის პასუხებზე დაყრდნობით პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ 1974-80 წლების მდგომარეობით ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში 910 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სახლთმფლობელობის 1/4 აღრიცხული იყო მ. კ-ძის, 1/4 -ა. კ-იას, ხოლო 1/2 -ა. შ-ძის სახელზე.

ქ.ბათუმის მერიის 1997 წლის 11 აპრილის #148 გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების შედეგად მიღებული აქტის საფუძველზე სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარდა ა. კ-იას მიერ უკანონოდ აშენებული სახლი და მის მემკვიდრე თ. გ-ორს 910 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან გამოეყო 302 კვ.მ, რის გამოც საერთო საკუთრებაში დარჩა 608 კვ. მეტრი. ასევე შეიცვალა მესაკუთრეთა წილობრივი მონაცემები -გ. დ-ძის საკუთრებად აღრიცხა საერთო ფართის 1/11, ჟ. ხ-აზის საკუთრებად -7/11, ა. უ-ძის -3/11 ნაწილი. სახლთმფლობელობის საერთო ფართმა შეადგინა 216 კვ.მ, რომელიც მდებარეობდა 608 კვ.მ მიწაზე. საქმეში წარმოდგენილი ტექნიკური აღრიცხვის ბარათის თანახმად, ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში მდებარე 910 კვ.მ მიწაზე განთავსებული სახლთმფლობელობის 1/4 1958 წლის 18 ივნისის სანოტარო წესით შედგენილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა ა. კ-იას, რაც საარქივო მონაცემებში სწორედ ამ უკანასკნელის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველდაა მითითებული, ამდენად პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ა. კ-იას მიერ საკუთრების უფლების წარმოშობის დროსა და სადავო უკანონო მშენებლობის განხორციელებასთან მიმართებაში.

სასამართლომ ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ ქ.ბათუმის მერიის კაბინეტის 1997 წლის 11 აპრილის #148 გადაწყვეტილებით ქ.ბათუმში, ... ქ#18-ში რეგისტრირებული, ა. კ-იას მიერ უკანონოდ აშენებული სახლი რეალურად ამავე ქუჩის 16 ნომერში მდებარეობს, რაც საქმეში წარმოდგენილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დგინდება, ხოლო ... ქ#18-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ა. კ-იას საკუთრების უფლების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება.

საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ.ბათუმის ნოტარიუს ო. ჭ-შვილის მიერ 1999 წლის 23 აპრილს დამოწმებულ, ბ. კ-იასა და ა. უ-ძეს შორის სახლთმფლობელობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებისას ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში მდებარე 910 კვ.მ საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებული უძრავი ქონება, ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები სადავო მიწის ნაკვეთის ფართობთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, ამასთან არ იქნა გაზიარებული აპელანტის მოსაზრება საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევასთან დაკავშირებით, რადგანაც სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ყველა პირი, ვის მიმართაც იყო აღძრული სარჩელი მითითებულ იქნა მოპასუხედ და იმ პირთა საქმეში ჩაბმა, რომელთა უფლებებსაც შეიძლება შეეხოს გადაწყვეტილება, სასამართლოს ვალდებულებას არ წარმოადგენს, ისინი მხოლოდ მხარის ინიციატივით შეიძლება ჩაეზნენ დავაში მესამე პირის სტატუსით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. უ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. დ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ქ.ბათუმის ნოტარიუს ო. ჭ-შვილის მიერ დამოწმებულ 1999 წლის 23 აპრილს ბ. კ-იასა და ა. უ-ძეს შორის დადებულ სახლთმფლობელობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასა და ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში საერთო საკუთრებად 910 კვ.მ მიწის მითითების, ასევე, აღნიშნული ცვლილების საჯარო რეესტრში გატარების მოთხოვნის ნაწილში შემდეგი დასაბუთებით: 1999 წლის 23 აპრილს გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, ბ. კ-იამ, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის

შესაბამისად, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, გაასხვისა მის საკუთრებაში არსებული ქონება, რა დროსაც თავისი უფლება ბოროტად არ გამოუყენებია, რადგანაც აღნიშნული გ. დ-მეს მიყენებდა ზიანს და იგი ვალდებული იქნებოდა, ემტკიცებინა ზიანის მიყენების ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში კი საქმის მასალებით მითითებული გარემოება არ დგინდება. ა. უ-მის მიერ უძრავი ქონების შეძენის დროისათვის ხ. კ-იას საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში, რის გამოც, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის საფუძველზე დაცული უნდა ყოფილიყო მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია და, ამავე კოდექსის 187-ე მუხლის თანახმად, ა. უ-მე, როგორც სადავო ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი პირი, გახდა სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ამასთან, გარიგების დადებისათვის კანონით დადგენილი ფორმის დაცვასთან ერთად ამ გარიგების შედეგად წარმოშობილი საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში. სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქ.ბათუმის მერიის მიერ 1996 წლის 3 ივნისს გაცემული ტექნიკური პასპორტის თანახმად, ... ქ#16-ში სახლთმფლობელობა მდებარეობდა საერთო საკუთრების მიწაზე, რადგან საწარმო "შ-ს" კუთვნილი 1/12 მდებარეობს საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე. პალატამ ასევე არასწორად დაადგინა, რომ საწარმო "შ-სგან" გ. დ-მემ 1996 წლის 12 სექტემბერს შეიძინა 24 კვ.მ მალაზია, რომელიც შეადგენდა სადავო მისამართზე არსებული 910 კვ.მ საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე განლაგებულ შენობა-ნაგებობათა 1/12-ს, რადგანაც აღნიშნული გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდება.

სასამართლომ არასწორად შეაფასა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები, სადაც ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში მიწის ნაკვეთის ფართის ოდენობად მიითითა 608 კვ.მ და 1997 წლის 11 აპრილის, ქ.ბათუმის მერიის #148 გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, 302 კვ.მ და მასზე არსებული სახლი თ. გ-ორის საკუთრებად აღირიცხა. პალატამ არ იმსჯელა მხარის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებსა და ტექნიკური აღრიცხვის ბარათზე, სადაც მითითებულია, რომ 608 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ... ქ#18-ში. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგანაც 1996 წლისათვის გ. დ-მე იყო არა სადავო მიწის მესაკუთრე, არამედ მოსარგებლე და მასზე "მიწის რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე და მე-15 მუხლების მოთხოვნები ვერ გავრცელდება, რადგან აღნიშნული კანონით რეგლამენტირებულია საერთო საკუთრებაზე მესაკუთრეთა უფლების რეგისტრაციის წესი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. უ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით გ. დ-მის სარჩელი ა. უ-მის მიმართ 1999 წლის 23 აპრილის ხ. კ-იასა და ა. უ-მეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. დ-მემ ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში ფირმა "შ-სგან" შეიძინა 24 კვ.მ, რაც გარიგების დადების დროისათვის განლაგებული იყო 910 კვ.მ მიწაზე და მისი 3/11-ს ფლობდა ა. კ-ია, 3/11-ს -ხ. კ-ია, ხოლო 5/11 ნაწილს ქ. ხ-აზი.

1999 წლის 23 აპრილს ხ. კ-იას კუთვნილი წილი შეიძინა ა. უ-მემ. ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის 1999 წლის 23 აპრილის ცნობა-დახასიათებაში ნასყიდობის საგნად მითითებულია ... ქ#16, ხოლო სახლთმფლობელობის მესაკუთრეებად მითითებული არიან გ. დ-მე, ხ. კ-ია და ქ. ხ-აზი. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნის მისამართად მიეთითა ... ქ#18, საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთის ოდენობად კი 608 კვ.მ 910 კვ.მ მიწის ნაცვლად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 10 მარტის #3857, 2006 წლის 23 მარტის #1077, და 2007 წლის 31 ივლისის პასუხებზე დაყრდნობით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1974-80 წლების მდგომარეობით ქ.ბათუმში, ... ქ#16-ში 910 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სახლთმფლობელობის 1/4 აღრიცხული იყო მ. კ-მის, 1/4 -ა. კ-იას, ხოლო 1/2 -ა. შ-მის სახელზე. ქ.ბათუმის მერიის 1997 წლის 11 აპრილის #148 გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტი-

ლების შედეგად მიღებული აქტის საფუძველზე სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარდა ა. კ-ის მიერ უკანონოდ აშენებული სახლი და მის მემკვიდრე თ. გ-ორს 910 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან გამოეყო 302 კვ.მ, რის გამოც საერთო საკუთრებაში დარჩა 608 კვ. მეტრი. ასევე შეიცვალა მესაკუთრეთა წილობრივი მონაცემები -გ. დ-მის საკუთრებად აღირიცხა საერთო ფართის 1/11, ჟ. ბ-აზის საკუთრებად -7/11, ა. უ-მის -3/11 ნაწილი. სახლთმფლობელობის საერთო ფართმა შეადგინა 216 კვ.მ რომელიც განლაგებული იყო 608 კვ.მ მიწაზე.

საქმეში წარმოდგენილი ტექნიკური აღრიცხვის ბარათის თანახმად, ქ.ბათუმში, ... ქ.#16-ში მდებარე 910 კვ.მ მიწაზე განთავსებული სახლთმფლობელობის 1/4, 1958 წლის 18 ივნისის, სანოტარო წესით შედგენილი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა ა. კ-იას. ქ.ბათუმის მერიის კაბინეტის 1997 წლის 11 აპრილის #148 გადაწყვეტილებით ქ.ბათუმში, ... ქ. #18-ში რეგისტრირებული ა. კ-იას უკანონოდ აშენებული სახლი და მის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთი სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარდა, როგორც ... ქ.#18-ში მდებარე უძრავ ქონებად.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ხ. კ-იასა და ა. უ-მეს შორის 1999 წლის 23 აპრილს შემდგარი ... ქ.#16-ში მდებარე უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ნაცვლად 608 კვ.მ-ისა, 910 კვ.მ ფართის დაფიქსირება. სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დააფუძნა თავის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ამავე მისამართზე განთავსებული ამავე დავაში მონაწილე თ. უ-მის საკუთრებაში არსებული 302 კვ.მ მიწის ნაკვეთის მისამართად არასწორად არის აღრიცხული ... ქ.#18 და იგი რეალურად მდებარეობს ... ქ.#16-ში.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან ამავე სასამართლოს მიერვე დადგენილია, რომ ქ.ბათუმის მერიის კაბინეტის 1997 წლის 11 აპრილის #148 გადაწყვეტილებით, თ. უ-მის საკუთრებაში არსებული ქონების თავდაპირველი მესაკუთრის -ა. კ-იას კუთვნილი უძრავი ქონების მისამართად განისაზღვრა ქ.ბათუმი, ... ქ.#18. მითითებული გადაწყვეტილება წარმოადგენს უფლებააღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ძალაშია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულების სასამართლოს მიერ უარყოფა იმ საფუძველზე, რომ ა. კ-იამ სადავო ქონება მიიღო რა ჩუქების ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულებაში ქონების მისამართად მითითებულია ... ქ.#16 და მისი ... ქ.#18-ად აღრიცხვა არასწორია, ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ 1958 წლის 18 ივნისის ჩუქების ხელშეკრულებაში ნივთის მისამართად ... ქ.#16 აღრიცხვა ვერ აქარწყლებს ქ. ბათუმის მერიის 1997 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტს, რომ იგივე ნივთი განთავსებულია ... ქ.#18-ში.

საკასაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობაზე აფუძნებს შემდეგ გარემოებაზეც:

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინებით მოცემულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერდა გ. დ-მის სარჩელზე ა. და თ. უ-მეების, ვ. ხ-შვილისა და ზ. რ-მის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის შესახებ ადმინისტრაციულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული წესით განსახილველ ზემოხსენებულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება არსებით გავლენას ახდენდა მოცემულ დავაზე და სამოქალაქო დავის განხილვა ადმინისტრაციული დავის განხილვამდე საკასაციო სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია. სასამართლოს ეს დასკვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული დავა ეხებოდა თ. უ-მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მისამართად ... ქ.#16-ის დადგენას, რაც განმსაზღვრელია სამოქალაქო საქმეზე სადავო მიწის ნაკვეთის ფართის ოდენობისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული სარჩელით გ. დ-მე ითხოვდა ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულებას, რომლითაც თ. უ-მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების მისამართად მიეთითება ... ქ.#16, ნაცვლად -... ქ.#18-სა.

ადმინისტრაციულ დავაზე კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2008 წლის 25 იანვარს თ. უ-მემ თავისი ქონება, მდებარე ... ქ.#18-ში მიჰყიდა ვ. ხ-შვილს, ხოლო ამ უკანასკნელმა -ზ. რ-მეს. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ... ქ.#16-ში ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობით რეგისტრირებულია მხოლოდ 608 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შესაბამისად, აღნიშნული ნაკვეთის

ნაწილზე არის განთავსებული გ. დ-მის საკუთრებაში არსებული მაღაზიის შენობა და ამ უკანასკნელს მის მეზობლად მდებარე და ამ დროისათვის ... ქ.#18-დ დამისამართებული (ყოფილი მესაკუთრის თ. უ-მის, ხოლო ამჟამად ზ. რ-მის) ნაკვეთისა და სახლთმფლობელობის მიმართ რაიმე უფლება არ გააჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს რა ადმინისტრაციულ დავაზე დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს, განსახილველ სარჩელს უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოცემულ დავასთან მიმართებით პრეიუდიციული ძალა მიანიჭა ამავე დავაზე მიღებულ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც გ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა და თ. გ-ორსა და თ. უ-მეს შორის დადებულ 2003 წლის 1 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებაში თ. გ-ორის საკუთრებად მიეთითა ... ქ.#16, ხოლო მიწის ნაკვეთის ოდენობად - 910 კვ.მ. მართალია, აღნიშნული გადაწყვეტილების ეს ნაწილი კანონიერ ძალაშია შესული, მაგრამ მას არ შეიძლება პრეიუდიციული ძალა მიენიჭოს განსახილველ დავასთან მიმართებით, კერძოდ:

ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაზე თ. უ-მის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული და იგი კანონიერ ძალაშია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, პრეიუდიციულად ითვლება ის ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ამდენად, აღნიშნული ნორმა დადგენილი ფაქტის პრეიუდიციულობას ითვალისწინებს სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისათვის, თუკი ამ საქმეში იგივე მხარეები მონაწილეობენ. მოცემულ შემთხვევაში "სხვა სამოქალაქო საქმე" არ გვაქვს. გ. დ-მის სარჩელი წარდგენილი ჰქონდა როგორც თ. უ-მის, ასევე, ა. უ-მის მიმართ სხვადასხვა ნასყიდობის ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის მოთხოვნით და იმ იურიდიული ინტერესით, რომ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართის გაზრდით, გაიზარდოს მისი წილი თანასაკუთრებაში. ამდენად, დავის საგანი - მთავარი საძიებელი ფაქტი მოცემულ საქმეზე ორივე მოპასუხის მიმართ ერთი და იგივეა - ქ. ბათუმში, ... ქ.#16-ში არსებული მიწის ნაკვეთი 910 კვ.მ-ია, თუ - 608 კვ.მ. შესაბამისად, ორივე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების ფაქტობრივი საფუძვლები ერთი და იგივეა და ისინი უარყოფილია ორივე მოპასუხის მიერ, ანუ თ. უ-მის მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტი ასევე სადავოდაა მიჩნეული ა. უ-მის მიერაც, რაც უდავოდ ნიშნავს იმას, რომ თ. უ-მის წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე მტკიცების საგანში შესული ფაქტები ასევე სამტკიცებელია ა. უ-მის მიმართ წარდგენილ სარჩელზეც.

ამდენად, თ. უ-მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტი დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება ა. უ-მის წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე და მას პრეიუდიციული ძალაც ვერ მიენიჭება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით გ. დ-მეს უარი ეთქვას ხ. კ-იასა და ა. უ-მეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ა. უ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

გ. დ-მის სარჩელი ა. უ-მის მიმართ 1999 წლის 23 აპრილის ხ. კ-იასა და ა. უ-მეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. ექსპერტიზა

განჩინება

#ას-608-917-09

18 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 26 მარტს დედოფლისწყაროს რაიონულმა სამომხმარებლო კოოპერატივმა სასარჩელო განცხადებით მიმართა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს ამავე რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ კანონით დადგენილი წესით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა მისი კუთვნილი ქონების, იმ მიწის რეგისტრაცია, რაზედაც დედოფლისწყაროს ბაზარი მდებარეობს. საჯარო რეესტრის სამსახური ვალდებული იყო, „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, რეგისტრაციაში გაეტარებინა მასზე, როგორც მესაკუთრეზე, რიცხული უძრავი ქონების ქვეშ მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც მანამდე უკანონოდ, მოსარჩელისთვის გვერდის ავლით, სასამართლო რეგისტრაციის საფუძველზე გაუფორმდა კოოპერატივ „ნ-ს“, მოპასუხემ დააბრკოლა და არ განახორციელა აღნიშნული სადავო მიწის ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე რეგისტრაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხის დავალდებულება სადავო მიწის ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციის თაობაზე, რადგან ასეთ რეგისტრაციაზე უარი ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 აპრილის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება კოოპერატივი „ნ-ი“.

დედოფლისწყაროს რაიონულმა სამომხმარებლო კოოპერატივმა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში წარადგინა დამატებითი სასარჩელო განცხადება, რომლითაც დამატებით მოითხოვა დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის შენობა-ნაგებობის მის საკუთრებად ცნობა სადავო მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობის და აღნიშნული შენობა-ნაგებობის, საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრაციის მოპასუხისთვის დავალეება.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 მაისის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატიული კავშირი „ც-ი“.

დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 8 ოქტომბერს გამოიტანა შუალედური გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გადაწყდა, რომ მოპასუხე დედოფლისწყაროს რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიმართ მოითხოვნა განხორციელებულიყო დედოფლისწყაროს რაიონულ სამომხმარებლო კოოპერატივსა და კოოპერატივ „ნ-ს“ შორის მესაკუთრის დადგენისა და აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე თბილისის საოლქო სასამართლოში ცალ-ცალკე შეიტანეს სააპელაციო საჩივრები დედოფლისწყაროს რაიონულმა სამომხმარებლო კოოპერატივმა და კოოპერატივმა „ნ-მა“. დედოფლისწყაროს რაიონულმა სამომხმარებლო კოოპერატივმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება. კოოპერატივმა „ნ-მა“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისთვის სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 23 ივნისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება დედოფლისწყაროს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 25 მარტის განჩინებით დედოფლისწყაროს რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივისა და კოოპერატივი „ნ-ს“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა - გაუქმდა

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 8 ოქტომბრის წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 25 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კოოპერატივმა „ნ-მა“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 22 დეკემბრის განჩინებით კოოპერატივ „ნ-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 25 მარტის განჩინება.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში და ბოლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კოოპერატივ „ნ-რინჯის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივის ცენტრალური კავშირი – „ც-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ ქ.დედოფლისწყაროში, ... ქ.#23-ში მდებარე 4260 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ბაზრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრების უფლებით ირიცხება კოოპერატივი „ნ-ს“ სახელზე. უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტად ამონაწერში მითითებულია საქართველოს კანონი „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“, ასევე, ქ. დედოფლისწყაროს გამგეობის 1998 წლის 6 ნოემბრის #43 გადაწყვეტილება. „ც-ს“ სარჩელის განხილვა ამ ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში შეჩერებულია, ეს განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის საკითხზე სარჩელის საფუძვლიანობაზე მსჯელობა შეუძლებელია იქამდე, ვიდრე არ იქნება განხილული ადმინისტრაციული სარჩელი 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოპასუხის სახელზე ჩანაწერის ბათილობის თაობაზე. პალატამ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი და მიუთითა, რომ, ამ მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ც-ი“ არის სწორედ ის პირი, ვისაც პრეტენზია აქვს ჩანაწერის უზუსტობასთან დაკავშირებით და ვისაც აღძრული აქვს ადმინისტრაციული სარჩელი ამ ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე, შესაბამისად, ჯერ უნდა დადგინდეს მოპასუხის სახელზე 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერების საკითხი, ამის შემდეგ კი შესაბამისი საფუძვლით ახალი სარჩელის ფარგლებში უნდა გაირკვეს მითითებულ ნაკვეთზე საკუთრების ცნობის თაობაზე „ც-ს“ მოთხოვნის კანონიერება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან დადგენილია, ბაზრის ქონების მესაკუთრე არ არის კოოპერატივი „ნ-ი“ და აპელანტს (მოპასუხეს) არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დედოფლისწყაროს ბაზრის შენობა-ნაგებობაზე და შესაბამის მიწის ნაკვეთზე კოოპერატივ „ნ-ს“ საკუთრების უფლების მოპოვებას (მის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს), პალატამ მიიჩნია, რომ კოოპერატივ „ნ-ი“ არ წარმოადგენს იმ მოპასუხეს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს „ც-ს“ სარჩელზე დედოფლისწყაროს ბაზრის (შენობა-ნაგებობისა და მის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთის) მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის შენობა-ნაგებობა და მის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლებით არავის სახელზეა რეგისტრირებული. ამ დოკუმენტის გამაბათილებელი მტკიცებულება კოოპერატივ „ნ-ს“ არ წარმოუდგენია.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ც-ი“ სარჩელში მიუთითებს, რომ დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი წარმოადგენს მის საკუთრებას, მაგრამ არ არის მის სახელზე აღრიცხული. ამასთან, სარჩელის პირველი მოთხოვნით ითხოვს მის მესაკუთრედ ცნობას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თვლის, რომ მას გააჩნია სადავო ქონების მის სახელზე აღრიცხვის საფუძველი და საჯარო რეესტრი უსაფუძვლოდ არ ახორციელებს აღნიშნულს, მას პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს უშუალოდ მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ, მაგრამ, თუ მოსარჩელის ნება მისთვის საკუთრების უფლების მინიჭება (მესაკუთრედ ცნობა) ან ასეთი უფლების აღიარებაა, აღნიშნული მოთხოვნა მიმართული უნდა იქნეს იმ პირის მიმართ, ვისაც გააჩნია ამ უფლების მინიჭების თუ მისი აღიარების უფლებამოსილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში კოოპერატივი „ნ-ი“ არასათანადო მოპასუხეა.

სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს "ც-ს" სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მფლობელობიდან დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის გამოთხოვისა და მოპასუხის გამოსახლების შესახებ, რადგან მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელე უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლზე და მოითხოვს მოპასუხის მფლობელობიდან დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის გამოთხოვას არა როგორც არამესაკუთრე კეთილსინდისიერი მფლობელი, არამედ როგორც მესაკუთრე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი და მიუთითა, რომ "ც-ს" არ გააჩნია მოთხოვნის უფლება, რადგან ის არ წარმოადგენს მესაკუთრეს, ხოლო მისი მოთხოვნა მესაკუთრის ცნობის შესახებ ადრეულია არაუფლებამოსილი პირის მიმართ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირ "ც-ს" წარმომადგენელმა რ. ა-ძემ. მან მიუთითა, რომ სასამართლო ვალდებულია, ჯერ შესთავაზოს მოსარჩელეს არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლა, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრას მხოლოდ იმ პირობით, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლას, შესაბამისად, არასწორია სასამართლოს შეხედულება, თითქოს არასათანადო მოპასუხის შეცვლა სასამართლოს შეზღუდული, მაგრამ მაინც დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს მიეკუთვნება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო ისე, რომ მოსარჩელისათვის საერთოდ არ შეუთავაზებია არასათანადო მოპასუხის სათანადო შეცვლა და ამ საკითხზე არც უარი მიუღია მისგან. ამით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნები, რაც არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ. #23-ში მდებარე 4260 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ბაზრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრების უფლებით ირიცხება კოოპერატივი "ნ-ს" სახელზე. უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტად ამონაწერში მითითებულია საქართველოს კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ", ასევე, ქ. დედოფლისწყაროს გამგეობის 1998 წლის 6 ნოემბრის #43 გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 16 იანვრის დადგენილება კოოპერატივ "ნ-ს" რეგისტრაციის შესახებ გაუქმდა იმ ნაწილში, რითაც დადგინდა, რომ "კოოპერატივის ქონებას შეადგენს დედოფლისწყაროს ბაზარ "ნ-ს" ქონება, რომელიც სამართალმემკვიდრეობით აქვს მიღებული, ამავე გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოსარჩელეს დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის კოოპერატივი "ნ-ს" მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად ცნო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მაისის განჩინებით განიმარტა 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი იმდაგვარად, რომ კოოპერატივი "ნ-ი" არ არის აღნიშნული ქონების მესაკუთრე და ვერ განკარგავს მას, მაგრამ შეუძლია ფლობდეს აღნიშნულ ქონებას, ვიდრე მესამე პირები არ განაცხადებენ დასაბუთებულ პრეტენზიას.

აღნიშნულთან მიმართებაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ სააპელაციო სასამართლოს დასკვნებზე, რომლებზედაც უთითებს კასატორი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "ც-ი" სარჩელში უთითებს, რომ დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი წარმოადგენს მის საკუთრებას, მაგრამ არ არის მის სახელზე აღრიცხული. ამასთან, სარჩელის პირველი მოთხოვნით ითხოვს მის მესაკუთრედ ცნობას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თვლის, რომ მას გააჩნია სადავო ქონების მის სახელზე აღრიცხვის საფუძველი და საჯარო რეესტრი უსაფუძვლოდ არ ახორციელებს აღნიშნულს, მას პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს უშუალოდ მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ, მაგრამ, თუ მოსარჩელის ნება მისთვის საკუთრების უფლების მინიჭება (მესაკუთრედ ცნობა) ან ასეთი უფლების აღიარებაა, აღნიშნული მოთხოვნა მიმართული უნდა იქნეს იმ პირის მიმართ, ვისაც გააჩნია ამ უფლების მინიჭების თუ აღიარების უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, საა-

პელაციო სასამართლო ასკვნის, რომ კოოპერატივი "ნ-ი" არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოპასუხეს არ წარმოადგენს.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს "ც-ს" სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მფლობელობიდან დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის გამოთხოვისა და მოპასუხის გამოსახლების შესახებ, რადგან მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელე უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლზე და მოითხოვს მოპასუხის მფლობელობიდან დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის გამოთხოვას არა როგორც არამესაკუთრე კეთისინდისიერი მფლობელი, არამედ როგორც მესაკუთრე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით "ც-ს" არ გააჩნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის უფლება, რადგან ის არ წარმოადგენს მესაკუთრეს, ხოლო მისი მოთხოვნა მესაკუთრედ ცნობის შესახებ ადრულია არაუფლებამოსილი პირის მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის საკითხზე სარჩელის საფუძვლიანობაზე მსჯელობა შეუძლებელია იქამდე, ვიდრე არ იქნება განხილული ადმინისტრაციული სარჩელი 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის თაობაზე მოპასუხის სახელზე ჩანაწერის ბათილობის თაობაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვის დროს სადავო საკითხი იმის შესახებ მდებარეობს სადავო შენობა-ნაგებობა კოოპერატივ "ნ-ს" სახელზე რეგისტრირებულ 4 260 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ექსპერტის დასკვნით პასუხგაუცემელია.

საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში განხილვის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირ ცეკავშირის შემდეგი სასარჩელო მოთხოვნები: დედოფლისწყაროს ბაზრის, როგორც შენობა-ნაგებობით, ასევე ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ. #23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა და ზემოაღნიშნული ქონების გამოთხოვა კოოპერატივ "ნ-ს" მფლობელობიდან, ასევე კოოპერატივ "ნ-ს" წევრების გამოსახლება დედოფლისწყაროს საკოლმეურნეო ბაზრიდან.

რაც შეეხება ორ დანარჩენ მოთხოვნას, კერძოდ, დედოფლისწყაროს რაიონის მიწის მართვის სამმართველოს (ამჟამად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 1998 წლის 23 დეკემბრის სარეგისტრაციო #52/6) კოოპერატივ ნარინჯზე 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის გაუქმებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილებისათვის დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის შენობა-ნაგებობის, მის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთისა და მასთან ერთად გამოყოფილი 4260 კვ.მ მიწის "ც-ს" სახელზე საკუთრების უფლება რეგისტრაციის დავალდებულებას, შეჩერებულია დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრის განჩინებით, რაც შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის ზემოაღნიშნული ოთხივე მოთხოვნა ურთიერთკავშირშია და გამომდინარეობენ ერთმანეთიდან. ამ მოთხოვნების განხილვისათვის აუცილებელია მისი საფუძვლების დიფერენციაცია და, შესაბამისად, მოსარჩელის უფლების განსაზღვრა, რაც წარმოადგენს სათანადო მოპასუხის დადგენის ერთ-ერთ აუცილებელ მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმს. საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ მოთხოვნების ცალ-ცალკე განხილვა ართულებს დავის გადაწყვეტას, კერძოდ, სადავო ქონება წარმოადგენს დედოფლისწყაროს ბაზრის, როგორც შენობა-ნაგებობას (ასევე, მის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთს), ასევე, მისთვის გამოყოფილ 4260 კვ.მ მიწას. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით (რომლებსაც კასატორი სადავოდ არ ხდის), 4260 კვ.მ მიწა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია კოოპერატივ ნარინჯის სახელზე, ხოლო დედოფლისწყაროს ბაზრის შენობა-ნაგებობა (ასევე მის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი) არავის სახელზეა რეგისტრირებული.

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის ძირითად მოთხოვნას, რომელსაც უკავშირდებიან და საიდანაც გამომდინარეობს დანარჩენი მოთხოვნები, წარმოადგენს სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობა (აღიარება), რომელიც მიმართული იყო მოპასუხეების საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურისა და კოოპერატივ "ნ-ს" მიმართ.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მესაკუთრედ ცნობის შესახებ ეხება როგორც იმ ქონებას, რომელიც საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია კოოპერატივ "ნ-ს" სახელზე (4260 კვ.მ მიწას), ასევე იმ ქონებას (შენობა-ნაგებობას, ასევე, მის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთს), რომელიც არავის სახელზეა რეგისტრირებული.

აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოსარჩელის მოთხოვნის ზოგიერთ საფუძველებზე, რომლებიც აღნიშნულია საკასაციო საჩივარში, კერძოდ, "ც-ი" მოთხოვნის საფუძვლად უთითებს იმაზე, რომ მას მოპოვებული აქვს საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე. საჯა-

რო რეესტრი უარს აცხადებს საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, ამასთან კოოპერატივ "ნ-ს" არ ჰქონდა 4260 კვ.მ მიწის თავის სახელზე რეგისტრაციის უფლება, რადგან ეს ქონება დედოფლისწყაროს გამგეობის #36 23.09.1997 წლის დადგენილებით გამოეყო არა კოოპერატივ "ნ-ს", არამედ აგრარულ ბაზარ "ნ-ს".

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად კასატორი საკასაციო საჩივარში უთითებს შემდეგ მტკიცებულებებზე, (რომლებიც მითითებულია მის სარჩელში), კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს კვ ცვ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის #301 დადგენილებიდან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 23 თებერვლის #2/270-10 გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი, რომელიც დამაგრებულია 5,100 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკუთრებაში გადაეცა ცეკავშირს, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1997 წლის 15 აგვისტოს #1-3/515 ბრძანებით, დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი ამოირიცხა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხიდან, იმ საფუძვლით, რომ იგი ირიცხებოდა ცეკავშირის ბალანსზე და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო საქმეში არსებული კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებების თანახმად, კოოპერატივი "ნ-ი" არ წარმოადგენს სადავო ქონების მესაკუთრეს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელის ოთხივე მოთხოვნას უდევს ერთი და იგივე საფუძველი და მიმართულია მესაკუთრედ აღიარებაზე, ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასა და, შესაბამისად, სადავო ქონების გამოთხოვაზე.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ამ მოთხოვნების ცალ-ცალკე განხილვა ართულებს დავის გადაწყვეტას. მით უმეტეს გასათვალისწინებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის საკითხზე სარჩელის საფუძვლიანობაზე მსჯელობა შეუძლებელია იქამდე, ვიდრე არ იქნება განხილული ადმინისტრაციული სარჩელი 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოპასუხის სახელზე ჩანაწერის ბათილობის თაობაზე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და დამატებით განმარტავს, რომ 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის საკითხი უკავშირდება შენობა-ნაგებობის (ასევე, მის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთის) მესაკუთრის ცნობის საკითხს. იმ შემთხვევაში, თუ სადავო შენობა-ნაგებობა განლაგებულია 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისად, ამ შენობა-ნაგებობის მესაკუთრედ ცნობის საკითხიც დამოკიდებული იქნება 4260 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის საკითხის გარკვევაზე (რაც შეჩერებულია სასამართლოს განჩინებით). ამ შემთხვევაში შესაძლებელია გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 171-ე მუხლის დანაწესს, კერძოდ, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოსარჩელის ოთხივე მოთხოვნის გაერთიანებაზე. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ოთხივე მოთხოვნა უნდა გაერთიანდეს და განხილულ იქნეს ერთი საქმისწარმოების წესით, მან უნდა გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება და დააბრუნოს საქმე ამ მოთხოვნათა გაერთიანებისა და მათი ერთ წარმოებად განხილვისათვის.

საკასაციო პალატა, ასევე განმარტავს, რომ საქმის განხილველმა სასამართლომ სრულად უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ექსპერტს დაესვა კითხვა, კოოპერატივ "ნ-ს" მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის (მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით) საზღვრები ემთხვევა თუ არა კოოპერატივ "ნ-ს" სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებს, რაზედაც ვერ იქნა გაცემული პასუხი ექსპერტიზის დასკვნით.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა ექსპერტიზის დასკვნის შეფასების კრიტერიუმები, რა გახდა ექსპერტიზის მიერ პასუხის გაუცემლობის მიზეზი. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი გენგემის მიხედვით, აგრარული ბაზრის საზღვრები მოთავსებულია კოოპერატივ "ნ-ს" მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის შიგნით. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ შეუძლებელია კოოპერატივ "ნ-ს" მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის საზღვრების შედარება გენგემში აღნიშნულ მიწის ნაკვეთის საზღვრებთან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ მიერ ექსპერტიზის დასკვნა გამოკვლეულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 171-ე და 172-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, რისთვისაც სასამართლომ შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი. ამ შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისას სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ექსპერტის მიერ დასკვნაში მითითებულ საკითხზე, რომლის თანახმად, გენგემის მიხედვით, აგრარული ბაზრის საზღვრები მოთავსებულია კოოპერატივ "ნ-ს" მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის შიგნით. აქედან გამომდინა-

რე, სასამართლომ უნდა გამოიკვილოს ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული (კვლევითი და დასკვნით ნაწილში) კოოპერატივ "ნ-ს" მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის ზუსტი საზღვრების დაუდგენლობა რამდენად გამორიცხავს საკითხის გარვევას იმის შესახებ მდებარეობს თუ არა დედოფლისწყაროს აგრარული ბაზრის შენობა-ნაგებობა კოოპერატივ "ნ-ს" სახელზე რეგისტრირებულ 4 260 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

სარეზულუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივის ცენტრალური კავშირ "ც-ს" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.